

ნანა გოგელია

ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატები

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0175, საქართველო
2008წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

პუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი გადასტურებთ, რომ გავეცანით გოგელია ნანას მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს: „ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატები“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

2008.

ხელმძღვანელი:

ხელოვნებათმცოდნეობის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
† ინგა ლორთქიფანიძე

რეცენზენტი:

ხელოვნებათმცოდნეობის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ნათია ასათიანი

რეცენზენტი:

ხელოვნებათმცოდნეობის
მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
ფლერ დევდარიანი

რეცენზენტი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2008

ავტორი: გოგელია ნანა

დასახელება: „ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატები“

ფაკულტეტი: პუმნიტარულ-სოციალური

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პიროვნების ან ინსტიტუტების მიერ
ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით
მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა
და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ
უნივერსიტეტს

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და
არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების
გადაბეჭდვა ან სხვა რამე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია
ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომი გამოყენებული საავტორო
უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა
(გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ
სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში როგორც ეს
მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა
მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატებს. ხატები შესრულებულია თორმეტ დაფაზე. საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დაცულია ცხრა ხატი, მეათე ნოემბრის თვის ხატი ინახება თელავის ისტორიულ ეთნოგრაფიულ მუზეუმში. სექტემბრის და ივნისის თვის ხატები დაკარგულია. ნაშრომში მონოგრაფიულად არის შესწავლილი ახალი შუამთის ხატების იკონოგრაფიული პროგრამა და მხატვრულ სტილი. ნაშრომი შედგება: შესავლის, სამი ძირითადი თავის, ხუთი ქვეთავის და დასკვნითი ნაწილისგან. ტექსტს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და საილუსტრაციო ფოტომასალა.

შესავალში დასაბუთებულია თემის აქტუალობა, განსაზღვრულია ძეგლის მნიშვნელობა და კვლევის მიზანი, მისი მეცნიერული სიახლე.

პირველ თავში ზოგადად განხილულია საწელიწდო ხატების ის ლიტერატურული წყაროები, კალენდარული რიგის ცალკეული კრებულები, რომლებიც სამართლმადიდებლო სამყაროში იქმნებოდა. ბიზანტიაში X საუკუნის 80-იან წლებში მიმდინარეობს კიმენური წყაროების დამუშავება კალენდარული თანმიმდევრობით სვიმეონ მეტაფრასტის და იოანე ქსიფილინოსის მიერ. წმინდანთა ცხოვრების კალენდარული წყობით შექმნილი მენოლოგიები და თვენი ქრისტეფორე მიტილინელის (1000-1050) კანონი, რომლის საგალობლები ესადაგება ლიტერატურის კალენდრის ილუსტრირებულ კრებულს, საფუძველს უყრის მენოლოგიუმების და საწელიწდო ხატების შექმნის პრინციპებს. ეს ბერძნული წყაროები თარგმნილი ქართველი მწიგნობრების მიერ ავსებს შეა საუკუნეების ლიტერატურას. განუზომელია „ქართველ მნათობთა“ – ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების საქმიანობა. მათ მიერ შედგენილი მცირე და დიდი სვინაქსარი არის სრულყოფილი საღვთისმეტყველო ნაშრომები, ხოლო იოანე ზოსიმეს მიერ შედგენილი ქართული კალენდარი, რომელშიც შეტანილია ქართველ წმინდანთა სახელები და დღესასწაულები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია. ამ დროს იქმნება ბიზანტიაში მენოლოგიური ხატი ქართველი ბერის იოანე თოხაბის მიერ.

ქართულ ღვთისმეტყველებაში მკვეთრი ცვლილება იწყება XVIII საუკუნეში. ანტონ I კათალიკოსი და ალექსი მესხიშვილი ცდილობს განაახლოს და ააღორძინოს ქართული საღვთისმეტყველო კულტურა, რადგან ამ დროისთვის სახეშეცლილი იყო. ანტონ I კათალიკოსს ბერძნულ და რუსულ წყაროებზე დაყრდნობით ცვლილებები შეაქვს ქართულ საეკლესიო მწერლობაში და საღმრთო ლიტერატურის. მან შეასწორა ტიპიკონი, თვენი, პარაკლიტონი.

XVIII საუკუნეში რუსული და დასავლური კულტურის გავლენებმა ახალი მხატვრული მსოფლმხედველობა წარმოქმნა ქართულ საეკლესიო და საერო ხელოვნებაში. XVIII-XIX საუკუნეების საღმრთო ლიტერატურის რუსულ რელიებზე გადაყვანა საფუძველს უყრის ქართულ საეკლესიო ხელოვნებაში რუსული მხატვრული სტილის დამკვიდრებას. ნაშრომის ამ თავში მოკლედ არის განხილული რუსეთის ეკლესიის განჩინება და თვენი. XI-XVIII

საუკუნეების მენოლოგიათა დაახლოებით რვაასორმოცდაათი ხელნაწერია ცნობილი, მათ შორის ოთხ ათეულზე ცოტა მეტი შეუძლიათ მინიატიურით. საწელიწდო ხატების ილუსტრირების პრინციპი დაკავშირებული უნდა იყოს მენოლოგიების მინიატიურებთან. პ. მითოვიჩი მიიჩნებს, რომ ორი ტიპი არსებობს მენოლოგიების გაფორმების: A-კალენდარული თანმიმდევრობით გამოსახვა წმინდანთა წამების და გარდაცვალების სცენების. B-დღეები დაყოფილი წმინდანთა პორტრეტებით. ახალი შუამთის ხატებზე B ვარიანტია მოცემული, წმინდანები და უძრავი საეკლესიო დღესასწაულები.

საეკლესიო კალენდარული მოხატვის პრინციპი იშვიათად, მაგრამ მაინც არის მონუმენტურ ფერწერაში, რუსეთში ზეერინის ეკლესია და ბულგარეთში ორმოც მოწამეთა ტაძარი (1230წ.), რომელიც 1913 წელს მიწისძვრამ დაანგრია. საქართველოში ანალოგიური მონუმენტური ფერწერა არ გვხვდება. ქრისტიანული კალენდარი რომაული წარმართული კალენდრის საფუძველზე აღმოცენდა. მასში შეჰქონდათ წმინდანთა მოხსენიების დღეები, ასე წარმოიშვა საეკლესიო კალენდარი, რომელიც საფუძვლად დაედო საწელიწდო ხატებს.

მეორე თავში განხილულია ახალი შუამთის ხატების მოხატულობის პროგრამის ძირითადი თემები თვეების მიხედვით. ნუსხური განმარტებითი წარწერები ჩვენს მიერ არის შესწავლილი. ხატზე გამოსახული წმინდანთა კრებული თოხასორმოცდაათს აღემატება. წმინდანთა ცხოვრების ლიტერატურულ წყაროზე დაყრდნობით თითოეული სახის იკონოგრაფიული სიმბოლიკის ახსნა შესაძლებელი გახდა. საწელიწდო ხატზე ლაკონურად გამოსახულია ქრისტოლოგიური სცენები, რომელიც იკონოგრაფიული და სტილური თვალსაზრისით შესწავლილია. გამომდინარე ხატის სპეციფიკიდან წმინდანთა და დღესასწაულთა რაოდენობა იმდენად გრცლად არის წარმოდგენილი, რომ თითოეულის ცალ-ცალკე განხილვა სადისერტაციო ნაშრომში ვერ მოექცეოდა. ამიტომ მაქსიმალურად შემცირებული სახით, ვამახვილებთ ყურადღებას ცალკეულ წმინდანთა სახეებსა და ქრისტოლოგიურ სცენებზე, რომელიც მხატვარმა სახოვნად გამოსახა ხატზე და ლაკონიურად მიანიშნა მათი ცხოვრების მნიშვნელოვან დეტალებზე. დანარჩენ წმინდანთა შაბლონურ სახეებს, მხოლოდ მივუთითებთ და არ განვიხილავთ.

მესამე თავში საწელიწდო ხატების მხატვრული ენის სტილური აღწერა – ანალიზია. მასში შეძლებისდაგვარად განხილულია XVIII–XIX საუკუნეების მართლმადიდებელ ქვეყნებში ის ტრადიციული მხატვრული ენის ცვლილება, რომელიც ამ პერიოდში მიმდინარეობს. კერძოდ, ახალი დასახლური კულტურის დამკვიდრება საეკლესიო ფერწერაში. ქართულ კულტურაში რუსული და ევროპული ხელოვნების გავლენა და მისი შედეგები სახეზეა. ქართული და რუსული ხელოვნების სტილური ნიშნების განხილვის საფუძველზე და პარალელური მასალის შეჯერებით დგინდება ახალი შუამთის ხატების დაწერის თარიღი. იგი შესრულებული უნდა იყოს XVIII საუკუნის მიწურულს – XIX საუკუნის დასაწყისში. საწელიწდო ხატებზე შეინიშნება რუსული და პოსტიზანტიური ხატწერისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. მხატვარი სარგებლობდა რუსული პროტოტიპებით. საწელიწდო ხატები თავისი მონოტონური,

მრავალრიცხოვანი შაბლონური წმინდანთა ფიგურალური გამოსახულებით გამოხატავს ღრმა ლიტურგიკულ აზროვნებას. იგი უფრო ხატი – სახეა, ვიდრე თაყვანისცემის ლიტურგიკული ფორმა. ქართულ ხატწერაში საწელიწდო ხატების მცირე რაოდენობით შემორჩა. გამოვთქვამთ მოკრძალებულ ვარაუდს, შესაძლებელია ისინი ისტორიის ქარტებილებს ვერ გადაურჩა, ან ხატწერის ამ ფორმას ჩაენაცვლა თვენის და გულანების მინიატიურული ფერწერა. ახალი შუამთის ხატები კი ეპოქის გამოძახილია. ხატი განთავსებული უნდა ყოფილიყო თავდაპირველად საკურთხეველში ან გუმბათქვეშა სვეტზე, ხატი იცვლებოდა თვეების შესაბამისად.

სადისერტაციო ნაშრომის დასკვნით ნაწილში განხოგადებულია კვლევის შედეგები. ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატები არის თავისი ეპოქის იდეის და მხატვრული სახის გამომხატველი.

Summary

Represented thesis has been devoted to so-called “calendar icons” from Shuamta Monastery, realized on 12 panels. Nine of them are kept in Shalva Amiranashvili State Art Museum of Georgia, the tenth - the icon of November month – in Telavi historical – ethnographical museum, while the September and June panels supposedly must be lost.

The given work offers monographically learned material concerning the iconographic program and artistic style those of Shuamta icons.

The work consists of the preface, three essential chapters, five sub-chapters and conclusive part; the list of used material and illustrative photos are enclosed.

The preface is engaged to prove the theme actuality, deprives the importance of the monument and searching purpose, also the scientific novelty..

The first chapter commonly considers the literary sources and some separate codes in chronological order of the calendar icons, those of having been created in the countries of Orthodox faith.

The 80-s of the X century Byzantine is significant with treatment of “Kiemena” sources based on chronologic order. Menologions and Months by Svimeon Metaphrast and Johan Xiphylinos about the life of the Saints, the canon, composed by Christopher of Mytilene’s, the hymns of which correspond the illustrative code (collection) that of liturgical calendar confirms the foundation for the illustrating principles of the menologion and calendar icons. These Greek sourees having been translated by Georgian bibliophiles, fulfill the middle ages literature.

The merit of Ekvtimé and George Mtatsmindeli (as we are used to call Georgian luminaries) gets to be beyond any borders of appreciation and delight. The bid and small synaxarion, composed by these luminaries seem to be the utmost accomplished theological works, and the Georgian calendar by Johan Zocime – including the names of Georgian Saints and Feasts must be considered as one of the significant monument of the time, when the menologion icon is being created by Johan Tokhabí – the monk. The evidental change in Georgian Theology begins in the XVIII century, - Katolikos Anton I and Alexi Meskhishvily trying to define and revive Georgian theological culture that is already modified for the above mentioned time. Bazing on Greek and Russian sources great changes are made in Georgian church writing and divine liturgy; He’s provided corrections in Typicon, Months, Paracliton.

Russian and West Cultures of the XVIII have greatly influenced and at the same time formed some new visions through Georgian church and temporal art. Shifting of the XVIII-XIX centuries’ theologival liturgy towards the Russian tracks stimulates the establishment of the Russian artistic taste and style in Georgian church art. Very shortly the chapter analysis the canonical foundation and Mineas those of Russian church.

Among the XI-XVIII centuries menologions (about 850 manuscripts known), just only above 40 ones are adorned with miniatures, We suppose that the calendar icons’ illustrating principle must doubtlessly be connected with those of menologion miniatures. According to P. Miovich’s syggestion, there exist two types of decoration of menologion: A – depiction of suffering Saints and their death scenes in chronological order, B – the days devided by the Saints’ portraits. Varient B appers to have been chosen on the icons of Shuamta Monastery – the Saints and the still feasts.

The Church calendar principle though rarely, but still observable in monumental painting, as for instance Zverin Church in Russia and the Cathedral of 40 Martyrs (1230) in Bulgaria, completely being destroyed by the earthquake of 1913. In Georgia we don't come across such analogy on monumental painting. The Christian Calendar had been sprung up on the basis of heathen calendar (order). It included the Saints' commemoration days, thus gave a start for Christian calendar that in its turn became a foundation for "annual tablets".

The second chapter bears the analysis of the main themes according to the months of the painting program of New Shuamta Monastery. The explanatory inscriptions, realized in "Nuskhuri" had been read out and understood by me thus the allegory solved. The group of the Saints, depicted on the icon, amount is above 450. Literary sources, concerning the Saints' life gave us the possibility to explain the iconographical symbolism of each image. Christological scenes, laconically depicted on the panel had been fully learned both iconographically and stylistically.

Judging from the icon specificity, the amount of the feasts and the Saints is so vastly represented, that it's impossible to consider each one separately, in the given dissertation, thus the due attention towards the scenes and separate Saints' images are extremely reduced, though the artist rather picturesquely expressed them on the icon, hinting on the most considerable details of their life. The other Saints images are simply mentioned lacking any analysis.

The third chapter gives the stylistical description – analysis of the icons' artistic language of its traditional changes, taking place in the Orthodox world of the XVIII-XIX centuries and establishing of a new western culture in church painting as well. The influence of Russian and European art do not fail to be recognized. Discussing the stylistical signs of Georgian and Russian art and saturating of the parallel material ascertain the date of accomplishing of the New Shuamta icons – as the late XVIII up to the 50s of the XIX century.

The function and expression of these calendar icons are worth mentioning, thus maintaining unique expression of that of liturgical sense with their monotonous, multiplicity of the Saints' figurative depiction. It seems like an icon – image, rather than a liturgical form of adoration. In Georgian icon – painting the calendar – icons' rather a bit amount is quite noticeable. Very estimably I give my suggestion about the point that they either just couldn't resist the historical "storms" or the mentioned form of icon – painting had been replaced by the Months and Mineas miniature one. And New Shuamta icons are the echoe of the age. The icon should have been placed first in the altar, or on the underdome column. The icon had been changing according to the months.

The conclusive part of the thesis the results of the search are generalized. The calendar icons of New Shuamta Monastery represent the idea and artistic image of its epoch.

შინაარსი

შესავალი.....	13
1. ლიტერატურის მიმოხილვა.....	16
2. თავი I – საწელიწდო ხატების ლიტერატურული წყარო.....	17
3. ა. რუსეთის ეკლესიის საეკლესიო თვენი.....	24
ბ. მენოლოგია საწელიწდო ხატების დედანი.....	25
გ. საეკლესიო კალენდარი.....	30
4. თავი II – ახალი. შუამთის საწელიწდო ხატების იკონგრაფიული აღწერა - ანალიზი.....	33
5. თავი III – ახალი შუამთის ხატების სტილური ანალიზი.....	103
ა. XVIII-XIX საუკუნეების ქართული და რუსული ხატწერის სტილური მიმოხილვა.....	113
ბ. საწელიწდო ხატები სიმბოლო საღმრთო განმგებლობისა.....	127
6. დასკვნა.....	133
გამოყენებული ლიტერატურა.....	137

ტაბულების ნუსხა

1. ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატი თვე იანვარი 1-16.
2. ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატი თვე იანვარი 17-31.
3. ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატი თვე თებერვალი 1-15.
4. ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატი თვე თებერვალი 16-29.
5. ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატი წმ. თევდორე ტირონის გამოსახულებით.
6. ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატი თვე მარტი 1-15.
7. ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატი თვე მარტი 16-31.
8. ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატი თვე აპრილი 1-15.
9. ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატი თვე აპრილი 16-30.
10. ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატი თვე მაისი 1-16.
11. ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატი თვე მაისი 17-31.
12. ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატი თვე ივნისი 1-16.
13. ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატი თვე ივნისი 17-31.
14. ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატი თვე აგვისტო 1-15.
15. ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატი თვე აგვისტო 16-31.
16. ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატი თვე ოქტომბერი 1-15.
17. ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატი თვე ოქტომბერი 16-31.
18. ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატი თვე ნოემბერი 1-15.
19. ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატი თვე ნოემბერი 16-30.
20. ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატი თვე ნოემბერი. „ტაძრად მიყვანება“. ფრაგმენტი.
21. ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატი თვე ნოემბერი. „მთავარანგელოზთა კრება“. ფრაგმენტი.
22. ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატი თვე დეკემბერი 1-16.
23. ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატი თვე დეკემბერი 17-31.
24. სინას მთა წმ. ეკატერინეს მონასტერი საწელიწდო ხატი XIIს. მხატვარი იოანე თოხაბი.
25. საწელიწდო ხატი თვე აგვისტო. სხმ/რხ 33. XIXს. II ნახ.
26. საწელიწდო ხატი თვე აგვისტო. სხმ/რხ. 33. ფრაგმენტი. „ფერისცვალება“, წმინდა მამები: დომენტი, ემელიანე, მატათი, ლავრენტი. „დვორისმშობლის მიძინება“, „ხელოუქმნელი ხატი“, „ჯოვანის წარტყმევნა“.
27. საწელიწდო ხატი თვე აგვისტო. სხმ/რხ. 32. XIXს.
28. საწელიწდო ხატი თვე ივნისი. სხმ/რხ. 32. ფრაგმენტი. წმინდანები ევსები და ალექსანდრი; „იოანე ნათლისმცემლის შობა“,
29. საწელიწდო ხატი თვე ოქტომბერი. სხმ/რხ. 34. XIXს.
30. საწელიწდო ხატი წმინდანები. სხმ/რხ. 390. XVIII-XIXსს.

31. საწელიწდო ხატი თვე სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი. სხმ/რხ. 91 XVIIIს.
32. საწელიწდო ხატი სხმ/რხ. 91. ფრაგმენტი. „დვორისმშობლის საფარველი“.
33. საწელიწდო ხატი სხმ/რხ. 91. ფრაგმენტი. „ტაძრად მიყვანება“.
34. საწელიწდო ხატი სხმ/რხ. 91. ფრაგმენტი. „შობა“, „ჩვილთა რბევა“.
35. იოანე ნათლისმცემლის ხატი ცხოვრების სცენებით. სხმ/რხ. 44. XVIII ს.
36. იოანე ნათლისმცემლის ხატი ცხოვრების სცენებით. სხმ/რხ. 44. ფრაგმენტი. „ქალმან მიართუა ფეშეუმითა დედასა თვისსა“. მრ. 6-28.
37. იოანე ნათლისმცემლის ხატი ცხოვრების სცენებით. სხმ/რხ. 44. ფრაგმენტი. „ზაქარიას მოკვდინება“.
38. იოანე ნათლისმცემლის ხატი ცხოვრების სცენებით. სხმ/რხ. 44. ფრაგმენტი. „იოანე ნათლისმცემლის თავის მოძიება“.
39. აღდგომის ხატი სხმ/რხ. 329. XIXს.
40. საწელიწდო ხატი თვე მარტი. რ. ოგანეზოვას კერძო კოლექციიდან. XXს-ის დასაწყისი.
41. რუსული კარედი ხატი XVIII ს-ის II ნახევარი. სოტბის აუქციონი.
42. საწელიწდო ხატი მოსკოვის ხარების ეკლესია. 1817წ.
43. ორმხრივი მინეა თვე სექტემბერი. მოსკოვი. პ. კორინის კოლექციიდან. 1597წ.
44. ორმხრივი მინეა თვე მაისი. მოსკოვი. პ. კორინის კოლექციიდან. 1597წ.
45. ორმხრივი მინეა თვე აგვისტო. მოსკოვი. პ. კორინის კოლექციიდან. 1597წ.
46. მინეა თვე თებერვლი. მხატვარი ი. მატვეევი. 1701წ. ფრაგმენტი. „იოანე ნათლისმცემლის თავის მოძიება“, წმინდა მამები და დედები, წმ. ნაწილთა გადასვენება.
47. საწელიწდო ხატი „დეისუსი და წმინდანები“. ათონის მთა წმ. ანას სახ. სამლოცველო. 1621წ.
48. ათონის მთა სიმონოპეტრას მონასტრის რუსული საწელიწდო ხატი. XIXს.
49. ათონის მთა წმ. იოანე ნათლისმცემლის ხატის ფრაგმენტი „კონსტატინე და ელენე“.
50. ხატი „ოდიგიტრია, პანტოკრატორი, წმინდანები“. XIXს. სოფია ეროვნული გალერეა.
51. ხატი „დვორისმშობელი წმინდანებით“. XIXს. სოფია ეროვნული გალერეა.
52. ხატი „წმ. ივან რილსკის ცხოვრების სცენებით“. XIXს. გობროვოს სამების ეკლესია. (ბულგარეთი). ფრაგმენტი. „წმინდანის წმ. ნაწილების გადასვენება“.
53. ხატი „წმ. ივან რილსკის ცხოვრების სცენებით“. გობროვოს სამების ეკლესია. ფრაგმენტი. „წმინდანის წმ. ნაწილების გადასვენება“.

54. ხელნაწერი A-442. XVI ს. წმინდანები: ამფილოქოსი, გრიგოლი, მერკვიანე და ეპატერინე. საქართველოს პ. კეპელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.
55. ხელნაწერი A-442. „ეგვიპტეში გაქცევა“.
56. ხელნაწერი A-425. 1718წ. წმინდანები: პროვო, კარპო, ტარახო და ანდრონიკე. საქართველოს პ. კეპელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.
57. ხელნაწერი A-425. წმინდანები: ხარიტინა, გრიგოლ ხანძთელი და თომა მოციქული.
58. ხელნაწერი S-4978. 1856წ. „ჯვრის ამაღლება“. მხატვარი ალექსი. საქართველოს პ. კეპელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.
59. ხელნაწერი S-4978. „იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთა“. მხატვარი ალექსი.
60. მინეა. პარიზის ბიბლიოთეკა gr. 580 XI ს-ის მესამე მეოთხედი.
61. ოდიკი. სხმ/ნ. 453. „დატირება“. XIX ს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი.
62. ოდიკი. სხმ/ნ. 2770. „დატირება“. XIX ს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი.
63. ოდიკი. სხმ/ნ. 2822. „დატირება“. XIX ს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი.
64. აწყურის კარედი ხატი. 1774წ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი.
65. წმ. საბას კარედი ხატი. ჩხარის ეკლესიიდან. 1779-1780წწ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი.
66. ლუბოკი. ჟანრული სცენა. XVIII ს.
67. ახალი შუამთის მონასტრის იკონოსტაზი. 1844წ.

შესავალი

ქართული შუა საუკუნეების ხელოვნებაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ხატწერას. მონუმენტურ მხატვრობასა და მინიატიურასთან ერთად ფერწერული ხატები საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ განვითარების გზა, რომელიც განვლო ქართულმა მხატვრობამ საუკუნეთა მანძილზე. დავინახოთ ქრისტიანული კულტურის სახისმეტყველება, რომელიც დღესაც გვაოცებს თავისი ტრანსცენდენტური აზროვნებით და მხატვრული დონით. განვითარებულ შუა საუკუნეებში ბიზანტიაში ყალიბდება და მკვიდრდება ისეთი ტრადიცია ხატწერის, როგორიც არის საწელიწდო ხატები. მათი აუცილებლობა განპირობებული იყო იმ მრავალასწლოვანი ლიტურგიკული კალენდარული ტრადიციით, რომელსაც შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ლიტურგიკულ კრებულებში: სვინაქსარი, თვენი, მარხვანი, ტიპიკონი, ლექციონერები, საერთოდ მეტაფრაზული კრებულები – მენოლოგიონები. საწელიწდო ხატების არსებითი პირველწყარო არის სვიმეონ მეტაფრასტის მიერ კალენდარული თანმიმდევრობით დაწერილი მენოლოგიონები და ქრიტეფორე მიტილინელის (1000-1050) კანონი, რომლის საგალობლების რიგი, ესადაგება ლიტურგიკული კალენდრის ილუსტრირებულ კრებულს, ხელნაწერებს და ხატებს [1]. საწელიწდო ხატების აღრეული ნიმუშები, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერშია დაგანებული.

წინამდებარე ნაშრომი ეხება საწელიწდო ხატებს ახალი შუამთის მონასტრიდან. საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ძველი ქართული შუა საუკუნეების ხელოვნების ფონდში დაცულია ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატები. ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმის საინვენტარო წიგნში (1923–1936) საწელიწდო ხატები გატარებულია, როგორც თელავიდან ჩამოტანილი. მუზეუმ „მეტეხის“ დავთარის მიხედვით ხატები მუზეუმს გადაეცა 1934წლის 26 ივნისს, ოქმი №115, ხოლო მუზეუმის შემოსულობათა წიგნში გატარებულია 1936 წელს და ჩაწერილია იმ ხატებთან ერთად, რომელიც შუამთის მონასტრიდან

არის გადმოცემული. ახალი შუამთის მენოლოგიური ხატები თორმეტ თვეს მოიცავს და ისინი დაწერილია თორმეტ დიდ დაფაზე, ხეზე გადაკრულ დაგრუნტულ ტილოზე, ტემპერის საღებავებით. ძირითადი ზომა ხატების 57X43. მუზეუმში დაცულია მხოლოდ ცხრა ხატი. მეათე ნოემბრის თვის ხატს მივაკვლიერ თელავის ისტორიულ ეთნოგრაფიულ მუზეუმში, სადაც საინვენტარო წიგნში გატარებულია ნომრით თსიემ №9304-14. ხატი თელავის მუზეუმში შემოსულია ახალი შუამთის მონასტრიდან. ორი ხატი სექტემბერის და ივნისის სამწუხაროდ დაკარგულია.

ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატები ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში შეხწავლილი არ ყოფილა, არცერთ მეცნიერს განხილული არ აქვს. ახალი შუამთის საწელიწდო ხატები შესრულებული უნდა იყოს XVIII საუკუნის მიწურულს – XIX საუკუნის დასაწყისში. თავისი სტილური ფორმიდან გამომდინარე იგი ეპოქის გამოძახილს წარმოადგენს. ნაშრომის მიზანია ამ პერიოდის მართლმადიდებელ ქვეყნებში მიმდინარე მხატვრული სტილის ანალიზის წარმოჩენა, ის ეპოქალური ცვლილებები, რომელსაც განიცდის საეკლესიო ხელოვნება საქართველოსა და რუსეთში. ქართული კულტურის ნამუშევრებში აშკარად გამოხატულია დასავლური ორიენტაცია, შეინიშნება ახლებური მიდგომა, ახალი მხატვრული საშუალებები. რუსული და ევროპული კულტურის სინთეზი ეროვნულ ნიადაგზე ახალ სტილს და მსოფლმხედველობას წარმოშობს. საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ეს არის პერიოდი რთული და არაერთმნიშვნელოვანი, როდესაც იშლება ძველი ტრადიციული ფორმები და იქმნება ახალი მხატვრული სახე. თანდათან ფერმკრთალდება შუა საუკუნეობრივი აზროვნება, მის ადგილს იკავებს კლასიკური ფერწერული სტილი. საერთ ხელოვნების მომძლავრება და დასავლური კულტურის შემოდინება ადგილობრივი ეროვნული ტრადიციების ერთგვარ მინელებას იწვევს და მოგვიანებით ახალი სახით წარმოჩნდება. რუსული ექსპანსიის წარმოშობა, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, მძიმე ტვირთად დააწვა ქართულ საზოგადოებას. მიუხედავად ამისა, ქართული ეროვნული აზროვნების განვითარება ახალ შემოქმედებით არეალს წარმოშობს.

წინამდებარე ნაშრომის კვლევის მიზანი არის ეპოქის მახასიათებელი მხატვრული სახის ანალიზთან ერთად, საწელიწდო ხატების იკონგრაფიული პროგრამის შესწავლა. მთავარი მიმართულებაა წარმოჩნდეს ის სახისმეტყველება და მნიშვნელობა, რომელიც ამ ტიპის ხატებს აქვს საღმრთო ლიტურგიკაში. ქართული შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობა გამოირჩევა თავისი მრავალფეროვნებით და მსოფლმხედველობით. ქართულ ხელოვნებაში საწელიწდო ხატები სიმცირე შეინიშნება. შესაძლებელია საწელიწდო ხატები ისტორიული ქარტებილების შედეგად განადგურდა. დასაშვებია ქართულ ხასიათს უფრო შეესაბამებოდა ის ლიტერატურული წყარო, როგორიც თვენი და გულანია, რომელიც უხვად არის შემკული მინიატიურული მხატვრობით. ახალი შუამთის ხატები ეპოქის გამოძახილია.

ნაშრომი მიზნად ისახავს შეძლებისდაგვარად უპასუხოს დასმულ საკითხებს. მასში წარმოდგენილი კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი იქნება XVIII–XIX საუკუნეების საეკლესიო ფერწერის მკლევართათვის. საწელიწდო ხატების იკონგრაფიული პროგრამა სასურველ მასალას მიაწვდის საეკლესიო მხატვრობის სფეროში მოღვაწე მხატვრებს. ნაშრომში მოტანილი ფაქტები, შეფასებები და დასკვნები შეიძლება საფუძვლად დაედოს ლექცია-სემინარებისა და სპეციალური კურსის მომზადებას, რომელშიც ასახული იქნება XVIII–XIX საუკუნეების ქართული და რუსული საეკლესიო მხატვრობის განვითარების თავისებურებანი საერთო ევროპული ხელოვნების ფონზე.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

განვითარებულ შეა საუკუნეებში ბიზანტიური კულტურის არეალში და შემდგა გვიან შეა საუკუნეებში მართლმადიდებელ ქავშნებში იქმნება საწელიწდო ხატები, რომელიც სათანადოდ არის შესწავლილი, როგორც ქართველი ისე უცხოელი მეცნიერების მიერ. განსაკუთრებულ ინტერესს გამოხატავენ სინას მთაზე წმ. ეკატერინეს სახელობის მონასტრის საგანძურში დაცული ხატების შესახებ. გ. და მ. სოტირიუების პირველი პუბლიკაციის შემდეგ გახდა ცნობილი სინას მენოლოგიური ხატები [2]. ზ. სხირტლაძეს პუბლიკაციაში განხილული აქვს იოანე თოხაბის მიერ მოხატული საწელიწდო ხატების სტილი და იკონოგრაფიული ხასიათი [3]. სინას ხატები ზოგადად მიმოიხილა ნ. ჭიჭინაძემ [4]. კ. ვაიცმანი [5], პ. მიოოვიჩი [6], დ. მიურიკი [7], ნ. შევჩენკო [8], თავიან შრომებში მონოგრაფიულად შეისწავლიან ამ ხატებს და განიხილავენ ზოგადად საწელიწდო ხატების მახასიათებელ ნიშან – თვისებებს.

რუსული ხატწერა მდიდარია მენოლოგიური ხატების კოლექციით, ისინი ძირითადად XVI–XIX საუკუნეებით თარიღდება. რუსეთში გავრცელებულია მცირე ზომის მენოლოგიური დაფები, რომელიც ორმხრივია. ერთ მხარეს ქრისტოლოგიური კომპოზიცია, მეორე მხარეს წმინდანების პორტრეტებია გამოსახული. ისინი შესწავლილია ვ. ლაზარევის მიერ [9]. უნდა აღინიშნოს, რომ შეა საუკუნეების ხატწერის პვლევის გარკვეულ ეტაპზე სპეციალისტები ნაკლებად განიხილავენ მონოგრაფიულად მენოლოგიურ ხატებს.

ახალი შუამთის საწელიწდო ხატები მკვლევართა მიერ შესწავლილი არ არის. მის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში და საარქივო მასალებში არაფერია ნათქვამი. საწელიწდო ხატების მონოგრაფიული შესწავლა საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ კალენდარული ხატების ძირითადი მახასიათებელი ნიშნები და სტილი, ის ისტორიული და კულტურული მდგომარეობა, რომელიც სუფერდა XVIII–XIX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში.

თავი I

საწელიწდო ხატების ლიტერატურული წყარო

საწელიწდო ხატების ლიტერატურული მნიშვნელობის განსაზღვრისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ ის საწყისი ლიტერატურული წყარო, რომელსაც ეფუძნება ეს ხატები და კალენდარული ილუსტრირების პრინციპი ამომწურავი სახით ნათელსაყოფი გავხადოთ.

საქართველოს საეკლესიო ლიტერატურული ცხოვრება სამ ძირითად პერიოდს მოიცავს: პალესტინური, კონსტატინოპოლის – მთაწმინდელი მამების მოღვაწეობა და რუსული. რუსეთის ეკლესიასთან კონტაქტი XVI საუკუნიდან იწყება, ხოლო XVIII საუკუნეში ვითარდება. VIII–X საუკუნეებში საქართველოს მჭიდრო და უწყვეტი კავშირი აქვს აღმოსავლეთის საქრისტიანო სამყაროსთან. ქართულ ეკლესიაში „საბაწმინდური განგება“ არის დამკვიდრებული. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, მითითებულია, რომ გრიგოლმა მოატანინა საბაწმინდის განგება და განაწესა მის მიერ დაარსებულ ეკლესია – მონასტრებში. ქრისტეს საფლავზე შემუშავებული იერუსალიმური რედაქციის ტიპიკონი ქართულად თარგმნილი VIII საუკუნეში საბოლოოდ მკვიდრდება [10].

ეროვნული კულტურის ორიგინალური მწერლობის განვითარების მიზნით იქმნება აგიოგრაფიული ნაწარმოებები, ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი. აგიოგრაფიასთან ერთად შემუშავდა ეროვნული ეორტოლოგიაც, წმინდა მოღვაწეთა სადიდებლად დაწესდა საეკლესიო დღესასწაულები, რომელიც შეტანილია ქართულ კალენდრებში. იოანე ზოსიმე „ქართული განგება“ და „განყოფა“ დაუპირისპირა ბერძნულს და „ქართული სათუალაგნი“ – წელთაღრიცხვა შემოიტანა. X საუკუნის შუა ხანებში მის მიერ არის გადაწერილი „იადიგარი საწელიწდო“ – „საგალობელნი რომელსა შინა წერილ არიან დღესასწაულნი ყოველნი ახალნი და მუელნი სრულიად, ჟამნი ათორმეტნი, სრულიად ქართულად და საბაწმინდურად“ [11]. პიმნოგრაფიული კრებული – კალენდარი, რომელიც ზოსიმემ შეადგინა სარგებლობდა ოთხი წყაროთი: კონტანტინოპოლის, იერუსალიმის,

საბაწმინდის და თვით „კანონი“ – განჩინებით. კალენდარში ქართველი წმინდანებია შეტანილი: აბო თბილელი, მეფე არჩილი, შუშანიკ დედოფალი და სხვანი [12]. აქტიური მუშაობა ჩანს სინას მთაზე მოღვაწე ბერების: კვირიკე მიძნამორელი, კვირიკე სოხასტერელი, გაბრიელი, მიქაელი. ისინი გადასწერდნენ ხელნაწერებს, ზრუნავდნენ ახალ თარგმანსა და შემკობაზე.

მოვლენების განვითარება ცხადყოფს, რომ შემდეგ იერუსალიმისა ძლიერდება კონსტანტინოპოლის საპატრიარქო, დიდი ეკლესიის წმ. სოფიის ტაძრის ტიპიკონი ვრცელდება და მკვიდრდება მართლმადიდებლურ საქრისტიანო ქვეყნებში. IX-X საუკუნეების სტუდიოსის მონასტრის ტიპიკონის ნუსხებში არის შეტანილი წმინდანთა ხსენების კალენდარი, ერთ-ერთი უძველესია პატმოსის ბიბლიოთეკის ტიპიკონი (IX-Xს) №266 ხელნაწერი, რომელშიც უხვად არის მოცემული წმინდანთა მოსახსენებელი კალენდარი [13]. ქართულ ლვთისმსახურებაში კონსტანტინოპოლის სვინაქსარული ცხოვრება გვაქვს X-XII საუკუნიდან XVIII საუკუნემდე.

„წმინდანთა ცხოვრება უზარმაზარ ოკეანეს წარმოადგენს“ [14], რომელიც სავსეა მრავალსახოვნებით. ბიზანტიურ სამყაროში XI–XVIII საუკუნეების დაახლოებით რვაას სამოცდაათი ხელნაწერია ცნობილი, მათგან ოთხ ათეულზე ცოტა მეტი შეუმკიათ მინიატიურით [15]. ბიზანტიაში X საუკუნის ბოლოს აგიოგრაფიულ მწერლობაში იწყება ახალი ხანა. ძველი კიმენური რედაქცია, რომელიც მრავალჯერ შეიცვალა და შეირყვნა მწვალებელთა მიერ, ადარ აკმაყოფილებდა ამ პერიოდის მსოფლმხედველობას, ამიტომ არსებული წმინდანთა ცხოვრების ტექსტების შესწორება და გავრცობა მიმდინარეობს, რამაც შესაძლებელი გახსადა მეტაფრასული რედაქციის შექმნა. ეს სამუშაო როგორც ცნობილია იტვირთა სვიმეონ ლოდოთეტმა მეტაფრასტად წოდებულმა. სვიმეონ ლოდოთეტს გაუმეტაფრასტებია შემოდგომა ზამთრის სექტემბერ-იანვრის თვენი (982წ). თვეთა მიხედვით წმინდანთა ცხოვრება-მარტვილობა ქართულად ითარგმნა XI საუკუნეში ექვთიმე ათონელის, სტეფანე სანანოსძის, დავით ტბელის (Xს-ის უკანასკნელი მეოთხედი), გიორგი მთაწმინდელის, ეფრემ მცირის და სხვათა მიერ [16]. სამეფო ბიზანტიური შვიდი თვის წმინდანთა საკითხავი

გადამუშავა ალექსი კომნენოსის მეფობის ხანაში იოანე ქსილიფონოსმა (1081წ.), ყოველივე ეს თვალნათლივ მიუთითებს მასზე, რომ საეკლესიო კალენდრის სრულყოფილი ჩამოყალიბება და დაწურვა X-XI საუკუნეების მიჯნაზე ხორციელდება.

ბიზანტიაში მიმდინარე მოვლენებს არ ჩამორჩება და ფეხდაფეხ მისდევს საქართველო. ბერძნულიდან საღვთისმეტყველო ნაშრომების თარგმნას და რედაქტირებას შესანიშნავად ახორციელებენ: ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები. ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების დვაწლი ქართულ მწერლობასა და საეკლესიო ლიტურგიკაში განუზომელია. ექვთიმე მთაწმინდელის ბერძნულიდან თარგმნილი „სვინაქსარი საწელიწდომ უმცროსია“ [17], სექტემბრის თუენი, საგალობლები და გიორგი მთაწმინდელის დიდი სვინაქსარი, რომლის ანდერძში წერია: „დასრულდა განგებად, თუეთა წელიწადისათა... მითარგმნიან ესე საღმრთონი წიგნი“ (1042-1044წწ.) [18] არის განძი განუზომელი „საფუძველი ეკლესიათა, რომლისა თვინიერ შეუძლებელ არს წარმართება ეკლესიისა, რამეთუ რომელ ეკლესიასა სვინაქსარი არ ჰქონდიან თაფლსა ჭამს, ხოლო სიტყბოებასა არა სცნობს“. გიორგი მთაწმინდელს „თთუენში ათორმეტნივე სრულიად ღმრთივბრწყინვალედ“ [19]. შეუკრებია სხვადასხვა ავტორების საგალობლები წმინდანთა, დღესასწაულთა და თავის ანდერძში აცხადებს: „არღარა რომელსა საბერძნეთისა ეკლესიასა არა იპოებოდის ამისა უკეთესი სათუეო, სრული და უნაკლოზ“ [20]. საქართველოში დასავლური კონსტანტონოპოლის საღვთისმეტყველო პრაქტიკა მკვიდრდება ექვთიმე მთაწმინდელის და გიორგი მთაწმინდელის თარგმნილი მცირე და დიდი სვინაქსარი. დავით აღმაშენებლის მეფობის ხანაში სვიმეონ საკვირველმოქმედის მონასტრიდან ახალი რედაქცია ტიპიკონის საბაწმინდური ვრცელდება [21].

XI საუკუნეში მთარგმნელობითი ხელოვნების და საზოგადო მწიგნობრობის აყვავება – განვითარების ფონზე იქმნება დასრულებული მხატვრული სახის მქონე ილუსტრირებული კოდექსები.

XI-XII საუკუნეებში მიმდინარეობს ინტენსიური შემოქმედებითი მოღვაწეობა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ სამონასტრო

ცენტრებში ჩვენთვის საინტერესო ლიტერატურულ საწყისზე: თვენის, სადღესასწაულოსი და სხვათა თარგმანების შევსება და განახლება. სულ რამდენიმეს გამოვყოფთ: ზოსიმე მონაზონის მიერ არის გადაწერილი ათონზე 1076 ოქტომბრის და ნოემბრის თვენი (Ath № 54). იოანე ბუქაიძის მოღვაწეობის პერიოდში ათონის მონასტერში მიმდინარეობს ხელნაწერთა გადაწერა და სავანესთვის შეწირვა. პეტრე ხუცესმა შეწირნა „სათუეონი ათორმეტთა თუეთანი, თავისა მორგებულნი და თვეითა ხელითა დაწერილნი შკდად წიგნად“ [22]. იოანე პეტრიწეს გადმოუდია ქრისტეფორე მიტილინელის ე.წ. „გალექსილი კალენდარი“, რომელსაც მან უწოდა „გალობა ყოველთა წმინდანთა“ სექტემბრიდან აგვისტომდე [23]. საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობს თვენის გადაწერა, ცალკეულ ნაწილთა შევსება. მარიამ მაკრინე მონაზონის, ინიციატივით გადაიწერა ალავერდში „სადღესასწაულო თვენი“ (1714-1716წწ).

ქართული ლიტერგია კონსტანტინოპოლისას მისდევს და დროთა განმავლობაში იგი ცვლილებებს განიცდის. XVIII საუკუნეში სურათი თანდათან იცვლება. დიდმა საეკლესიო მოღვაწემ დომენტი კათალიკოსმა 1718წ. გადააწერინა სადღესასწაულონი A-425, რომელიც ქართულ ჰიმნოგრაფიულ - ჰაგიოგრაფიული ელემენტებს შეიცავს, მსოფლიო წმინდანთა გვერდით ქართველ წმინდანთა სადღესასწაულოებია და მათი ხსენების დღეების „განგებაა“. სექტემბერ-აპრილის თვე სრულია, მაისი-აგვისტო გამოკრებილია. ხელნაწერში მითითებული ყველა მსოფლიო წმინდანი ახალი შუამთის ხატებზე არის გამოსახული, იმ განსხვავებით, რომ სადღესასწაულონში შეტანილია ქართველი წმინდანები, ახალი შუამთის ხატებზე ქართველი წმინდანები ჩანაცვლებულია რუსი წმინდანებით. ხელნაწერი სექტემბრის და ოქტომბრის თვის რამდენიმე წმინდანის პორტრეტული მინიატურით არის შემკული.

XVIII საუკუნეში მიმდინარეობს საეკლესიო ლიტერატურის ხელახლი რედაქტირება, მათ შორის თვენის. ამაში უდიდესი წვლილი მიუძღვის კათალიკოსს ანტონ I და ალექსი მესხიშვილს. ანტონ კათალიკოსმა ახალი ეპოქა შექმნა ქართულ საეკლესიო მწერლობაში და საღმრთო ლიტერგიკაში. დიდი მეცნიერი პ. კეკელიძე აღნიშნავს:

მან მოინდომა ის რაც X-XI საუკუნის ათონელმა მამებმა შექმნეს. ანტონ კათალიკოსმა რუსეთში ყოფნის დროს, შეისწავლა სადგოისმეტყველო ლიტერატურა, შეადარა ქართულ წყაროებს, შეასწორა: ტიპიკონი და კონდაკი [24]. ქართული პარაკლიტონი შეადარა ბერძნულს. მანამდე ბესარიონ კათალიკოსს (1730-1737წწ.) ტიპიკონში შეუტანია სლავური ტიპიკონის შენიშვნები [25]. განსაკუთრებით ჩვენთვის საინტერესოა თვენი. გელათის მონასტრის სადღესაწაულონის ხელნაწერის მინაწერში არის შემონახული თვენის წინასიტყვაობა, საიდანაც ვიგებთ, რომ ანტონ კათალიკოსმა თვენის სლავურიდან თარგმნა მიანდო გაბრიელ ხუცესს, რადგან თვითონ სლავური არ იცოდა, გრამატიკოსნი პყავდა „რუსი კლირიკი ეკლესიისანი ჩემისანი... გაბრიელ მეტყოდა რა ქართულად დიდითა გამოძიებითა თითოსა ლექსსაცა ვკითხავდი დრამატიკოსთა მათ რუსთა“ [26]. XVIII საუკუნეში არ დარჩენილა არცერთი საეკლესიო წიგნი, რომელიც სლავური წიგნების მიხედვით არ შესწორებულიყოს. ჩვენს ეკლესიებში ახლა ხმარებაშია სწორედ ეს მეთვრამეტე საუკუნის რედაქცია [27]. ასეთ ვითარებაში ჩვენთვის გასაგებია რამდენად სრულყოფილი იქნებოდა ეს თარგმანები. თანმიმდევრულად აღწერს ანტონ კათალიკოსი თუ რა ცვლილებები შეიტანა მან საეკლესიო კალენდარში, როგორ შეეცადა არსებულ შეცდომათა გასწორებას და ქართველ წმინდანთა ხსენების გამართვას, სადაც საკუთარი პიმნები დაურთო [28].

არ გვინდა ისე წარმოჩინდეს ამ პერიოდში თითქოს მხოლოდ რუსულით არის გატაცება და სხვა წყაროს არ მიმართავდნენ. ანტონ კათალიკოსი სარგებლობდა როგორც რუსული ასევე ბერძნული და სომხური წყაროებით. გარდა ამისა ბერძენ სწავლულებთან, რომლებიც იმ დროს საქართველოში იმყოფებოდნენ, ხდება გარკვეულ საკითხთა შეჯერება და დახვეწა. უფრო ადრე კვიპრიანე სამთავრელმა დომენტი კათალიკოსის დავალებით ბერძნულიდან თარგმნა კურთხევანი, რუსულ ვარიანტს არ შეხებიან [29]. პალესტინური ტიპიკონი საქართველოში ფუნქციონირებდა მანამ, სანამ იგი რუსულით არ შესწორდა.

რუსეთთან საქართველოს კონტაქტი და რუსული მასალის გადმოქართულება ბიზანტიის დაცემის შემდეგ აქტიურად იწყება.

ცნობილი სახეები: არჩილ მეფე, ვახტანგ VI, იოსებ სამებელი, რომანოზ მიტროპოლიტი, გაიოზ არქიდიაკონი და სხვანი რუსეთთან მჭიდრო კონტაქტს აძლიერებენ. განსაკუთრებით ეს კონტაქტი სერიოზულ სახეს იღებს 1705 წლიდან [30] მოსკოვში და პეტერბურგში დაარსებული ქართული სტამბა და შემდეგ თბილისში (1755წ.) და თელავში (1782წ.) [31] გახსნილი სემინარიები, სადაც სწავლა რუსეთის სასულიერო სემინარიის კვალობაზე მიმდინარეობს ამას ხელს უწყობს. შეიძლება ითქვას, რომ შესანიშნავად განხორციელდა იმპერატორ ეპატერინეს სიტყვები: «Чтобы тело было грузинское, а душа русская» [32] ეს პროცესი თვალნათლივ ასახულია ახალი შუამთის ხატებში რუსული ეტიმოლოგია წარწერებში მცირედ, მაგრამ მაინც შესამჩნევია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, XVI საუკუნიდან აქტიურად მიმდინარეობს კათოლიკური მისით ჩამოსულ მისიონერთა მოღვაწეობა და იტალიური ლიტერატურის თარგმნა.

საეკლესიო კალენდრის საკითხი გადაუსინჯავს ანა დედოფალს კახეთში გადმოსვლის შემდგომ ჩატარებულ საეკლესიო კრებაზე 1703 წ. XVIII საუკუნეში ქართულმა კალენდარმა ოთხი რედაქცია გაიარა. (1703-1758წწ.) საბოლოო რედაქცია იყო ანტონ კათალიკოსის [33].

ანტონ კათალიკოსის თანამოღვაწე და მეგობარი ანჩისხატის დეკანოზი ალექსი მესხიშვილი განსაკუთრებით აქტიურად მოღვაწეობს თბილისში. 1758წ. მან გადაწერა: „სათვეო განგება ანუ თთუენი“: უამთა ვითარების გამო თვენის გადამწერნი წმინდანთა ხსენების დღეს ხან ერთ ჯგუფში ათავსებდნენ, ხან მეორეში. რამაც თვენის რედაქციების სხვადასხვაობა გამოიწვია. ა. მესხიშვილი ქართულ თვენს ადარებს რუსულს. რუსულ თვენში არ იყო ის საგალობლები, რომელიც ქართულში გვხვდება, ხოლო ქართულ თვენში არ იყო ტიპიკარული შენიშვნები ამა თუ იმ დროს დვოისმსახურების შესრულების წესრიგის აღნიშვნელი. სათვეო განგების მინაწერში იგი წერს: „რაოდენიცა აღეწერათ წიგნი, თავის ნებაზედ განერყენათ... ეპლესიისა წესი და განწესებანი სრულიად დაეშთინათ, რადგან დედანი არა ჰქონდათ... გამოვიძიე მრავალთა ძველთა წიგნთა შინა... სადაც რომ იპოვებოდა მივსწვდი, უნახავ არა დამიშთა... გასმოწულვილვით გამოვიძიე“ [34]. მან ძველი ქართული წყაროები გამოიყენა, რუს წმინდანთა და

დღესასწაულთა ნაცვლად ქართული შეიტანა, ანტონ კათალიკოსის სისტემის მიხედვით. თუმცა რუსული ფრაზებიც გადმოაქვს ქართულ თუენში. ალექსი მესხიშვილი ანტონ კათალიკოსთან ერთად არის ის პიროვნება, რომელიც რუსულ რელსებზე გადადის და ცდილობს რუსული კულტურასთან დაახლოებას.

XVIII სუკუნეში ქართულ ლიტურგიკაში ჩანს რუსოფილური გატაცება და მიმართულება. ცდილობები გადმოიტანონ საღვთისმეტყველო წესები და ტრადიციები. რწმენა მართლმადიდებლობის თაყვანისცემისადმი ქართველ მოღვაწეებს რუსეთისადმი განაწყობდა და იმედს აძლევდა სრულყოფილი სახელმწიფოს ადდგენა – განვითარებაში. სიტუაცია რადიკალურად იცვლება 1811 წ. ანტონ II კათალიკოსი დაითხოვეს „უქაზისამებრ იმპერატორისა, კათოლიკოზობა გაუქმდა და მაგიურ ამისა დაწესდა ექსარხოსთან [35]“. ქართული ლიტურგიკა და ცხოვრება რუსულ რელსებზე გადადის. შემოაქვთ რუსული საღვთისმსახურო წესები და ტრადიციები.

XVIII–XIX საუკუნეების საღმრთო ლიტურგიკის რუსულ რელსებზე გადაყვანა საფუძველს უყრის ხელოვნებაში რუსული მხატვრული გემოვნების შემოტანას და ქართულ საეკლესიო ხელოვნებაში რუსული მხატვრული სტილის დამკვიდრებას.

ზემოთ მოკლედ მიმოხილული მასალა ლიტურგიული საწყისი, მენოლოგიუმი და საწელიწდო ხატები საქართველოში მრავალფეროვანი და მრავალმხრივია, გპოქალური ცვლილებები კულტურაზე თვალნათლივ ისახება და წარმოიშობა სრულიად ახალი სახისმეტყველება. ანტონ I კათალიკოსის მოღვაწეობა არის საფუძველი საფუძველთა, რომელიც შემდეგ ნაყოფს გამოიღებს. ახალ გზაზე დააყენა ქართული საეკლესიო დვთისმსახურება, რაც ნათლად აისახა ხელოვნებაში: მონუმენტურ ფერწერასა და ხატწერაში. იქმნება ხატწერის ისეთი ნიმუშები, რომელიც ატარებს რუსული ხელოვნების მხატვრულ სტილურ ნიშნებს. იქმნება მენოლოგიური ხატი. საეგზარხოსო მმართველობა მძიმე ტვირთად დაწვდის ქართულ ეკლესიას.

ა. რუსეთის ეპლესიის საეპლესიო თვენი

წინა თავში ზოგადად მიმოვიხილეთ ის ლიტერატურული და საეპლესიო კალენდარული საწყისი, რომლითაც საზრდოობდა საუკუნეების განმავლობაში ქართული ეპლესია. ამ თავში მოკლედ შევეხებით რუსეთის ეპლესიის კანონიკურ საფუძველს. ყოველივე ეს დაგვეხმარება ახალი შუამთის მონასტრის საწელიწდო ხატების ლიტურგიკული საწყისის შემეცნებაში.

რუსეთს ქრისტიანობის მიღების შემდეგ ბიზანტიიდან შემოაქვს და თარგმნის სადმრთო ლიტერატურას. XI საუკუნის 30-იან წლებში ითარგმნა კონსტანტინოპოლის პატრიარქის ალექსის მიერ შედგენილი განჩინება, რომელიც ძირითადად სტუდიელთა მონასტრის წესდებაზე იყო დაფუძნებული [36]. XII–XIV საუკუნეებში აქ გავრცელებულია სტუდიოსის მინეა, რომელიც მოგვიანებით შეცვალა მიტროპოლიტმა კიპრიანემ. მან ხელახლა გადამუშავა იერუსალიმური განჩინება და განავრცო რუსული საეპლესიო დღესასწაულებით და ეროვნული წმინდანებით [37] პირველი მინიატიურებით შემცირდი მენოლოგია 1063წ. არის შესრულებული და ინახებოდა სტავრონიკიტას მონასტერში [38]. XI საუკუნეში თარგმნილ სახარებასთან და სამოციქულოსთან ერთად, ითარგმნა ნოვგოროდის საღვთისმსახურო მინეა 1095/1096წ. XI საუკუნეში არის გამოცემული ძველი სლავური სუპრალსკის ხელნაწერის მარტის მინეა. XII საუკუნეს ეკუთვნის სოფიის მინეა მოსკოვის ისტორიის მუზეუმი [39]. XIV–XV საუკუნეებში რუსეთში მკვიდრდება იერუსალიმის მინეა. სოფიის ბიბლიოთეკაში ინახება XIV–XVIII სს. რუსული მინეის ხელნაწერები, რომელიც სხვადასხვა მონასტრებშია გადაწერილი [40]. XVI საუკუნის შუახანებში რუსეთში მიტროპოლიტ მაკარის ხელმძღვანელობით შეადგინეს დიდი მინეა, 12 ტომი თორმეტი თვის მიხედვით, რომელიც წარმოადგენდა სიმბოლოს გაერთიანებული და ძლიერი სამეფოს. „მოიძიეს ყველა წიგნი რომელიც რუსეთში მოიპოვებოდა: კრებული წმინდანთა ცხოვრების, წმინდა წერილი, ქადაგებანი და სხვა“ [41]. მაკარიმ თვეების მიხედვით შეიტანა, რუსული ეპლესიის მიერ კანონიზირებული რუსი წმინდანები და მსოფლიო წმინდანთა გვერდით განათავსა.

წმ. სერგიევ – ლავრის მობის ეკლესიის წინამდღვარმა იოანე მილიუტინმა შეადგინა მინეა (1646-1654). XVII საუკუნეში რუსეთში გამოდის პირველი ბეჭდური მინეა, რომელიც ხელახლა იქნა რედაქტირებული მასში შეტანილია სვიმეონ მეტაფრასტის და მაკარევის საკითხავი თვენი [42]. რუსეთის ეკლესია ეროვნული წმინდანების კანონიზაციას X საუკუნიდან იწყებს, ადგილობრივი წმინდანების კანონიზაცია მიმდინარეობს საეკლესიო კრებებზე 1547-1549 წელს, რაც გრძელდება მომდევნო საუკუნეებშია [43] ცალკეული ეკლესია – მონასტრებში ეროვნულ წმინდანთა მოხსენება ადგილობრივი ტრადიციის მიხედვითაც სრულდებოდა. 1784 წელს გამოდის საეკლესიო კალენდარი, სადაც წმინდანთა და დღესასწაულების გვერდით, შეტანილია სამეფო დღენი.

ბ. მენოლოგია საწელიწდო ხატების დედანი

ბიზანტიური ხატები დაედო საფუძვლად რუსულ მენოლოგიურ ხატებს. ბიზანტიურ მენოლოგიურ ხატებს ახასიათებს კალენდარული თანმიმდევრობით წმინდანების მთელი სიმაღლით გამოხატვა, ფიგურათა სიმრავლე, კომპოზიციის ჩარჩოთი შეკვრა, მინიატიურული სტილი, ზოგადი შტრიხებით ფორმის გადმოცემა. რუსულ საწელიწდო ხატებსა და მინეაზე იკონოგრაფიული პროგრამა რამდენადმე შეცვლილია, იგი გაჯერებულია რუს წმინდანთა ცხოვრების ეპიზოდებით, დაფიქსირებულია ისტორიული ფაქტები, აპოკრიფული თემები. კომპოზიციები გადატვირთულია და მრავალფეროვანია. ამის შესანიშნავი მაგალითია თვენი პ. უვაროვას კოლექციიდან, სადაც ბიზანტიურ იკონოგრაფიულ პროგრამაში დამატებულია 150 ადგილობრივი რუსული დღესასწაული მოსახსენიებლით [44]. განსაკუთრებით ეს ეხება XVII საუკუნის მენოლოგიურ ხატებს. ხატები ხშირად დამკვეთის მოთხოვნას გამოხატავს. ორმხრივ მინეა – ხატზე პავლე კორენის კოლექციიდან მოსკოვის სკოლა 1597წ. (ტაბ. 43) უწყვეტი თხრობის პრინციპით, სარტყლისებურად არის აგებული კომპოზიცია. წმინდანები ჩარჩოთი არ არის გამოყოფილი [45].

საერთოდ, ხატებზე თხრობის პრინციპი, რომ არ დაირღვეს თხელი თეორი გრაფიკული ხაზით არის გამოყოფილი ფიგურები და კომპოზიციები. ასეთია: საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული რუსული საწელიწდო ხატები: სხმ/რხ 34 (ტაბ. 29), სხმ/რხ 33 (ტაბ. 25, 26), სხმ/რხ 390 (ტაბ. 30), ათონის მთაზე ნიკოლოზ II მიერ შეწირული სიმონოპეტრას მონასტრისათვის დიდი მენოლოგიური (XIXს.) ხატი (ტაბ. 48), რომელზედაც რთული იკონოგრაფიული პროგრამაა მოცემული. ერთ პანელზე ჩვილები და თვეების ხატები და თვეებია, კომპოზიციის ცენტრში დოდეკანონის იკონოგრაფიული პროგრამაა განთავსებული [46]. რუსულ მენოლოგიურ ხატებზე ძირითადად წინა პირია მოხატული და მასზე რამდენიმე რიგად არის გაწყობილი საეკლესიო კალენდარი, მაგ. დეკემბრის ხატი მოსკოვის ხარების ეკლესიიდან (1817წ.) (ტაბ. 42). თუ გავავლებთ პარალელს ახალი შუამთის მონასტრის ხატებთან მკვეთრ განსხვავებას შევნიშნავთ. ახალი შუამთის ხატზე თითოეული დღე წმინდანის თუ ქრისტოლოგიური სცენის გამიჯნულია ოქროსფერი ჩარჩოთი. ხატის ზომაც დიდია და მხოლოდ სამი სარტყელია მასზე. ხატის წინა პირზე თვის პირველი ნახევარია მოცემული 1 დან – 16-მდე, მეორე მხარეს თვის მეორე ნაწილი. ეს მხატვარს თავისუფალი გამოსახვის და პერსონიკაციის საშუალებას აძლევს. მსგავსი კომპოზიციური გადაწყვეტა აახლოვებს ქართული ხატწერის ნიმუშებთან, თუმცა მათგან რამდენადმე განსხვავდება. ახალი შუამთის საწელიწდო ხატზე დამოუკიდებლად იქმნება შემოქმედის მიერ მხატვრული სახე, თითოეული სახე მისდევს ცხოვრებისულ ტექსტს და ლაკონიურად გამოსახავს პიროვნების დვაწლს.

საწელიწდო ხატის საფუძველი არის მენოლოგიები. XI საუკუნეში ბიზანტიაში საბოლოოდ ჩამოყალიბდა წმინდანთა კანონიკური სახეები, რომელიც ბიზანტიურ ხელნაწერ წიგნებს ავსებს, თითოეულ წმინდანს თავისი განსაკუთრებული გარკვეული იკონოგრაფიული პორტრეტული ნიშნები აქვს და მჭიდროდ დაკავშირებულია ტექსტთან [47]. გამოსახულება და ტექსტი ერთმანეთს ავსებს და სრულყოფილ წარმოდგენას გვაძლევს. XI-XII საუკუნეებში კონსტანტინოპოლში შექმნილი მინიატიურები კლასიკური სტილის მატარებელია და ისინი

მრავლად გვხდება ლექციონარებში, ფსალმუნებში, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვაში და სხვა. სამეფო მენოლოგიაზე მოსკოვის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმიდან ხელნაწერი გრე. 183 XI საუკუნის II ნახევარი, ყოველი წმინდანის ცხოვრება ერთ სქემას მისდევს. წმინდანები გამოსახულია ნეიტრალურ ფონზე ფრონტალურად, უძრავი პოზით, ფონი ზოგან შევსებულია არქიტექტურული ან პეიზაჟის დეტალებით. წმინდანებს ხელში უჭირავს ატრიბუტი – სახარება, ჯვარი, შუბი, ფარი. თავზე წამების სიმბოლო გვირგვინი ადგათ. პაპეკლიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ხელნაწერი A-648 ექვთიმე მთაწმინდელის მცირე სვინაქსარი ზაქარია ვალაშკერტელის შეკვეთით შესრულებული მოიცავს ახალ აღთქმას და წმინდანთა გამოსახულებებს. წმინდანთა პორტრეტები მთელი სიმაღლით არიან მოცემული ფრონტალურად თავისი ატრიბუტებით და მსგავსად სინას მენოლოგიური ხატებისა ოქროს ფონზე არიან გამოსახულნი [48].

მენოლოგიათა ილუსტრირებას პ. მიიოვიჩი ორ ტიპად ჰყოფს: A – კალენდარული თანმიმდევრობით გამოსახული წმინდანთა წამების და გარდაცვალების სცენები, B – დღეები და ყოველი წმინდანთა პორტრეტებით [49], წმინდანის მოხსენიების დღე განსაზღვრულია მისი გარდაცვალების დღედ, როდესაც იწყება სულიერი ამაღლება და სასუფელის დამკვიდრება. ახალი შუამთის ხატებზე B ვარიანტია მოცემული წმინდანები და უძრავი დღესასწაულები. ეს ორი ძირითადი ტიპილოგია ახასიათებს: ბიზანტიურ, ქართულ, ბულგარულ, რუსულ, რუმინულ მენოლოგიებს [50]. ყველა მენოლოგიურ ხატსა თუ მინიატიურაში შეიმჩნევა ის ლიტერატურული წყარო, რომლითაც სარგებლობდა მხატვარი. პაკროვსკი და ბუსლაევი „მენოლოგიას უწოდებენ ხატწერის დედანს ფართო გაგებით სახარების და ფსალმუნის პირველსაწყისი სახის შემდეგ“ [51].

ხატებსა და მენოლოგიებზე განმარტებითი წარწერები შესრულებულია ხშირ შემთხვევაში ბერძნულ და ადგილობრივ ენებზე. ქართულ მენოლოგიებს და სინას ხატებს აქვს ბერძნული და ქართული წარწერები. პეტერბურგის სალტიკოვ შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ფონდში დაცულ XIV საუკუნის ხელნაწერში თვენი

წმინდანთა განმარტებითი მინაწერები ქართველ წმინდანებზე ბერძნულ ენაზეა შესრულებული, ხოლო მსოფლიო წმინდანებზე – ქართულ ენაზე. ამით ხაზგასმულია ქართველ წმინდანთა თანასწორობა მსოფლიო წმინდანებთან [52]. ახალი შუამთის ხატებზე მთლიანად ქართული წარწერებია, მაგრამ არცერთი ქართველი წმინდანი არ არის გამოსახული, ისინი ჩანაცვლებულია რუსი წმინდანებით. რუსოფილური ზეგავლენის მიღწევის მიზნით, ცდილობენ აღმოიფხორას ეროვნულ წმინდანთა იკონგრაფიული სახე და მრევლი თაყვანს მიაგებდეს რუს წმინდანებს, მათი მეშვეობით მეოხებას ითხოვდეს უფლის წინაშე. მოსახლეობა რუსულ ენას არ ფლობდა ამიტომ წარწერები შესრულებულია ნუსხურით.

ხელნაწერ მინიატიურებში თანმიმდევრულად არინ გამოსახულნი წმინდანები ფეხზე მდგომი, ან მკერდამდე. კალენდარული ხატის პრინციპით არის შესრულებული ხელნაწერი A-442 XVIIს. (საქართველოს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი), (ტაბ. 54, 55). ბიზანტიურ იკონგრაფიაში მიღებულია უმთავრესი, პირველი დასახელების წმინდანთა გამოსახვა. ადრეული იკონგრაფიული პროგრამის გამოძახილია ახალი შუამთის ხატებზე წმინდანების სხვადასხვა ასაკში გამოსახვა, ძირითადად ცისფერ – ყავისფერ ფონზე.

სამართლმადიდებლო სივრცეში კალენდარული ხატების ხანგძლივი ტრადიციის არსებობის მიუხედავად, ქართულ სახვით ხელოვნებაში მენოლოგიური ხატების სიმცირე შეინიშნება. ამას თავისი ახსნა შეიძლება მოქმებნოს. შესაძლოა საქართველოს ისტორიის მძიმე და სისხლიანმა ფურცლებმა გაანადგურა და არ მოაღწია ჩვენამდე ამ ხატებმა. ლიტურგიკულ კალენდართან დაკავშირებით მონუმენტურ ფერწერაში გვაქვს ქრისტოლოგიური თხრობა. მრავლად არის გამოსახული სვეტებზე, თაღებზე, სარკმლების ღიობებზე წმინდანთა პორტრეტები უმთავრესად იერარქიული თანმიმდევრობით, მაგრამ არა მენოლოგიური კალენდარული წყობით. პალეოლოგოსთა პერიოდიდან სლავური ეკლესიის ნარტექსის მოხატულობაში მარტვილთა ციკლია გამოსახული. მენოლოგიური კალენდარი ბიზანტიურ მონუმენტურ მხატვრობაში არ გვხვდება [53]. რუსეთის ზვერინის მონასტრის სვიმეონ მიმრქმნელის ეკლესია XV საუკუნის ბოლოს უნდა იყოს

მოხატული, მისი კედლის მხატვრობა მთლიანად მენოლოგიური შინაარსის არის, საეკლესიო კალენდრის მიხედვით არის შესრულებული და იწყება ჩრდილოეთის ყელიდან სმ. მხარეს საყრდენ თაღზე გადადის და მთელ ეკლესიას მოიცავს. ქრისტოლოგიური და ლვოსმშობლის დღესასწაულის სცენები ნახევარ ფიგურული გამოსახულებით არის შესრულებული [54]. ბულგარეთში ორმოცმოწამეთა ტაძრის ფრესკა (1230წ) 1913წ. მიწისძვრამ დანგრია. მისი ფერწერა მისდევს XII საუკუნის სვინაქსარს კონსტანტინოპოლის კალენდარს [55].

XVI–XVII საუკუნეებში ქართული საეკლესიო კულტურის „გაცოცხლება“ მიმდინარეობს უხვად გვაქვს ჭედური ხატები, რომელშიც აღდგენილია ძველი ტრადიციები. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ პერიოდში იწერება დიდი ფოლიანტები – გულანები. ჟამგულანები და გულანები საღვთისმეტყველო ლიტერატურის კრებულებია. გულანი ორიგინალური ქართული ეროვნული მოვლენაა ქრისტიანულ ხელოვნებაში. გულანებში თვენი მინიატიურებით არის შემკული. ცნობილი გულანებია: გელათის, ჩხარის, კაცხის, ბედიის, ალავერდის, ანჩისხატის, მარტვილის, შემოქმედის. XVII საუკუნეში ანტიოქიის პატრიარქი მაკარი, განცვიფრებაში მოუყვანია ქართულ დიდ გულანებს [56]. 6. შევჩენკო მიიჩნევს, რომ კალენდარულ ხატზე თანმიმდევრულად აისახება ზეციური ეკლესია მიწიერ ლიტურგიკაში და წარმოადგენს იდეალურ მოდელს ბიზანტიის იმპერიის, როგორც მსოფლიო იმპერიის გამაერთიანებელი ბატონის [57]. ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ მის მემკვიდრედ თავს აცხადებს რუსეთის ეკლესია და XVI საუკუნიდან ინტენსიურად მკვიდრდება და ვრცელდება მენოლოგიური ხატები.

გამომდინარე ზემოთქმულიდან გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ ქართულ საეკლესიო ხელოვნებაში თვენმა და გულანმა ჩაანაცვლა კალენდარული ხატები. ერთადერთი საწელიწდო ხატი, რომელიც დღესდღეობით გვაქვს საქართველოში არის ახალი შუამთის მონასტრიდან. რუსული კულტურის შემოდინების შედეგად ჩნდება საქართველოში საწელიწდო ხატი. ეს დაკავშირებულია ანტონ I საეკლესიო რეფორმებთან და რუსულ საეგზარხოსო მმართველობასთან.

გ. საეკლესიო კალენდარი

საეკლესიო კალენდრის ისტორია ვრცელი და მრავალფეროვანია. კალენდარი უშუალოდ არის დაკავშირებული საწელიწდო ხატების წარმოშობასა და განვითარებასთან.

პავლე მოციქულის ეპისტოლებში ჩანს, რომ I საუკუნეში ღვთისმსახურება შედგებოდა ოთხი ნაწილისაგან: ლოცვანი, გალობა, საღმრთო წერილის კითხვა, ქადაგება. მოციქულთა საუკუნეებ საფუძველი ჩაუყარა არა მარტო ყოველდღიურ ღვთისმსახურებას, არამედ საეკლესიო კალენდარს [58]. II საუკუნიდან ღვთისმსახურებას დაემატა მოწამეთა ხსენების (მოწამებრივი აღსასრული) დღის დამკვიდრება და მათი ცხოვრების კითხვა. პავლე მოციქული ამბობს: „მოიხსენიეთ წინამძღვარნი იგი თქუენი, რომელი გეტყოდეს თქუენ სიტყუათა მათ ღმრთისათა და ჰელევდით გამოსვლასა მას ცხოვრებასა მათსა და პბაძვიდეთ სარწმუნოებასა მათსა“ [59]. III-IV საუკუნეებში მოწამეთა ცხოვრების წაკითხვა ღვთისმსახურების დროს აუცილებელი ხდება. საუფლო და მოწამეთა დღეების დღესასწაულების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით შეიქმნა სვინაქსარული – კალენდრები. ქრისტიანთა ცხოვრების ამსახველი ლიტერატურული პირველწყარო „მოწამეთა აქტებია“, პროკონსულების და მათი გასამართლების, დასჯის პროცესი სასამართლო მდივნების შედგენილი, ან თვითმხილველთა მიერ აღწერილი [60]. II საუკუნიდან წმინდანთა ცხოვრებას კითხულობდნენ ეკლესიებში და სახლებში, სადაც პირველი ქრისტიანები იკრიბებოდნენ. საზეიმო წირვის შემდეგ მიდიოდნენ წამებულთა საფლავებზე. წმინდანთა ცხოვრების ამსახველი ეს ჩანაწერები ევსები პამფელმა ერთ წიგნად შეკრა. თეოდორე სტუდიელის წერილიდან ჩანს, რომ „წამებანი და ცხოვრებანის“ 12 წიგნი არსებობდა თვეთა და დღეთა მიხედვით გაწყობილი. VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ (691წ.) მიიღო დადგენილება წმინდათა წიგნები ურწმუნოთა ცხოვრებისაგან გაეწმინდათ [61]. V-VIII საუკუნეებში ახალი და ძველი აღთქმის საეკლესიო დღესასწაულების, ახალ მოწამეთა და წმინდანთა დღესასწაულის აღნიშვნის

რიცხობრივმა ზოდამ კალენდარი განავრცო, შეავსო წმინდანთა ცხოვრებაც.

კალენდარი არსებობდა უძველესი დროიდან: ეგვიპტეში, ბაბილონში, იუდეაში, საბერძნეთში და რომში. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. ქრისტიანული კალენდარი რომაული კალენდრიდან იღებს სათავეს [62]. რომაული კალენდარი ყოველი თვის დამდეგს ახალ მთვარეს უკავშირდებოდა. რომის რესპუბლიკის კალენდარი ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას, ხალხს, საზოგადოებას აიძულებდა იმ დროისათვის წესრიგი დაემყარებინა სახელმწიფოში და სიმბოლურად გამოხატავდა ხალხის მმართველობას. წარმართულ კალენდარში თვეთა რიცხვებით აღნიშნული იყო: დმერთების დღესასწაულები, იმპერატორის დაბადების თარიღი, სენატის სხდომები და სხვა [63]. პირველი ქრისტიანები რომაელთა წარმართული კალენდრით სარგებლობდნენ, რომელშიც ამა თუ იმ რიცხვის ქვეშ შეჰქონდათ ქრისტიან წმინდანთა ხსენება და დღესასწაულები. ასეთია ფილოქალის კალენდარი (354წ.), ნახევრად წარმართულია სილვიუს პტოლემეუსის კალენდარი (448წ.) და სხვა [64]. ქრისტიანული კალენდრით დღესასწაულებსა და დიდ წმინდანთა ხსენების დღეებში მორწმუნები კრებებს მართავდნენ, წმინდანთა სადიდებლად და პატივსაცემად.

თავდაპირველად თითოეულ ეკლესიას ან მორწმუნე კრებულს, რომელიც დამყარებული იყო ეროვნულ, ადმინისტრაციულ და კონფენსიურ პრინციპებზე პქონდა საკუთარი კალენდარი. კალენდრებში შეტანილი იყო ამ ეკლესიის წმინდანები და დღესასწაულები. ასეთი იყო: რომაული მარტინოლოგები, კართაგენის, გოთური, სირიული, იერუსალიმის, კონსტანტინოპოლის და სხვა კალენდრები. დროთა განმავლობაში ადგილობრივი კალენდრების კონცენტრაცია და გაერთიანება ხდება, რამაც წაშალა მათი ინდივიდუალობა და დაფარა მათი სფერიფიკური თავისებურება. ამ კალენდრებს შორის ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია იოანე ზოსიმეს კალენდარი „საგალობელი იადიგარნი“.

IV საუკუნეში უკვე არსებობდა არაერთი ქრისტიანული მოწამეთა კალენდარი. მოგვიანებით მკვიდრდება ეკლესიის წინამდღვართა და მამათა ხსენების დღის დაწესება. IV საუკუნეში ცხოვრების წაკითხვა

დაგანონებულია დვთისმსახურების დროს [65]. დანგრის კრებამ 340 წელს დაადგინა წმინდანთა საპატივცემულო დვთისმსახურება [66]. ქრისტიანული კალენდარი თანდათან ივსება და იხვეწება. მასში შედის საუფლო დღესასწაულები, დგინდება ანგელოზთა და ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა აღნიშვნის დღეები. IV საუკუნეში კალენდარში შეაქვთ არა მხოლოდ მარტვილები, არამედ ეკლესიის მოღვაწე მეუდაბნოენი, ბერ-მონაზონნი, რომლებიც გამოირჩეოდნენ წმინდა ცხოვრების წესით და ლვაწლით, რადგან ისტორიული ვითარება იცვლება და ქრისტიანთა დევნა წყდება [67].

უძველესი ბერმნული კალენდრები საკითხავი სახარება – სამოციქულოს ერთვის. დვთისმსახურებაში გამოყენებული სახარება – სამოციქულოებზე დართული კალენდრები, წმინდანთა სახელებს შეიცავდა და დღეების მიხედვით, მას თან ერთვოდა ლიტურგიკული მითითებები. ქრისტიანული კალენდრები ერთმანეთისაგან განსხვავდება. კალენდრებმა საფუძველი შეუქმნა სვინაქსარულ რედაქციებს [68].

ადრეულ თვენში მარტსა და აპრილში არ იყო წმინდანების დღესასწაულები, რადგან ეს სააღდგომო მარხვას ემთხვეოდა [69]. იუსტინიე დიდმა შეიმუშავა საპატივიარქო – საღვთისმეტყველო ტიპიკონი და კალენდარი. პროცესი კალენდრის შექნისა და დახვეწის IX-X საუკუნეში მიმდინარეობს. X საუკუნის ბოლოს საბოლოო სახეს იღებს. ძნელია მოიძებნოს ორი ერთნაირი კალენდარი, სრულად რომ ემთხვეოდეს ერთმანეთს.

კალენდრის ჩამოყალიბების და განვითარების მიმოხილვამ ცხადად დაგვანახა რაოდენ მნიშვნელოვანია იგი საეკლესიო მსახურებაში. სვინაქსარულმა კალენდრებმა განაპირობეს XI საუკუნეში შექმნილიყო ისეთი დიდებული კალენდარული ხატი, როგორიც იოანე თოხაბის მოხატული ხატები, რომელზეც მთელი წლის კალენდარია გაერთიანებული. ახალი შუამთის ხატზე მხოლოდ უძრავი კალენდარია მოცემული. ბიზანტიური საეკლესიო კალენდარი მიძღვნილია უფლისადმი, იგი განსაზღვრავდა სამყაროს დროს. კალენდარულ ხატებზე წმინდანების ცხოვრება ლიტურატურული პირველწყარო და გამომსახველობითი ხელოვნება მჭიდროდ არის დაკავშირებული. გამოსახულება და სიტყვა ერთმანეთს აგსებს.

თავი II

ახალი შუამთის საწელიწდო ხატების იქონოგრაფიული აღწერა - ანალიზი

ახალი შუამთის საწელიწდო ხატები შემონახულია მხოლოდ ათი თვე, იგნისის და სექტემბრის თვის ხატები დაკარგულია. იანვრის თვის ხატის წინა პირზე წმინდანთა ფიგურები ცისფერ მოყავისფრო ფონზე ჩარჩოში მჭიდროდ არიან გამოსახულნი. ხატის ზურგზე – შედარებით თავისუფლად, ამიტომ უკანა პლანი მთლიანად ჩანს სიბრტყეზე. მხატვარი იყენებს დაბალი პორიზონტის ხაზს, სადაც თეთრი ფერი მკრთალად შეიმჩნევა ყავისფერი ტონიდან, ცისფერ ფერზე გადასვლისას თეთრი ნათება განასხივოსნებს სიბრტყეს. ახალი შუამთის მენოლოგიურ ხატებზე მოხატულობის ორი ტონი, ორი შეურეველი ლაქა, ორადობის განცდა, ორბუნებოვნების მიწიერის და ზეციერის ურთიერთკავშირს და განუყოფლობას აღნიშნავს. თეთრი და ვარდისფერი ფერის შუქის შეტანით ნათები ნათების შთაბეჭდილება იქმნება. ხატის ქვედა ნაწილი დაზიანებულია, ფერწერული ფენა აცვენილია. ახალი შუამთის ხატებზე წმ. მამების და დედების სამოსი ძირითადად: წითელი, ოქრას, მწვანე ზეთისხილის ფერი, ლურჯ და მოცისფრო ტონალობაშია მოცემული. ფიგურათა სამოსი ღია ნათელი და მუქი ფერების მონაცვლეობით პარმონიულ ტონალობას ქმნის და მონოტონურ რიტმს ანელებს. წმინდა მამები და დედები თავისი ატრიბუტებით გამოისახებიან: კოდექსი, ჯვარი, პალმა. მოციქულებს და წინასწარმეტყველებს ანტიკური ბერძნული სამოსი მოსავთ. წინასწარმეტყველებს ხელში გაშლილი გრაგნილი უჭირავთ, მოციქულებს – სახარება. წმ. მეომრები რომაულ სამხედრო სამოსშია წარმოდგენილი მოსასხმით, მათ ხელში მოწამებრივად აღსრულების სიმბოლო ჯვარი, ან სამოთხის სიმბოლო – მწვანე პალმა უჭირავთ. კომპოზიციები მარტივი სიმეტრიის პრინციპით და ლაკონური თხრობით ხასიათდება. დაცულობა ხატების ძირითადად დამაკმაყოფილებელია, მცირედი დაზიანებები ფერწერული ფენის აცვენა შეინიშნება ცალკეულ ხატზე.

ახალი შუამთის ხატებზე ოთხასორმოცდაათზე მეტი წმინდანია გამოსახული ამიტომ ჩვენ გამოვყოფთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახეებს, რომელიც მხატვრის მიერ აქცენტირებულია. დანარჩენ წმინდანებს მხოლოდ ზოგადად აღვნიშნავთ.

თემურ თემურია თვე იანვარი

სსემ/ხ-530, პ. 520 ხე. ტ. ლევასი, ტემპერა. 57X43 სმ. (ტაბ. 1, 2)

ც-1. ჩ-უნი შელტყორ ა-ა უ-ლ- წინა დაცვეთა ოჯიეს

რძ(რ)ტყ შ-უ-ლ- წ-უ- ჭ-უ- ჭ-უ- ჭ-უ- ამ(ა)ვე დღესა წ(მინდა)დ დიდი ბასილ(ი)

ხატზე გამოსახულია წინადაცვეთა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ცისფერი ფარდა ველუმის სიმეტრიულად იხსნება და მოჩანს ტაძრის ინტერიერი, კომპოზიციის ცენტრში გამოსახულია ტრაპეზი, რომელზეც გადაფარებულია დია ცისფერი ქსოვილი, მასზე წევს თეთრ სახვევში გახვეული ჩვილი იესო, ყრმას მოწიწებით დაჟურებს ლვთისმშობელი, მართალი იოსები, მღდელმთავარი ზაქარია და ანნა. წმ. ზაქარია მაღალ საგარდელზე ზის და ჩვილს სახვევს ხსნის. ჩვილი იკონოგრაფიული სქემის მიხედვით მარიამსა და ზაქარიას შორის არის გამოსახული. კომპოზიცია ლაკონური და მკაცრად გაწონასწორებულია. მოცისფრო, მოწვანო, მოწითალო, დია ოქრასფერ ტონალობაში გადაწყვეტილი. საინტერესოა ზაქარიას ფრიგიული თავსაბურავი, ოქროსფერი ქუდი ნახევარკალისებრად ჩაკვეთილი, მსგავსი თავსაბური მღდელმთავრის გვხვდება XVIII საუკუნის რუსულ საწელიწდო ხატზე სხმ/რს 91 „ტაძრად მიყვანების“ სცენაში (ტაბ. 33), რომელიც ხელოვნების მუზეუმის რუსული ხატწერის ფონდშია დაცული. იესო ქრისტეს სპერაკი, თეთრი ფერის სახვევი და ტრაპეზე ჩვილი მომავალი მსხვერპლშეწირვის პირველსახეს წარმოადგენს. „წინადაცვეთის“ დღესასწაული ნათლისდების წინასახეა. როგორც ცნობილია ახალ აღთქმაში წინადაცვეთა ნათლისდების საიდუმლომ შეცვალა [70]. ამ დღესასწაულის აღნიშვნა IV საუკუნიდან იწყება.

იმავე რიცხვით ცალკე ჩარჩოში გამოსახულია ბასილი დიდი – „ლვთის ჭურჭელი საზრდელი“, როგორც მას უწოდებს ეფრემ მცირე.

იგი მიმართულია მარჯვნივ წმ. სილიბისტროსკენ. მხატვარი მდიდრულ საეპისკოპოსო სამოსში, მაკურთხებელი მარჯვენით და გაშლილი წიგნით ხელში გამოჰყოფს მას და გახსენდება ბასილი დიდის შესახებ ამფილოქე იკონელის სიტყვები: „მაღალი და დიდებული ბოძია უფლის ეკლესიის, მნათობი ღვთისმეტყველებისა სილამაზე იერარქიისა... ანთებული მაცნე მხოლოდშობილისა, საყრდენი და სისხლის მმართველი სულიწმინდისა, სასახლე გონებისა, საგანმური შემეცნებისა, მასწავლებელი ღვთის მოშიშებისა... მეფური საყვირი ღვთის სიტყვისა“ [71] (†379).

ქ- 2. წ~ა ხითაუისტების ურუ მაშტაც წ(მინდა)ღ სილიბისტრო პაპა რომისა

წმ. სილიბისტრო ოცი წელი განაგებდა რომის ეკლესიას. ნიკეას I მსოფლიო კრებაზე სილიბისტრომ და ნიკოლოზმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს. მათი ცხოვრება თანხვედრი დეტალებით გამოირჩევა [72]. ძველ აღთქმაზე დაყრდნობით დამაჯერებლად დაადასტურეს მაცხოვრის: შობა, ჯვარცმა, აღდგომა. ისინი აფუმნებენ ეკლესიაში ანტიმონოფიზიტურ სულისკვეთებას, სამების გეორე პირის განკაცების დოგმას და ევქარისტიის თემას. ამიტომ ლიტურგიკულ კალენდარზე ორივე წმინდანი გამორჩეულად არის გამოსახული (†335).

ლ- 3. წ~ა წ~ოყ~ო შ~ოყ~ო შ~რ შ~რ~შ~ე უასიშ~ო

წ(მინდა)ღ წ(ინას)წ(არმეტ)ყ(ვე)ლი მ(ა)ლ(ა)ქია და მ(ო)წამე გორდა

მალაქია მიმართულია გორდასკენ და ესაუბრება, გორდა მოწიწებით შეჰქურებს. მალაქიას – „ანგელოზის მახარებლის“ წინასწარმეტყველება დაკავშირებულია მაცხოვრის და მისი წინამორბედის იოანეს მოსვლასა და საშინელ სამსჯავროსთან [73]. მალაქიადან იოანე ნათლისმცემლამდე არ გახმიანებულა უფლის სიტყვა. წმ. გორდი მეუდაბნოე, წამებული ქრისტიანია (†320).

Ծ- 4. ქ~მ~ე~რ ხ~ე~შ~ე~მ~ა~რ~შ~რ~ო~მ~ო~რ~ წ~ო~რ~ შ~ა~რ~ჭ~ო~რ~

კრება სამოცდაათთა წ(მდა)თა მოც(ი)ქ(ულ)თა

კომპოზიციაზე გამოსახულია ხუთი მოციქული, ცენტრალური ფიგურა გამოკვეთილი და მონუმენტურია, ხელში გაშლილი თეთრი

წიგნი უჭირავს და მასზე მიუთითებს. მოციქულთა კრების დღესასწაული გამოხატავს მოციქულთა თანასწორობის იდეას.

7-5. წ~ა პ~ტ~ პ~ლ~ ლ~უ~ თ~უ~ მ~უ~ ს~უ~ წ(მინდა) მადლ მ(ო)წამე თეომეპტო
წ~ა პ~ლ~ ლ~უ~ ს~უ~ ს~უ~ ს~უ~ წ(მინდა) მ(ო)წამე თეონა:

სკნელიტიკე

თეომეპტო (†303) და თეონა (†350) – ნიკომიდიული მარტვილნი.

ხატის ზედა რიგში წმინდანთა განლაგება და გამოსახვა იდეურად ერთმანეთთან დაკავშირებულია და თანამიმდევრულად იკითხება. წინადაცვეთის კომპოზიციის ქვემოთ მეორე რიგში ნათლისდების კომპოზიციაა გამოსახული, წინადაცვეთა უწყვეტი კავშირია ძველ და ახალ აღთქმას შორის.

7-6. ჩ~რ~ო~თ~ო~ს~ი~ ა~რ~ თ~უ~ პ~ტ~ პ~ლ~ ჩ~რ~ი~ თ~უ~ ა~ლ~(sic) ჭ~ი~(sic) რ~
ნათლისდება ო(ფლისა) დ(ვთისა) და მ(ა)ცხ(ოვ)რისა ჩ(ვე)ნისა ი(ეს)უ ქრ(ისტესი)

ცისფერ ფონზე გამოსახულია იორდანეში მდგომი მაცხოვარი. მარჯვნივ დგას იოანე ნათლისმცემელი. იგი მაცხოვარს თავზე ხელს ადებს ნათლობის ნიშნად, მარჯვნივ ორი ანგელოზია, ხელში თეთრი ქსოვილით. ვარდისფრად განათებული ციდან ეშვება თეთრი მტრედი. სინათლით სავსეა ღრუბელი დიდება სული წმინდის, სისპეტაკეში გადადის მაცხოვრის ფიგურაზე. მშვიდი და მისტიკური განწყობილებაა. ფერი დადებულია ლაქებად სახეები შედარებით ნათელია, ხატის მეორე რიგს იწყებს ნათლისდების კომპოზიცია. ნათლისდება – დასაბამი ახალი აღთქმის, სამების ერთარსების სახე და უფლის განცხადება. განწმენდა წყლის, განწმენდა პირველქმნილი ადამის კრულებისაგან და საწყისი კაცობრიობის გამოხსნისა, დაძველებული კაცის ბუნების განახლებისა. წყალი განსაწმენდელი და საწყისი ჭეშმარიტი რწმენისა, გზა ქრისტეს სხეულთან ანუ ეპლესიასთან შეერთებისა. წყალი, როგორც სულის, გონების სიწმინდე „უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისაგან, ვერ ჯელეწიფების შესვლად სასუფეველსა დმრთისასა“ [74]. ქრისტეს წყალში დაფვლა და ამოსვლა წინახატია მიწაში დაფლისა და აღდგომისა. მისი მორჩილი პოზა მიანიშნებს მომავალ მსხვერპლშეწირვას. ანგელოზთაგან ერთი უფლის ხმას

ისმენს, მეორე შეჰურებს მაცხოვარს. მტრედი საწყისი ახალი ცხოვრების, განწმენდელი ცოდვისგან და დაბრუნება მიწისკენ, მშვიდობისკენ. მტრედი ვარდისფერი სხივიდან გამომავალი მინიშნებაა თვით იქსო ქრისტეზე, სინათლე არის გამოჩენა მოსეს ცეცხლის, სინათლე, რომელიც გამოეცხადება ისრაელს ცეცხლოვანი სვეტის სახით, სინათლე – ცეცხლოვანი ეტლით ასვლა ილია, სხივი მწყემსთათვის გზის მაჩვენებელი. იოანესგან ნათლისღებით დადასტურდა, რომ იგი „ტარიგი დმრთისა, რომელმაც აღიხუენეს ცოდვანი სოფლისად“ [75]. ხატზე ნათლისღების კომპოზიციის მოკლე რედაქცია მოცემულია [76].

ზ - 7. ქრისტ წარმართ გულისა მოუკრძალ წარმართ კომპოზიცია უ~უ

კრება წ(მ)ინდისა დ(იდე)ბ(უ)ლისა წ(ინას)წ(არმეტ)ყ(ვე)ლისა წინამორბედისა ი(ოან)ე.

პეიზაჟის ფონზე კომპოზიციის მარჯვნივ გამოსახულია იოანე ნათლისმცელი ჯვრით ხელში, მის წინ ადამიანთა მცირე ჯგუფია. უკანა პლანზე ფოთლოვანი ხეებია გამოსახული. ოსტატი ფორმას მკვეთრად არ ამუშავებს განზოგადებულად გადმოსცემს. იოანეს ფიგურის პროპორციები რამდენადმე დარღვეულია. მართლმადიდებელი ეკლესია საუფლო და ღვთისმშობლის დღესასწაულების მომდევნო დღეს მოიხსენიებს წმინდანებს, რომლებიც უშუალო მონაწილეობას ღებულობდნენ უწმინდეს და უმნიშვნელოვანეს მოვლენებში. ნათლისღების შემდგომ აღინიშნება ხსენება იოანესი.

კომპოზიციაში ხაზგასმულია იდეა ძველი აღთქმის ეპოქის დასასრულის. იოანე ნათლისმცემელი მაცხოვრის ჯვარცმაზე ადრე ეწამა, ეკლესია მის შობას და გარდაცვალებას აღნიშნავს. ახალი შუამთის ხატზე კალენდარში ხუთჯერ არის იგი გამოსახული.

ზ - 8. უ~ა კანიკელებ~ ღირსი გ(იორგ)ი ხოზივატე..

უ~ა კანიკელებ~ ღირსი დომიკა

წარწერა დაზიანებულია. სახელი ხოზივატე რუსული რედაქციით არის მოცემული, ქართულად – ქოზიბელი (VIIს.). ღირსი დომიკა – კონსტანტინეპოლელი წმინდანი (†474).

ც - 9. წ~ა ძრძ~ უ~ა კანიკელებ~ წ(მინდა)ღ მ(ო)წამე პოლიეგვტო

Բայ գրաւուսդ Տիրակաստուր և Տաեկադրութ վ(մօնօձ)ք զօղօձը

მიტროპოლიტი მოსკოვისა

წმ. პოლიეგქტო არის დადებული აღთქმების და ხელშეკრულებების მფარველი წმინდანი (†259). ფილიპე – მოსკოვის მიტროპოლიტი (1569წ.). ხატზე გამოსახული ყველა რუსი წმინდანი მოწიწებით დგას „მსოფლიო“ წმინდანთა გვერდით.

7-10. Բարեկամության համարում վարչությունը գրագռություն նշելու

Բայց մենք պարզ ենք Այս մուտքագրությունը կատարվել է 1990 թվականի հունվարի 10-ին՝ Հայաստանի Հանրապետության հանդիսավոր ժողովի կողմէ ընդունված օրենքում:

წმ. დომენტი – მელიტინელი გაისკოპოსი (†601). მარკიანე – კონსტანტინოპოლის საპატიოარქო ტაძრის იკონომოსი (Vს.).

12-11. በየከተማና የጊዜና መግልጽዎች ወጪውን የሚያስፈልግ ይገልጻል

ԴՐԱՆԻ ՄԱՍԻՆ ՀԻՄԱՆԻԿ ԸՆԹԱՑՄԱՆ ՁՈՒՑԵԱԾՈՂ ՀԱԼՈՎԵՏԱ

თევდოსი (423-529) პალესტინის მეუდაბნოე ბერი გადმოცემით იმ გამოქვაბულში ცხოვრობდა, სადაც ბეთლემიდან წამოსულმა მოგვებმა გაათიეს დამე. მან აქ ააგო მონასტერი, სადაც ისტორიული წყაროების თანახმად ჟამს შვიდ გზის წირავდნენ სხვადასხვა ენაზე მათ შორის ქართულად. „ერთში მამათ სიმრავლე ბერძნულ ენაზე სწირავს დმერთს მსხვერპლსა ქებისასა, მეორეში ბესთა (ქართველნი) თავისი საკუთარი ენით აღავლენს უზენაესისადმი ვედრებას, მესამეში სომხები თავისის ენით წარმოსოფუამენ ხოლო კრებასა შინა წმინდისა ზიარებისასა, სამხრად, წაკითხვამდე სახარებისა, თითოეული მათგანი თავის ეკლესიაში ასრულებდა მსახურებას, შემდეგ ყველანი თავს იყრიდნენ ბერძენთა დიდს ეკლესიაში და იქ ეზიარებოდნენ“ [77].

ღირსი მიხეილი (1453-1456) – კლოპის სალოსი ბერი. თეოდოსი და მიხეილი ასკეტური ცხოვრების სიმბოლოს წარმოადგენენ. მათ საფუძველი ჩაუყარეს ბიზანტიასა და რუსეთში სამონასტრო ცხოვრების განვითარებას. მსოფლიო წმინდანის გვერდით რუსი წმინდანის

გამოსახვით მხატვარი ხაზს უსვამს მიხეილის მოღვაწეობას და აჟყავს მსოფლიო წმინდანის რანგში.

၇၄-12. წ~ა პ~რძ~ე რ~ეღ~ი~რ~ე წ(მინდა) მ(ო)წ(ა)მე ტატიანე მოწამე
ტატიანე – რომაელი დიაკონოსი (†226-235).

၇၅-13. წ~ა პ~რძ~ე წ~ა ს~ეღ~ი~რ~ე

წ(მინდა) მ(ო)წ(ა)მენი ერმილე და სტრატონიკე
ერმილე და სტრატონიკე სლავური წარმოშობის წმინდანებია.
იმპერატორ ლიკინიუსის მმართველობის დროს მოღვაწეობდნენ ქ.
სინდიდუნუმში (ბელგრადი) (†315) [78].

၇၆-14. ო~ი~ს~ი~ პ~მ~ნ~ი~ ს~ი~ნ~ი~ წ~ა მ~რ~ი~(თ)~ი~ შ~ა~შ~რ~ყ~შ~ი~ს~ი~

დირსი მ(ა)მ(ა)ნი სინას და რაითას მომწყდარნი
წ~ა ს~ე~რ~ე ს~ე~რ~ე წ(მინდა) საბა სერბისა
პეიზაჟის ფონზე გამოსახულია დაზოქილი ბერები, მათ თავზე ორ
ჯალათს მახვილი აღუმართავს. კომპოზიციის მარცხენა პუთხეში
სიღმეში მოჩანს სასულიერო პირები. უკანა პლანზე იოანეს კრების
სცენის მსგავსად მწვანე ფოთლოვანი ხეებია გამოსახული. 312 წ.
სინას და რაითას მთაზე მომწყდარნი მონასტრის ბერებია გამოსახული.
სინას და რაითას მამათა მოწყვეტა აღწერა ეგვიპტელმა ბერმა
ამონიოსმა [79]. საბა სერბეთის ეკლესიის არქიეპისკოპოსი (†1237),
რომლის სახელთანაა დაკავშირებული იერუსალიმის წესდების
შემოდება სლავურ სავანეებში, ათონის ხილენდარის მონასტერი მისი
შედგენილი ტიპიკონით ხელმძღვანელობს. სჯულის კანონის საბასეული
რედაქცია უდევს საფუძვლად რუსეთის ეკლესიას. საბა საეკლესიო
კალენდარში მოიხსენება 12 იანვარს [80].

၇၇-15. წ~ა უ~ტ~ო~ე თ~ე~ყ~ე~რ~ე~ი~ წ~ა ი~უ~ უ~ტ~ე~რ~ე~ს~ი~

წ(მინდა) პ(ა)ვლე თებელი და ი(ოან)ე გლახაკი
პავლე თებელი ხატზე გამოსახულია ლოცვის პოზაში უბრალო
ყავისფერ კვართში (†341). იოანე გლახაკი თებაიდის მეუდაბნოე ბერია
(Vს.). ხელში მოჭედილი სახარება უპყრია და მოწიწებით დგას პავლეს
წინაშე. სახარება მისი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი
ელემენტია [81].

ԴԻ - 16. տրված է նույնական չափութեան բարձրացումը և սպառագիրը

თაყ(ვ)ანისცემა პ(ა)ტი(ო)სნისა ჯაჭვთა წ(მინდ)ისა პეტრესი

მუქ შავ მოცისფრო ინტერიერის ფონზე გამოსახულია ტახტზე მჯდომი წმ. პეტრე. იხსნება წითელი ფარდა და ზეციდან ეჭვება უფლის ანგელოზი, რომელსაც პალმის რტო მოაქვს და პეტრეს აწვდის. კომპოზიცია ძლიერ ლაკონურია, მუქ მომწვალო, შავ ტონალობაში გადაწყვეტილი, რომელსაც ანათებს ფარდის წითელი ლაქა და შარავანდების ოქროსფერი გამა. წმ. ჯაჭვნი, რომელიც საპყრობილები ედო პეტრეს, რომში წმ. პეტრეს ტაძარში არის დასვენებული. 16 იანვარს ამ სიწმინდეს გამოაბრძანებენ ტაძარში და პატივს მიაგებენ.

16-17. የጥናትና ደንብዋናና ታሪክና ወጪዎች ያስቀምጣል

• თუმცა რენტანი მავსეულობრივ დირსი ანტონი რუსეეთისა

ანტონ დიდს (251-356) [82] ანტონ დიმელი მოწიწებით შეკურებს შორს დაბალ პორიზონტზე მოჩანს მოვარდისფერი თეთრი ნათელით გასხივოსნებული მთა, სადაც ანტონ დიდი მოღვაწეობდა. ვარდისფერი ნათება მიანიშნებს მის განსაკუთრებულ სიწმინდეზე. ანტონ დიმელი ნოვგოროდელი წმ. მამა ხუგინინის წმ. ვარლამის მონასტრის იღუმენი იყო (†1224).

Դ ի - 18. Բայց ուստի դա կառասի քաղցկելու համար այս գործը պահանջվում է:

წმინდა)ნი არქიეპისკოპოსნი ალექსანდრიისა ათანასე და კირილე

წმ. ათანასე და კირილე საეკლესიო კალენდარში ორჯერ
არიან მოხსენიებულნი, 18 იანვარს და 2 მაისს. ახალი შუამთის
ხატებზე მხოლოდ ათანასეა ორგზის გამოსახული.

၁၄-၁၉. ပုံ-၃ ဂျာများ မျှော်လွန်ခြင်း ၅(မိန္ဒီ)၊ ၆(ခုနှစ်)၊ ၇(ခုနှစ်)

ანტონ დიდის მოწაფე, მეუღაბნოე მაკარი მეგვიპტელი, მლოცველის პოზაში დგას (†390-391). დირსი მაკარი ალექსანდრიელი და მაკარი მეგვიპტელი (†394-395) ბერ-მონაზვნური ცხოვრების სიმბოლოს წარმოადგენენ.

፭ - 20. በ-**አብይና የጊዜ ማመልከት** ውስጥ የሚመለከት የሚመለከት ውስጥ የሚመለከት

ასკეტური ცხოვრების და მართლმადიდებლობის მტკიცე აღმსარებლობისათვის ექვთიმეს „დიდი“ ეწოდა (†473).

ხატის ზედა რიგში გამოსახულნი არიან ეკლესიის წმ. მამები, რომელთაც აერთიანებთ ასკეტური ცხოვრების წესი. ათანასე, დიონისე არიოპაგელი, გრიგოლ ნაზიანზელი უფალს წარმოადგენენ როგორც გონებრივ მზეს, რითაც ამტკიცებენ მის „სამპიროვნებას,“ სამგვარობას მზე თავისთავად ერთია, მაგრამ იმავ დროს სამგვარია: დისკო(მატერია), სინათლე და სითბო [83].

ԿՀ - 21. Կոմիեն Ժ-վիեժ-դ Կոմիեռհիպ-դաւ ღირსი მ(ა)ქსიმე აღმსარებელი

Բ-օ Ժ-րժ-դ Է-դապ-ի-ը წ(მინდა) მ(ო)წ(ა)მე ნეოფიტე

მაქსიმე აღმსრებელს საეკლესიო კალენდარი მოიხსენიებს ორჯერ: 13 აგვისტოს მისი გარდაცვალების დღეს, 21 იანვარს – წამების დღეს, როდესაც ენა და ხელი მოკვეთეს. გიორგი მთაწმინდელის სვინაქსარში მაქსიმე აღმსარებელი 13 აგვისტოს არის აღნიშნული [84]. ბიზანტიის ხელისუფალთაგან დევნილმა მაქსიმემ სამუდამო განსასვენებელი პპოვა „ლაზიკად წოდებულსა სოფელსა, ესე იგი არს საეგროს“ [85].

ნეოფიტე – წმინდა მოწამე მამა (†303-305).

ԿՊ - 22. Բ-օ Ժ-րդ-ի-տ-ն բ-ի-մատ-դ წ(მინდა) მ(ო)წ(ა)მე Ծიმოთე

Կոմիեն Ժ-րժ-դ Կոմիեռհիպ-դաւ ღირსი მ(ო)წ(ა)მე ანასტასი

Ծიმოთეს პავლე მოციქული თავის ეპისტოლები მოიხსენიებს: „შენ შემოდგომილ ხარ ჩემსა მოძღვრებას, გულს-მოდგინებისა, სარწმუნოებასა, სულგრძელებასა სიყუარულსა, მოთმინებასა, დევნულებათა, ვნებათა“ [86].

წმ. ანასტასი სპარსი – მოწამე მამა (†628).

ԿՊ - 23. Բ-ժ Ժ-ր(sic) Ճ-ր Ժ-րժ-դ կ-տուժ-դի-բահ մ-ա-մա-ք ս-ո-ս-ո

წმ(იდა) მღ(ვ)დ(ე)ლ(თ) მ(ო)წ(ა)მე კლიმენტოს რომთა პაპი

ანკვირიის ეპისკოპოსი კლიმენტი 312 წ. ტაძარში ევქარიისტიის წმინდა საიდუმლოს შესრულებისას წარმართებმა შეიპყრეს და თავი მოკვეთეს. მხატვარს იგი დვოისმსახურების დროს სამღვდელმთავრო სამოსში და სახარებით ხელში ჰყავს გამოსახული. კლიმენტი ანკვირელს იოანე მტკიცებავმა ორიგინალური პიმნები მიუძღვნა [87].

ԿԾ - 24. **Դասին փեղինուք Ֆղթու մաժողուար** լուրսօ յեցնօա դցա Ռռմայլո
յեցնօա դուշոնօսս դուո լցանլո մուժլցօս ևամոնասցրո
շեցրցձօս ցանցոտարցձօմ (V1s.).

ԿՊ-25. **Բ~Զ Կմիւշատու Դակեղըպակիտու** ՞(մոխցօ)ք գրոցոլո
լց(տ)օմեյցյալլո

„առջնօս ևոնատլց“ գրոցոլո նախօաննելո (330-389) ծասօլո
դուոս մյցոնձարոա. Ռռցորց տցոտոն գրոցոլո առնօշնաց մատո
ևօնելոցց ոյտ „յրոտո ևցլո որ ևեցլոմ ցանսաեօյրցձնցուո“ [88].

ԿՊ - 26. **Բ ... մեն փեղիաբահըդ ՞ ... (ք օ) րսօ յեցնոցոնց**

Դասին Շւմերէ Դակեղէնց լուրսօ մարոամ: օ(ռան)յ արկածո
վարնյշրա դախօանցնցուո. ՞մ. յեցնոցոնց, մոսօ մյցուոլո մարոամո,
մատո ժյնօ օռանյ դա արկածո լուցօս ձո՞նամո արօան ցամոսաեցլոն.
օսօնօ V ևաշցյնցմո յոնեթանցօնոնցոլոմ մուցանցուուո [89].

ԿԵ - 27 Կոմակուիլուք Էւրուտուք Դակեղէնց Դակեղէնց

առմուցանցձօ նանցուո դո(րսօ)սօ օռանյ (ոյլ)ր(օ)նորոսա
վարնյշրա մյցրտալոա, թոցան վանցուո դա մնչլոա գաորիցա. օռանյս վմ.
ևեցլո դասցյնցնցուո յանցոմ, Ռռմյլսաց որո դուշոնց
մոասցյնցձօ, մատ շյան ևամլցուոլո մուսմո ցամոսաեցլո
ոյոցնյրա. շյանա ձլաննյ մտանյ մոհանս մցորյ թոմոս շյնոնցձօ.
յոմեոնցուո ևյեմանցուո դա լուցոնցնյրա, յուրագուցձօ ցագացանուո
ձրուցյսօնյ յալոյիո յացլցձտան. օռանյս վմ. նանցուո 438վ. մյցյ
ոյոցու Ա դրու յոմանուո յոնեթանցօնոնցոլոմ վմ. օռոնյս ևան.
յալյյսօնամո ցագաասցյնյս. IV ևաշցյնցմո յոնեթանցօնոնցոլոմ օնցյնց
մոմոյձօ վմոնձանու վմոնձա նանցուո յալյյսօ մոնասցրցձնո մատո
ցագաասցյնցձօ դա տայցանուույմա. վմ. նանցուո ցագացանու դրու
ըարցյեծու հությալո. յալոյիո յյեսասցլցուո վմ. եյմբյ յցցիցուո
ձրուցյսօ ցալոնձու, յուսալմյնցձօ, ձոմնցձօ, անոցյնցուո ևանուոցյնց
ացլմյնցու դա չզրցյնցու դա դուո ձացոցու մոասցյնցձօ յալյյսօնամո,
ևագաց ևացուո լուսկյմամո ան ըամար - ըյլույյարույյմո
ևասցյնցձօնց. վմ. նանցուո մոմոյձօ ան ըամարմո ևասցյնցձօ լույյ
յալյյնցուո օնոշնացնց, Ռռցորց լույյսասբայցուո լույյ և
ացցուո ըուանցուո ան մյենուո յցուո յյեմունցատ. յյեմունցատ.

იყო რელიქვიების განსახვენებელ ადგილის ადსრულებული სასწაულები. IV-VII საუკუნეებში როგორც ჩანს ფრესკებზე იხატება წამებულ წმინდანთა პორტრეტები, წმ. ნაწილების საზეიმო გადატანა და დასვენება რელიკვარიუმებში. ბიზანტიაში ამ რიტუალის ასახვა ფართო გავრცელებას პპოვებს IX საუკუნეში და ვითარდება პალეოლითისთა ხანაში. ბიზანტიის დაცემის შემდეგ რელიქვიისადმი თაყვანისცემა განსაკუთრებით XV-XVI საუკუნეებში რუსეთში მონუმენტურ ფერწერასა და ხატებზე აისახება [90]. წმ. ნაწილების მოძიება ასახულია მენოლოგიურ და სვინაქსარულ ხელნაწერებში. ბასილი II მენოლოგიაში X-XI სს. მიჯნა ვატიკანის ბიბლიოთეკა, „წმ. ივან რილსკის ცხოვრებისეულ“ ხატზე წმ. სამების ეკლესია გობროვო (ბულგარეთი) XIX ს. (ტაბ. 52,53) იკონოგრაფიული სქემა ძირითადად ლაკონურია კომპოზიციებზე გამოსახულია სასულიერო პირთა პროცესია, რომელიც ანთებული სანთლებით, საკმეველით მიემართება ეკლესიისკენ, ორ ან ოთხ დიაკვანს მოაქვს სარკოფაგი. კომპოზიციის უკანა ფონზე გამოსახულია ქალაქის კედლები, მხატვარი სიმბოლურად აფიქსირებს რეალურ სინამდვილს. მსგავსი რიტუალური მსვლელობა აღწერილია სვიმეონ მესვეტე უფროსის ცხოვრებაში [91]. წმ. ნაწილების გადატანა ახალი შუამთის ხატებზე გამოსახულია ლაკონურად და მისდევს ბიზანტიურ სქემას.

კ თ - 28. წ~შ უფრულესობა წმ(ინდა) ეფრემ ასური

უ~ა უფრულესობა წმ(ინდა) ეფრემ ასური

ეკლესიის დიდი მამა ეფრემ ასურელი (306-373) სულიერი განათლების და თავმდაბლობის სიმბოლოს წარმოადგენს. სირიული ეკლესიის უმნიშვნელოვანები კლასიკოსი, რომელმაც უდიდესი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. იყო ბრწყინვალე ეგზეპეტიკოსი, პოლემიკოსი, ქადაგების დიდი ოსტატი და პოეტი. [92] მის წინ მოწიწებით დგას ნოვოტორულის არქიმანდრიტი ეფრემი (†1053).

კც - 29. წ~შ უკნირეს უთყოუძახეროვანი წმ(ინდა) ეგნატი ლ(მერ)თ შემოსილი

29 იანვარს ეკლესია აღნიშნავს ეგნატეს წმ. ნაწილების რომიდან ანტიოქიაში გადასვენებას (438წ).

ზ - 30. წ~შ უსასორეულ ურაულ მაშატე წმ(ინდა) იპოლიტე პაპი რომისა

የመስከኑ ከተመስከኑ ምክቡሮባንኩም በመግኘቱ፡ ይህም በመከተሉዎች፣ ምክቡር ምት

წმინდა ბერძნული ეკლესიის მთავრობის მიერ გვიცის მიზანის მიხედვით, ეს მარტინ ლუთერის დღესასწაულია.

წარწერა დაზიანებულია, ფიგურები მჭიდროდ არის გამოსახული. იოანეს სახელი წარწერაში მითითებული არ არის, როგორც ჩანს კალიგრაფის არ დაეტია ჩარჩოზე. 30 იანვარს ეკლესია მოიხსენიებს წმ. მღდელმთავრებს: ბასილი დიდს, გრიგოლ ღვთისმეტყველს და იოანე ოქროპირს. 1084წ. მიტროპოლიტ იოანეს გამოეცხადა სამი წმინდა მამა და აუწყა, რომ ისინი თანასწორნი არიან [93].

წმინდა მოწამე იპოლიტე – რომის პაპი (IIIს).

ԵԸ - 31. Քաղաքացիության մեջ պահպանական ծառայությունները կատարում են պահպանական գործությունները:

წ(მინდა)ნი უვერცხლონი საკირველომოქმედნი კვიროზ და ი(ოან)ე

კვიროზ ალექსანდრიელი და მისი მოწაფე იოანე მედაბნოვი

ბერები არიან (†311).

თემურ თემურიშვილ(ა. თ. ი.) თვე თებერვალი

სხესგ/ბ-528, გ. 521. ხე. გ. ლევანი, გემპერა. 57X43,5 სმ. (გაბ. 4, 5).

ւ-1. Բ~ա Ճ~րծ~ի բայկարան ՞(մօճֆօ) Ձ (մ) ՞(ձ) մյ Ծ շրօֆոն

ხატბე საზეიმო პოზაში, ჯვრით ხელში არის გამოსახული ქრისტეს გარიგი წმ. მამა გრიფონი (†250).

¶- 2. Բ~օ ձ~մ~ր~դ~պ~դ~ք~ ալ~օ ո~ն~ Ճ~ր~ ծ~ը~ս~ի~ն~ի~ք~ ի~դ~դ~ի~ն~ի~ք~ յ~ա~պ~(sic) փ~հ~ե~ր~

၅(မိန္ဒါန)၊ ၆(ကျော်ကျော်)၊ ၇(အွေးခြင်း)၊ ၈(ကုန်)၊ ၉(ပို့ဆောင်ရေး)

ჩვენისა ი(ეს)უ ქ(რისტე)სი

ტაძრის ინტერიერში კომპოზიციის ცენტრში დგას ტრაპეზი,
რომელზედაც გადაფარებულია ვერცხლისფერი ქსოვილი. ტრაპეზზე
გრაფიკულად გამოსახულია ორფრთიანი უსხეულო ანგელოზი.
კომპოზიციის მარჯვნივ მარიამ ღვთისმშობელი და მართალი იოსები
დგანან, ტრაპეზის უკან წმ. სვიმეონი ხელში ყრმა იესოთი, მათ
მოწიწებით შეჰყურებს ანა. მაცხოვრის თავზე ველუმი ეშვება.
ტრაპეზზე გამოსახული უსხეულო ანგელოზი და ყრმა იესო, მარიამის
პოზა გაშლილი ხელებით, მისი წითელი მაფორიუმი და წმ. სვიმეონის
წითელი კაბა ემოციურად გამოხატავს მომავალ მსხვერპშეწირვას.
სისპეჩაკის, ზეციურობის მიმანიშნებელია ჩვილის თეთრი სამოსი და

ტრაპეზიუმი გადაფარებული ვერცხლისფერი ქსოვილი ანგელოზით. გადაწეული ლია ოქრასფერი ფარდა წინა სახეა კრეტსაბმელის გახსნისა, ზეციური საუფლოს გზაა მართალთათვის. კომპოზიციაზე ქრისტიანული იდეის აზრობრივი მახვილი არის მოცემული ეპქარისტული მსხვერპლის ჩვენება.

მირქმის კომპოზიციაში მარიამი და ყრმა იესო განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეებში კივორიუმის ქვეშ გამოსახებიან. ამის შესანიშნავი მაგალითია ათონზე სტავრონიკიტას მონასტერში დაცული მირქმის ხატი (1546წ.). [94], მარტინის ჰედური ხატი დვთისმშობელი ყრმით (1619-1622წწ.). ახალი შუამთის ხატზე კივორიუმი შეცვალილია ველუმით.

ლ - 3. წ~ა ს~ჩ უ~ა ძ~ოშ~უ... უ~რ~ე~რ წ(მინდა)ღ ს(ვიმო)ნ ღ(ვთის)ღ მიმქ(მე)ველი ... ანაა.

წარწერა დაზიანებულია. მირქმის დღესასწაულის მომდევნო დღეს მოიხსენიება წმ. სვიმეონი და წმ. ანა წინასწარმეტყველი. ანამ, წმინდა სვიმეონთან ერთად ჩვილში შეიცნო მომავალი მესია და გამოხსნის მოლოდინში მყოფ იერუსალიმელებს ახარა მისი განკაცება.

Ծ - 4. წ~ა უ~ს~ხ~ი უ~რ~ა~ს~ხ~ი უ~ს~ხ~ი~ა~ღ~ე~რ~ი წ(მინდა)ღ ღირსი ისიდორე ლუსიოტელი;

უ~ს~ხ~ი ჰ~ი~ს~ი~თ უ~ა~ტ~ე~რ~ი~ს ღირსი კირილ ენოვზერა სიბრტყეზე ისიდორე თავისუფლად, მოძრაობაშია გამოსახული, კირილებ ფიგურა კი სტატიურია. იოანე ოქროპირის მოწაფე ისიდორე ეგვიპტეში მოღვაწეობდა [95].

კირილე ნოვოზერელი – ნოვგოროდელი წმინდანი (†1532).

წ-5. წ~ა ჭ~ო~მ~ო ძ~ო.. უ~ი~რ~ე~რ წ(მინდა)ღ ქ(ა)ლწ(უ)ლ მ(ო)წ(ამ)ე აღაფა

წმ. აღათა მხატვარს ძლიერ მეტველი სახით აქვს გადმოცემული. აღათას მუქი ცისფერი კაბა და წითელი ფართოდ გაშლილი მოსახამი მოსავს, თავისუფლად დგას და ხელში გრაგნილი უჭირავს. ქალწულმოწამე აღათა პალერმოში დეკიუსის დროს აწამეს (†251). მისი სამოსი მორწმუნებმა ტაძარში შეინახეს. კატანის მახლობლად ვუდკანის ამოფრქვევისას სახწაული მოხდა. კატანელებმა თავი

შეაფარეს წმ. ადათას სახ. ტაძარს, იპყრეს მისი სამოსი და ლავის წინ დადგნენ, ცეცხლმა უკან დაიხია და ხალხი გადარჩა. ხაზზე ქალწულის ფართოდ გაშლილი მოსახსამით ხაზგასმულია მისი სამოსის სასწაული [96].

ტ - 6. წ~ა ტაჭხაუთ ზეუმულობრივი წ(მინდა)დ ვუკოლ ზმირელი

იოანე ღვთისმეტყველის მოწაფე ვუკოლი ზმირნის ეპლესიის პირველი ეპისკოპოსი იყო (†100) [97].

ზ - 7. წ~ა ურამოთი ურამოთის სასკრიფტი წ(მინდა)დ პართენი ლამფსასკენი

პართენი ლამფსაკის ეპისკოპოსი IV საუკუნეში მოღვაწეობდა.

თ - 8. წ~ა ჯუში ძ~რძულ თ~უ სტრუქტურა.. წ(მინდა)დ დიდი მ(ო)წ(ა)მე თ(ევდორ)ე სტრატილა(ტი)

წ~ა წ~რყოთ ზეტერი წ(მინდა)დ წ(ინას)წ(არმეტ)ყ(ვე)ლი ზაქარა თევდორე სტრატილატის ცხოვრება აღწერა მისმა მსახურმა. სიკედილის წინ წმინდანს უთქვამს ნუ დაიზარებ ჩემი მიცვალების დღის ჩანიშვნას, რითაც მიანიშნა ამ დღეს მოეხსენიებინა იგი (†319) [98]. ზაქარია „მანგლისმხილველი“ [99] სიმბოლური ატრიბუტებით არის გამოსახული გაშლილი გრაგნილით და თეთრი მოხრილი მანგალით. მის წიგნში განცხადებულია მაცხოვრის მიწიერი ცხოვრება და ვნება.

ტ - 9. წ~ა ძ~რძულ ნიკიფასიული წ(მინდა)დ მ(ო)წ(ა)მე ნიკიფორე

წ~ა ძ~უნდარძულ ძ~რძული ძ~რძული წ(მინდა)დ მღ(ვ)დელ მ(ო)წ(ა)მე მარკელე ნიკიფორე – ანტიოქიაში წამებული მარტვილი (†257). სიცილიის ეპისკოპოსი დიდმოწამე მარკელი წმ. პეტრეს მოციქულის მოწაფე იყო (Ib) [100].

თ - 10. წ~ა ძ~უნდარძულ კრისტულ(.)ძალ წ(მინდა)დ მღ(ვ)დელ მ(ო)წ(ა)მე ხარალ(.)მპ; უსახელი უსახელი უსახელი დირსი პროხორე (.)ობ(.)დნიკი პროხორე ლებედნიკი – კიევ-პეტრის დირსი მამა (†1107) [101]. ეპიკოპოსი ხარლამპი – წამებული მარტვილი (†202).

(ლ) -11. (წ)~ა ძ~უნდარძულ ძ~რძულ ტრონელი წ(მინდა)დ მღ(ვ)დელ მ(ო)წ(ა)მე ვლასი

უსახელი ჭუშურის უსახელი უსახელი (თ)ი დირსი დიმიტრი პლუტ(ვე)(ლი)ი

ხატზე რიცხვის აღმნიშვნელი ასომთავრული ასოები წაშლილია. გლასი – სებასტიელი ეპისკოპოსი (†316). დირსი დიმიტრი უნდა იყოს პრილუციის ვოლოგდის იღუმენი (†1392). დიმიტრი პრილუცელის განმარტებით წარწერაში კალიგრაფის მიერ დაშვებულია შეცდომა.

¶ -12. ჩ-აჩი ძ-უ-ლ-უ ა-ჩ-ე-რ-ი-ა-ჭ-ი-უ-ლ-ი წ(მიდა)გნი მ-ე-ლ-ე-თ ა-ნ-ტ-ი-ო-ქ-ი-ე-ლ

ჩ-ა უ-ა-ჩ-ი ჰა-ს-ლ(ა)-ლ-ი-ლ-უ-ს-ა-მ(ა)-ს-ა წ(მინდა)გ ა(ნტო)ნი
კოსტ(ან)ტინებოლისა

ჩ-ა უ-ა-ლ-უ-ს-ა-ნ-დ-რ-ე ტ-ო-ლ-ი-ო-კ-ა-ვ-ს-ა
უ-ს-ა-ს-ა- ა-მ- დირსი . რ-მ

მელეტი – ანტიოქიის მთავარეპისკოპოსი (†381). ანტონი კონსტანტინებოლის პატრიარქი ასკეტური ცხოვრების გამორჩეული წმინდანია (†895). ალექსანდრე – მოსკოვის მიტროპოლიტი (†1378). დირსი ...რმ უნდა იყოს მარიამ – მარინი (VIIს.) წმ. დედა.

¶ -13. უ-ს-ა-ს-ა- ძ-რ-ი-ნ-ი ა-ჩ-ი დირსი მ-ა-რ-ტ-ი-ნ-ი(ა)ნ-ე

მარტინიანე – კესარიის უდაბნოში მოღვაწე ბერი (Vს.) [102].

¶ -14. უ-ს-ა-ს-ა- უ-ტ-ი-რ-ი-ნ-ი დირსი ა-ქ-ს-ე-ნ-ტ-ი

ჩ-ა ჰ-ი-ს-ა- უ-ტ-ი-რ-ი-ნ-ი ს-ა-მ-ი-ტ-ი-ს-ა წ(მინდა)გ კირილე მოძღვარი სლავნისა

ჩ-ა უ-ტ-ი-რ-ი- უ-ტ-ი-რ-ი-ნ-ი-ტ-ი-უ-ლ-ი წ(მინდა)გ ევლოგი ალექსანდრიელი დირსი აქვსენტი – ბითვინიაში მოღვაწე ბერი (†470). წმ. კირილე (†857) და მეთოდემ შექმნეს სლავური ანბანი. სლავურ ენაზე თარგმნეს სახარება და საღვთისმეტყველო ლიტერატურა [103].

მთავარეპისკოპოსი ევლოგი (†607-608) კალენდარში მოიხსენიება 13 თებერვალს, ხატზე 14 თებერვალს არის გამოსახული.

¶ - 15. ჩ-ა ძ-რ-ი-ს-ა- ა-ნ-ი-ს-ა- წ-ე-ლ-ი წ(მინდა)გ მ(ო)ციქ(უ)ლი ონისიმე

პავლე მოციქულის მოწაფე ონისიმე რომის ეპისკოპოსი იყო (†109) [104].

¶ - 16. მ-ა ძ-ლ-ძ-ლ- უ-ტ-ი-რ-ი- წ(მინდა)გ მ(ო)წ(ა)მ-ე პამფილი

უ-ს-ა-ს-ა- უ-ტ-ი-რ-ი- დირსი ფლაბიანე

მოწამე პამფილი – ხუცესი (†307-309), ლაბიანე – ანტიოქიის არქიეპისკოპოსი (381-404).

11 - 17. წ~ა გუშა ძ~რძუ თ~უ ღუსამი წ(მინდა)ღ მ(ო)წ(ა)მე თ(ევდორ)ე ტირონი

წმ. თევდორე ტირონს დიდმარხევის პირველ შვიდეულში – შაბათს მოიხსენებს დედა ეკლესია. მისი მოხსენიება მოძრავ, მთვარის კალენდარს ეყრდნობა. თევდორე ტირონი გამოსახულია მდოგგისფერ მოწითალო სამხედრო ტუნიკში, რომელზეც მოსხმული აქვს გრძელი მწვანე მოსასხამი. მარჯვენა ხელში მოწამებრივი სიკვდილის სიმბოლო თეორი ჯვარი აქვს აღმართული, მარცხენაში პალმის რტო – მუდმივი სიცოცხლის სიმბოლო უპყრია. თავზე მუზარადი ახურავს. მუზარადი შუბლზე ნახევარმთვარისებრი ფორმისაა, ხოლო ზედა ნაწილი თავსაბურავის შვიდ სხვადასხვა ზომის დარებით არის დანაოჭებული. მსგავსი თავსაბურავი ახალი შუამთის საწელიწდო ხატზე არცერთ წმინდანს არ ახურავს. იგი სიმბოლურია, მხატვარი მიანიშნებს, რომ ამ წმინდანის მოხსენიების დღე მოძრავ დიდ დღესასწაულს აღდგომას უქაგშირდება, ამიტომ მუზარადის შუბლი მთავრის ფორმისაა, ხოლო შვიდ ნაწილად დაღარული თავსაბურავის ზედა ნაწილი აღდგომის მარხევის შვიდ კვირას უნდა მიგვანისპნებდეს, რომლის პირველი შვიდეულის შაბათს ხდება მოხსენება წმ. თევდორეს საეკლესიო კალენდარში. წმინდანის სახე ძლიერ ცოცხალი და დახვეწილია, მხატვრის მიერ ოსტატურად შესრულებული (ტაბ. 5).

11 - 18. წ~ა თუმანერი ურუა სამართლებრი წ(მინდა)ღ ლეონტი პაპა რომისა

წმ. ლეონტი მონოფიზტოა ერესს ებრძოდა, იგი დაკრძალულია რომში ვატიკანში (†461) [105].

11 - 19. წ~ა ძლეული თუმანერი წ(მინდა)ღ მ(ო)ც(ი)ქ(უ)ლი არქიპო

წ~ა ძლძუ ძუმარებული წ(მინდა)ღ მ(ო)წ(ა)მე მაქსიმე

არქიპო – სამოცდაათთაგანი მოციქული (II.). წმ. მაქსიმე (†305-311) საეკლესიო კალენდარში ორგზის მოიხსენება, მეორედ 15 სექტემბერს.

11 - 20. წ~ა ხუცესული წ(მინდა)ღ (ლეონტი) კატანელი

წმინდანის სახელი წაშლილია, უნდა იყოს ლეონტი კატანელი ეპისკოპოსი (†780).

፭ - 21. የመሬት ደንብዎች ቅዱስ ማስተካከል

მავ თუხლებოი ანთაჭითი წმ(მინდა) გვსტათი ანთ(ი)ოქელი
ტიმოთე - განდეგილი ბერი (†795). ევსტატე - ანტიოქიის
მთავარეპისკოპოსი (†337) [106].

፭፻ - 22. ንዑስምና ሆኖምና ከይሆንመው ሁመት ደመዱ ባጥሩባቸው

პოვნა პ(ა)ტი(ო)ს(ა)ნთა ნაწილთა წ(მიდა)თა მ(ო)წ(ა)მ(ე)თა ევგენასთა
მთიანი პეზაჟის ფონზე გამოსახულია თეთრ ტილოში
შესუდრული და კუბოში დასვენებული წმინდანები. მათ უკან დგანან
ეპისკოპოსი, დიაკვნები, ბერები და იმპერატორი ანდრონიკე (1183-1185).
კომპოზიცია დაკავშირებულია შუა საუკუნეებში დამკვიდრებულ
რიტუალთან წმინდანთა ნაწილების მოძიებასა და გადასვენებასთან.

ԿԼ-23. Բ~Յ Ճ~Ա~Ծ~Մ Ճ~Ա~Յ ՆԱՐԱՒԻ ՎԱԽԱՐ

პოლიკარპე – ზმირნის ეპისკოპოსი (†167).

ԿԾ-24. Կարգինք կը սկսեմինեւ տուղութեա լուինք ու իդ հայ(ո)տ(ո)կ(ո)հը ըստ պատկեր

• ურთესობა უკავშირის მიერ დამტკიცებული განკუთხით

მთიანი პეიზაჟის ფონზე გამოსახულია ბერი ბარით ხელში, მის წინ მეორე ბერს ხელში წმ. ოოანეს თავი უჭირავს. უკანა პლანზე მთის მწვერვალზე მოჩანს მცირე ზომის თეთრი შენობების სილუეტი. ოოანეს თავის მოძიება და გადასვენება სამჯერ მოხდა. აქ გამოსახულია პირველი (364-378) და მეორე (453^წ). წმ. ოოანე ნათლისმცემლის თავის მოძიება. სამივე გადასვენება გამოსახულია ნოვგოროდის ფრესკაზე არკანების და ნედერიცას ეკლესიებში XII საუკუნის მესამე მეოთხედი [107].

იგივე რიცხვით ცალკე ჩარჩოში არის გამოსახული წმინდა ერაზმ
პეტრელი მეუდაბნოე ბერი (†1160).

ԿՊ-25. Բ~Զ քամիւրեն կանկերենը բուհի (սատղ) տան Վ(թօնցօ)ք Ծարածօ
զոնկը ջանջօնց(ձոլց)լոց

წარწერა დაზიანებულია. კონსტანტინოპოლის პატრიარქი გარასი, თავმჯდომარეობდა ნიკეას VII მსოფლიო საეკლესიო კრებას, რომელზედაც დამტკიცდა წმინდა ხატებისადმი თაყვანისცემა [108].

ქ1 - 26. წ~ა უსის(ჭის)ა ურთელისა წ(მინდა)ღ პორ(ფირ)ი დაზელი

წმ. პორფირი – დაზას ეპისკოპოსი (†420).

ქ2 - 27. ურთელი უსის ჭის შესასავალისა დირსი პროკოპ დეკაპოლელი

წ~ა უსის.. მასალარს წ(მინდა)ღ პრო... როსტიასა

პროკოპი დეკაპოლელი ხატებრძოლ იმპერატორ ლეონ ისავრიელის (716-741) მიერ იდევნებოდა [109]. მეორე წმინდანის იდენტიფიცირება შეუძლებელი გახდა რუსულ საეკლესიო კალენდარში ასეთი ინიციალით არ მოიხსენიება არცერთი წმინდანი. წარწერა ძლიერ დაზიანებულია და ცუდად იკითხება.

(ქ1) - 28. წ~ა (ჭის)ა ურთელისა წ(მინდა)ღ (ბასილი)

აღმსარებელი

წ~ა უ.უ. ჭისა წ(მინდა)ღ პ. ალე ტრელი

სახელი ბასილი და ტრელი წარწერაზე ცუდად იკითხება. ხატებრძოლების უამს იმპერატორ ლეონ ისავრიელის მიერ წმ. ბასილი აღმსარებელი იდევნებოდა (†750) [110]. პ.ალე ტრელის იდენტიფიკაცია შეუძლებელი გახდა.

ქ3 - 29. ურთელი ჭის მასა წ(მინდა)ღ კას(ი)ანე რომ(ა)ელი

კასიანე რომაელი ნესტორიანთა ერესის წინააღმდეგ იბრძოდა (†435) [111].

თარი შრელი თვე მარტი

სხესმ/ხ-525 კ. 518. ხე. ტ. ლევკასი, ტემპერა. 57X43 სმ. (ტაბ. 6, 7).

ც- 1. წ~ა ურთელი უ.უ. წ(მინდა)ღ დირსი ევდუკია

ევდუკია – ილიონპოლისელი (ფინიკია) მარტივილი (†160-170).

ქ- 2. წ~ა თარი უ.უ. უ.უ. წ(მინდა)ღ თეოდოტე კვირინელი

წ~ა უ.უ. უ.უ. თარი უ.უ. წ(მინდა)ღ არსენი თვერელისა

მღვდელმოწამე თეოდოტე – პურინელი ეპისკოპოსი (†326). არსენი – ტვერის მონასტრის ეპისკოპოსი (†1409), მისი მოხსენიება საეკლესიო კალენდარში 1547 წლის კრებაზე დადგინდა [112].

ლ - 3. წარმოშენების სახელმწიფო მატებულის უფლის სამართლის მინიჭებული მოწმედნის გვირცელები

ევტროპი და კლეონიკე – პონტოს ამასიაში წამებული მარტვილები (†308). ევტროპი და კლეონიკე 3 მარტს ჯვარს აცვეს. გასილისკო თავდაპირველად აფხაზეთში გადაასახლეს, შემდეგ ქ. კომანში 22 მარტს თავი მოკვეთეს [113]. სამივე წმინდანის ხსენება 3 მარტს არის დაწესებული.

ს - 4. უსახლის უყურესობის უსახლისობის დირსი გერასიმე იორდანელი

მეუდაბნოე ბერი გერასიმე ფრონტალურად არის გამოსახული. თავი ოდნავ აქვს გადახრილი, მიმართულია მარცხნივ და სევდიანი სახე აქვს. ხელში გადაშლილი წიგნი უჭირავს, რომელზედაც მიუთითებს, მის ფერხთით წითელი ლომია გამოსახული. ლომი გერასიმეს ცხოვრების მნიშვნელოვან ეპიზოდთან არის დაკავშირებული. ამიტომ მხატვარი სიმბოლურად გამოსახავს ლომს. სახარება კი გერასიმეს ჭეშმარიტ აღმსარებლობაზე დადგომას მიუთითებს. გერასიმეს ცხოვრების დეტალები ახლოა შიო მდვიმელის ცხოვრებასთან [114].

უ - 5. წარმოშენების უსახლისობის დირსი გერასიმე იორდანელი

აყვავებულ მინდორზე გამოსახულია კონონი. მარჯვენა ხელში ჯვარი უჭირავს, მარცხენაში ხილით სავსე კალათა. 5 მარტს საეკლესიო კალენდარში აღნიშნულია ორი წმინდანის სახელი: კონონ ისავრიელი (Iს.) და გალილეის ნაზარეთში ქ. მანდონში მცხოვრები მოწამე, მებაღე კონონი (IIIს.). სახელის აღმნიშვნელი წარწერა ქალაქელი გაურკვეველობას იწვევს, არ მიუთითებს კონკრეტულად რომელი წმინდანია წარმოდგენილი. ხატზე გამოსახული უნდა იყოს კონონი მებაღე, რადგან მოწამეს ნაყოფით სავსე კალათა უჭირავს.

უ - 6. წარმოშენების უსახლისობის დირსი გერასიმე იორდანელი

წ(მინდა) დ(ო)წ(ა)მენი ორმოცდაორნი ამორეგელნი
ხატზე წარმოდგენილია ბერძნების სარკინოზების ომის დროს
ქ. ამორეას დამცველი გაუტეხელი მეომრები, რომლებიც 845 წელს
სირიაში სარკინოზებმა დახოცეს [115].

ზ - 7. წარმატების მომენტის ფიგურული ურთისესობა უფრო ძალის სისტემა წ(მინდა) ანი მღდელი დ(ო)წ(ა)მენი ქერსოვნელისა ვასილეოს
ეფრემ და კაპიტონ

ვასილეოსი, ეფრემი და კაპიტონი IV საუკუნეში მოღვაწე წმინდა
მამები არიან. ხერსოვნელ ეპისკოპოსთა ცხოვრება გელათის მონასტრის
ხელნაწერში №2 შემონახული, რომელიც კათალიკოს ევდემონ I
ჩხევიძის თაოსნობით გადაწერეს [116].

ს-8. თუმარი თყაფიროსებრები ჩიჰაშვილი ღირსი თეოფილაქტე
ნიკომიდიელი

თეოფილაქტე – ნიკომიდიის ეპისკოპოსი (†845).

ს-9. წარმატების მომენტის ასახულებელი სულეიმანი წ(მინდა) ანი
დიდი მოწ(ა)მენი ორმოცნი სევასტიული

მუქ ლურჯ, ყინულით დაფარულ ტბაში წელამდე წყალში დგანან
სევასტიული წმინდანები. თეთრად განათებულ ცაზე იესო ქრისტე არის
მკერდამდე გამოსახული, იგი ორივე ხელით აკურთხებს. მისი გაშლილი
ხელების ორივე მხარეს სიმეტრიულად, წამებული სულების ზეციური
გვირგინებია პაერში გამოსახული. ძლიერ ლაკონურად და
ტრაფარეტულად არის კომპოზიცია შესრულებული.

ს-10. წარმატების მომენტის ასახულებელი წ(მინდა) დ(ო)წ(ა)მე კოდრატე

10 მარტს საეკლესიო კალენდარში აღნიშნულია ორ წმინდანი:
ერთი – მეუდაბნოვ, მეორე – ნიკომიდიელი წმ. მამა. ორივე მოწ(ა)მე
ხატზე ფერები მაჟორული და ჟღერადია, მხატვარი ცდილობს პერსონაჟთა ხასიათის მინიშნებას. სახის ფერადოვნება საზეიმო შთაბეჭდილებას ქმნის, მკვეთრი ლაქები გარკვეულად ექსპრესიულია. ხატზე ძირითადი ფერი არის წითელი, მწვანე, ზეთისხილისფერი. მწვანე – მარადიული სიცოცხლის სიმბოლო, წითელი – მოწამებრივი აღსასრული. წმ. დედები გამოსახულნი არიან შავ სამონაზვნო კაბაში, გულზე ოლარი აქვთ, თავზე სისპერაკის გამომხატველი თეთრი თავსაბურავი ახურავთ. ფონი და სამოსის ფერი გამოხატავს ზეციური კოსმოსის თემას. ქართულ და რუსულ ხატწერაში ნიადაგის ფერი არის: მწვანე, ყავისფერი და მუქი ოქრა. ზეცა უფრო ნათელი და მსუბუქი ტონალობისაა, რაც ახალი შუამთის ხატებზე თვალნათლივია. თეთრი ფერი ხშირად ყავისფერსა და ცისფერ ფონს ერევა. იოანეს გამოცხადებაში განმარტებულია „უფროსად უწინარეს საუკუნეთა ყოფილი სათნოება წმინდანთა ბრწყინვალება, სადაც ღმერთი განისვენებს“ [211]. ყინწვისში წინასწარმეტყველნი და მოწამენი მთლიანად თეთრ ფოზე არიან გამოსახულნი. თეთრი ფერის გამოყენება დასტურდება კედლის მხატვრობაში, ხატებსა და ხელნაწერებში [212].

ახალი შუამთის ხატებზე შუა საუკუნეების მყარი ჩამოყალიბებული სახისმეტყველება შენარჩუნებულია. წმინდანები მოცისფრო, თეთრ, ყავისფერ ფონზე გამოსახული, ხელში სრულად გაშლილი, ან ნახევრად გახსნილი ვერცხლისფერ და ოქროსფერყდიანი ძვირფასი ქვებით მოჰჭვილი წიგნი უჭირავთ. ყავისფერი – ასკეტიზმის გამომხატველია, ცისფერი – სიწმინდის.

წმინდანთა გარკვეულ ნაწილს დახურული გრაგნილი აქვს – სიმბოლო მასწავლებელთა და მოციქულთა. წინასწარმეტყველებს გაშლილი გრაგნილი უჭირავთ, რომელიც გამოხატავს მქადაგებელს, სწავლებას კოდექსით. ხატზე დაცულია გარკვეული იერარქიული წყობა. წმ. მღვდელმთავრები წესისამებრ შემოსილნი არიან ომოფორით და ფელონით, ოლარით, ზოგიერთ მღვდელმთავარს მოუჩანს ენქერი, რომელსაც დიდი კათედრის ეპისკოპოსს ანიჭებდნენ განსაკუთრებულ შემთხვევაში [213]. მღვდელმთავრებს თავზე ოქროსფერი მიტრა ახურავთ, რომლის შიგა ნაწილი მწვანე ან წითელი ქსოვილის ფერით არის გაცოცხლებული, ანუ შემოსილნი არიან იმ სახით, როგორც მღვდელმთავრების დროს. ეპისკოპოსნი ძირითადად მაკურთხებელი მარჯვენით და კვერთხით ან კოდექსით ხელში გამოისახებიან. მღვდელმთავრების სამოსი ძირითადად ერთნაირია, მაგრამ დიდი ეკლესიის მამების: ბასილი დიდის, იოანე ოქროპირის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, ლეონტის, კირილე იერუსალიმელის, ათანასე ალექსანდრიელის, ანდრია კრეტელის, კლიმენტის, პროკლეს და ეგნატეს სამოსი აქცენტირებულია მდიდრული ორნამენტული დეკორით და ხატზე განსაკუთრებული იმპოზანტურობით გამოიკვეთებიან, რასაც ვერ ვხედავთ იმავე გპოქის საქართველოს ეროვნული მუზეუმის რუსული ხატების ფონდში დაცულ მენოლოგიურ ხატებზე: სხმ/რხ 32 (ტაბ. 27), სხმ/რხ 33 (ტაბ. 25), სხმ/რხ 34 (ტაბ. 29). მასზე ყველა წმინდანი შაბლონურ სამოსშია გამოსახული.

საწელიწდო ხატზე წმ. მხედრებს და მეომრებს რომაული სამხედრო ტანსაცმელი აცვიათ. მსუბუქი გრძელი ვიწრო სახელოებიანი ტუნიკი, ნაკეცებიანი ქვედატანი, რომელზეც ჩამოცმულია ტყვიის ან ქსოვილის სარჩულზე დამაგრებული ლითონის ფირფიტებით შედგენილი ჯავშანი. მეომრის ჯავშანი რამდენიმე ფერშია

გადაწყვეტილი და დეკორატიულ შთაბეჭდილებას ქმნის. მეომრებს, როგორც წესი მოსხმული აქვთ გულზე შეკრული ოქროს სირმებით შემცული ბიზანტიური მოსასხამი, მაღალი სამხედრო ჩინის სამოსი. ფეხზე წითელი, მომწვანო, ან მუქი ტონალობის წალები აცვიათ. ტიპური შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ფორმაა დაცული, მაგრამ მხატრული თვალსაზრისით არა ზედმიწევნით დამუშავებული როგორც გვიანი საუკუნეების ხატწერას ახასიათებს, არამედ განზოგადებული. წმინდანებს თავისი ატრიბუტები: ჯვარი, პალმა და ფარი უჭირავთ.

ფარი ელიფსური დიდი ზომის არის. ბიზანტიაში, აღმოსავლეთ მართლმადიდებელ ქვეყნებში, რუსეთში, სკანდინავიის ქვეყნებში განსაკუთრებით ნუშისებრი ფორმის მეომრის დიდი ფარი იყო გავრცელებული, საქართველოში მრგვალი ფარი იყო მიღებული. XI საუკუნის I ნახევრიდან გვხვდება ნუშისებრი ფარი. ამის შესანიშნავი მაგალითია: ადიშის, ჯგრააგის, ფავნისის კედლის მოხატულობაში წმ. გიორგის ფარები, ხიდისთავის, ბოჭორმის წმ. გიორგის ხატები და სხვა [214].

ხატის მთელ ზედაპირზე კაშკაშა ოქროსფერი ჭარბობს, რომელსაც განსაკუთრებული ძალით ასხივოსნებს წითელი ფერი, თანაბრად ნაწილდება მოლურჯო – მწვანე, ზეთისხილისფერი ტონები. კოლორიტი უხვად, ეფექტურადაა ნახმარი ვარდისფერი, ყვითელი, ცისფერი ინტენსიური ლაქები, რომლებიც სხვადასხვა დოზით არის მოცემული. ფორმისა და რიტმის განაწილება მთელ ზედაპირზე ფრიად მნიშვნელოვანია. ცისფერ – მოვარდისფრო ფონზე ვარდისფერი ტონის ჩართვა სადღესასწაულო განწყობილებას ქმნის. შარავანდები და სამოსის ქსოვილის დეკორატიული ორნამენტი ძირითადად ოქროსფერია, ამით ხაზგასმულია დიდება და საზეიმო განწყობილება. ოქროსფერთან შეთანხმება ფერადოვნების მხატვრულ ეფექტს ქმნის. სამოსზე ოქროს გამოყენება განაპირობებს სემანტიკური მოტივი, მისი ქდერადობა და გამომსახველობა უხვად გვხვდება XVIII–XIX საუკუნეების ქართული და რუსული ხატწერის ნიმუშებში. კაშკაშა ფერადოვნება და „მონოქრომიულობის“ ეფექტი ერთმანეთს ენაცვლება. წითელი უფრო მეტი და აქტიურია. ცივი და თბილი ფერები

კონტრასტში აღიქმება. უდერადობა და გამომსახველობა კოლორიზის ფერწერულ აქცენტს ქმნის და აცოცხლებს სტატიკურ მონოტონურ ფორმებს. XIX საუკუნის ხატწერის ნიმუშებში რუსულ ხელოვნებაში ნახატს ოქროთი შემოწერენ, სივრცეში მთების კონტური, ფიგურის კონტური, ორნამენტით გაწყობილი სამოსი და ნაოჭები ოქროთია გამოყვანილი, ასევე ოქროთი ფარავენ ფონს. XVIII საუკუნეში ოქროს იუენებენ უდიდესი ტაქტით, XIX საუკუნეში ოქრო გამოიყენება საღებავში. საწელიწდო ხატებზე ახალი შუამთის მონასტრიდან ოქროს და ვერცხლის ფერი გამოყენებულია ქსოვილზე სამოსის ნაოჭებისა და ორნამენტის გადმოსაცემად, მიტრაზე და შარავანდზე. ფონზე ოქრო არ გვხვდება.

დეკორატიული მოტივი, ნათელი ფონი, ცისფერი – მწვანე ფერი, სამოსზე ორნამენტის სიჭარბე, ზოგჯერ ტრადიციული, ზოგჯერ ნათლად გამოკვეთილი დასავლური ბაროკალური კონტურები და თავისებური „აკადემიზმი“ ადგილობრივი ან არქაული ხალხური ნიშნები პეტრე დიდის ეპოქაში წარმოიშვა და ნათლად ვლინდება ახალი შუამთის ხატებზე [215].

ახალი შუამთის ხატზე გარკვეული იერარაქიით წარმოდგენილია: წმინდანები და წინასწარმეტყველები, ეს ბიბლიური წინასახელი წმინდანთა სახეებს უკრთდება და მათ შორის იქმნება ერთიანი, უწყვეტი კავშირი. წმინდანთა უმრავლესობა პირველ ოთხ საუკუნეს მოიცავს. პირველი სამი საუკუნე ეკლესიის დევნის პერიოდია, ამიტომ ძირითადად მარტვილთა ცხოვრებაა ასახული. მათ გვერდით ხატმებრძოლების ხანის VIII–IX საუკუნეების წმინდა მამებია, რომელიც იდეურად გამოხატავს ერესთან ბრძოლას და I–IV საუკუნეების ერესთან მებრძოლ წმინდა მამათა სახეთა გაგრძელებაა. წმინდანთა სახეთა გამოსახვა მიანიშნებს მიწიერი ეკლესიის დამფუძნებლებზე, მათ დვაწლზე. წმინდანების იკონოგრაფიული სახის ჩამოყალიბება მიმდინარეობდა თანდათან. ახალი შუამთის ხატებზე მკაცრი შუა საუკუნეების ბიზანტიური კანონიკით ჩამოყალიბებული ტიპია მოცემული და თანმიმდევრულად გამოსახულია მსოფლიო მოწამენი, შემდეგ მოღვაწენი, რომელთაც სახელი გაითქვეს მოძღვრებით, ქადაგებით, შრომით, წმინდა ცხოვრებით.

ხატის ფერადოვნება განსაკუთრებულია, ემოციური და სიმბოლური დატვირთვა ძირითადად ფერზე მოდის. ფერით არის განსაზღვრული, გამოსახულება. ფერი არის გამაერთიანებელი საშუალება ახალი შუამთის კალენდარული ხატების. დეკორატიული ნახატი, გამძაფრებული სპირიტუალურობის განცდა, ხაზის გამოკვეთილობა, ფორმის და კომპოზიციის ზოგადი სტრუქტურა განაპირობებს სახისმეტყველებას. ფერი ყველგან საგანგებოდ არის შერჩეული, ზუსტად არის გამიზნული ყოველი ლაქა ამ ფერადოვნებაში ხედავ ფერის თამამ, თავისუფალ მოხმობას, როდესაც მხატვარს შესწევს ძალა თავისი დროის ესთეტიკური სიმძაფრე წარმოაჩინოს გარკვეული კანონზომიერებით.

ქართულ ფერწერაში ძირითადად ხატის წმინდა დეკორატიული გამომსახველობა ძლიერია, განსხვავებით ბიზანტიურისგან. დეკორატიული ექსპრესია, პლასტიკურობა, სამოსის ნახატის მსუბუქი, დახვეწილი, სხარტი, სახასიათო შტრიხები, პოზების იერატიულობა განსაკუთრებულ სახეს ქმნის. ახალი შუამთის ხატებზე სამოსის ვერტიკალური ხაზები უმეტეს შემთხვევაში გარკვეულად დენადია. იერატიული პოზები ბერ – მონაზონთა ე.წ. ზარისებრი ფორმისაა. ფიგურები მკვეთრად გამოხატულია, კლასიკური სტილის მიმდევარი მხატვარი ცდილობს დამოუკიდებელი სახის შექმნას. თუ პარალელს გავავლებთ XIX საუკუნის II ნახევრის რუსულ მენოლოგიურ ხატებთან სხმ/რხ 33 (ტაბ. 25), სხმ/რხ 34 (ტაბ. 29), სხმ/რხ 390 (ტაბ. 30). განსხვავრება თვალშისაცემია. ამ ხატებზე ფორმა სქემატურია, ფიგურები ძლიერ მინიატიურული, ერთგვაროვანი, შაბლონური, მოკლებული ყოველგვარ ინდივიდუალობას, ერთმანეთისგან თითქმის არ განირჩევიან. ერთსახოვნებას განაპირობებს ფონის და სამოსის ფერი მკვერთი წითელი და ყავისფერი, რომელიც გაბატონებულია მთელ კომპოზიციაზე.

ახალი შუამთის ხატებზე ფიგურის გადმოცემაში შეინიშნება ინდივიდუალური დამოუკიდებელი სახის გადმოცემის სურვილი, ფიგურათა პოზა ქადაგებას და დოგმის განმტკიცებას აძლიერებს. ლაკონიური და განზოგადებულია მხატვრული ენა, ფორმის მოდელირება, კონტური, გერტიკალურ – ფრონტალური ფიგურები,

საერთო ეპოქალური ნიშნის მატარებელია. ფორმათა განცდა, უძველესი ტრადიციით არის განპირობებული თუმცა არის განსხვავებული ნიშნები. გვიან შეა საუკუნეებში მართლმადიდებელი ქვეყნებისათვის აღმოსავლეთ საქრისტიანოს დიდებული ხელოვნება ყველგან თვალნათლივ კარგავს სასიცოცხლო ძალას, შაბლონებისა და გარეგნული ფორმების ნაკრებად იქცევა, კონსერვატული ელემენტები, ნახატის სქემატიზაცია, სახის სტილიზაცია, მკვეთრი ტონალობა, ეპლეპტურობა, აი, ის ძირითადი მახასიათებელი, რომელიც სახეზეა.

ახალი შუამთის ხატებზე ასკეტური სახეები ხშირ შემთხვევაში ერთგვაროვანია, სახეთა წერის პრინციპი – ერთია თუმცა არის განმასხვავებელი ნიშნებიც, ნაკვთების ფორმა და გამომეტყველება ცალკეული ფიგურების შაბლონს სცილდება. ძლიერ ცოცხალი და მეტყველია წმ. თევდორე ტირონის სახე (ტაბ. 5). წმინდა დედათა სახეები იდენტური და პრიმიტიულია. არ ჩანს მკაფიო სტრუქტურულობა. მიუხედავად ამისა, რუსული მენოლოგიური ტრაფარეტული ხატწერისაგან მკვეთრად განსხვავდება.

რუსულ კალენდარულ ხატებს ახასიათებს ახალი სიუჟეტების შემოტანა ალეგორიულ – მისტიკური კომპოზიციები. საზემო იკონოგრაფიული სცენები, რომა პათეტიკურობა ნატურალისტური ფორმების შექონვა. ამის შესანიშნავი მაგალითია ივან მატვეევის თებერვლის თვის ორმხრივი ხატი (1701წ.) (ტაბ. 46), რომელზეც ფიგურები მაღალი და ზარისებრი ფორმის ქვემოთ გაშლილი სამოსით გამოისახება. არქიტექტურასა და პეიზაჟზე გამოყენებულია ხაზობრივი პერსპექტივა. სამოსი მდიდრულად გაფორმებულია და აპოკრიფული იკონოგრაფიული სიუჟეტებით შევსებული.

ახალი შუამთის ხატის კომპოზიციებში ლადშაფტის გადმოცემა პირობითია, მთებს უფრო დაქვემდებარებული როლი ენიჭება. პეიზაჟის გამოსახვა და ფორმა დასავლურ რენესანსულ კულისებს გვაგონებს. ნოემბრის ხატზე „ტაძრად მიყვანების“ (ტაბ. 20) კომპოზიციაში „სივრცითი სტრუქტურა“ ხაზობრივი პერსპექტივის პრინციპზეა აგებული, გამოყენებულია რენესანსული არქიტექტურული ფონი, მინიმალურად არის დამუშავებული არქიტექტურული დეტალები. პეიზაჟის გამოსახვა ტრადიციულია. ბორცვების მოხაზულობა

პრიმიტიული, ცალკეულ შემთხვევაში ერთი ხაზით არის მინიშნებული. ხატები კლასიკური პერიოდის მხატვრულ სახეს უახლოვდება, მაგრამ აკლია შეა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ცხოველხატულობა, დახვეწილობა და სინატიფე გორაკებზე მცენარეული საფარი თხელი და ერთსახოვანია. არქაულობა, წერის მანერაში სიმშრალე შეიმჩნევა. რუსულ მენოლოგიურ ხატებზე კომპოზიციები და წმინდანები ერთ რიგში ჰორიზონტალურ სარტყლებად არის განთავსებული და აქვთ გამყოფი თხელი თეთრი ხაზი. მათ კომპოზიციებში, გრაფიკული ხაზობრივი სტილი შეინიშნება. ხატებზე ათთორმეტ დღესასწაულის სცენებთან ერთად აპოკრიფული თემები გვხვდება და ჭარბობს რუსი წმინდანების პორტრეტები. ამის მაგალითია: ორმხრივი მენოლოგიური ხატი მოსკოვის სკოლა (1597წ.) პ. კორინის კოლექციიდან (ტაბ. 43-45), სხმ/რხ 32 (XIXს.) (ტაბ. 28), სხმ/რხ 33 (XIX ს-ის II ნახ.) (ტაბ. 25), მოსკოვის ხარების ეკლესიის მენოლოგია (1817წ.) (ტაბ. 42).

ა. XVIII–XIX საუკუნეების ქართული და რუსული ხატწერის სტილური მიმოხილვა

ახალი შუამთის ხატები თავისი მხატვრული ფორმით შესრულების მანერით ძალიან ახლოს დგას XVIII საუკუნის მიწურულის და XIX საუკუნის დასაწყისის ძეგლებთან. ეს არის ხანა, როდესაც საქართველოში დასავლური აზროვნება და რუსული მხატვრული იდეალები იჩენს თავს. მართლმადიდებლურ ქვეყნებში იცვლება მხატვრული შეა საუკუნეების სტილი და დასავლური საერო კულტურის შემოდინება ხდება. ამ პერიოდის ქართული და რუსული ხელოვნების მიმოხილვა საშუალებას მოგვცემს გავაანალიზოთ სტილი და ხასიათი ახალი შუამთის ხატების და განვსაზღვროთ მისი შექმნის თარიღი.

XVIII–XIX საუკუნეებში მართლმადიდებლურ ქვეყნებში აღმოსავლეთ საქრისტიანოს დიდებული ხელოვნება კარგავს სასიცოცხლო ძალას და წარმოიშობა ახალი ეპოქალური აზროვნება,

რომელიც დაკავშირებულია ისტორიულ ფაქტორებთან და განპირობებულია შემოქმედებითი მიმართულებებით. დასავლური ფასეულობებისადმი ინტერესი მართლმადიდებლურ ქვეყნებში მეტნაკლები სიმძლავრით თანადროულად მიმდინარეობს და მკვეთრად შეიმჩნევა: საბერძნეთში, რუსეთსა და საქართველოში. მხატვრული სტილის განვითარების პროცესები და სახეცვლილები ყველგან ერთგვროვანია.

საბერძნეთში ევროპული კულტურის შექონვა XVII–XVIII საუკუნეებში თვალნათლივია. 1833 წელს საბერძნეთის ეკლესია ავტოკეფალიის გამოცხადებით გამოეყო კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს და სახელმწიფო დაქვემდებარებაში გადავიდა, რამაც შეზღუდა მისი მდგომარეობა. 1837 წელს სახვითი ხელოვნების სკოლის დაარსება ხელს უწყობს დასავლური მხატვრული პრინციპების დამკვიდრებას. 1850 წელს საბერძნეთის ხელისუფლებამ აღიარა ეკლესიის დამოუკიდებლობა [216]. ამან იმოქმედა საეკლესიო ხელოვნებაზე. XIX საუკუნის ბერძნული მხატვრობის ისტორიაში გერმანული აკადემიზმის „მიუნიური“ სკოლის ნიშნები ჩნდება. ამ პერიოდის ბერძნული ფერწერის სტილიც დასავლური მსოფლმხედველობრივი ესთეტიკის გავლენით არის ჩამოყალიბებული. ტრადიციული ბერძნული რელიგიური ფერწერისათვის დამახასიათებელი მიდგომები და ნიშნები უგულვებელყოფილი და მივიწყებულია [217].

საბერძნეთის მსგავსად რუსეთშიც მიმდინარეობს ძირული ცვლილებები. იმპერატორი პეტერ I ახორციელებს რელიგიურ და პოლიტიკურ რეფორმას, რომელიც გარკვეულად ზღუდავს ეკლესიის სიძლიერეს. აუქმებს პატრიარქის ინსტიტუტს და ეკლესია გადადის სახელმწიფო დაქვემდებარებაში. 1757 წელს საიმპერატორო აკადემიის დაარსება აჩქარებს დასავლური გემოვნების ჩამოყალიბებას.

XVII საუკუნის დასაწყისში მოსკოვში უცხოელთა ერთი ნაკადის შემოსვლა რუსულ ხელოვნებაში ახალ იდეალებს ამკვიდრებს [218]. XVIII საუკუნეში მიმდინარეობს გადაფასება შუა საუკუნეების ფერწერის. პირობითი ფორმების მხატვრობა თანდანთან იცვლება და იკვეცება დასავლური გემოვნებით, ფორმირდება ახალი

მსოფლმხედველობა, წარმოიშობა თავისუფალი იდეალიზირებული სახეები. დასავლეთ ეკროპიდან რუსეთში შემოედინება რელიგიური ლიტერატურა: ბორხტის (XVIIს.), პისკატორის (XVIIIს.), მერიანის (XVIIს.), ვაიგელის (XVIIIს.) ბიბლიები, რომელიც ცვლის მხატვრულ მსოფლმხედველობას. პოლანდიაში დაბეჭდილი პისკატორის ბიბლიის გრავიურების კრებული, გამოსახავს თავისი დროის მაჯისცემას. იგი რუსი მხატვრებისათვის ახალი შთაგონების წყაროდ იქცევა [219]. მან საფუძველი დაუდო შუა საუკუნეების ბიზანტიური იდეალების გაუფერულებას და ახალი რენესანსული იდეების დამკვიდრებას. ბიბლიის რენესანსის ესთეტიკურ გემოვნებაში იჭრება ფლამანდრიული და პოლანდიური მხატვრობა და იგი ახალ ეტაპზე გადასვლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. პოსტიზანტიურ ხატწერაში ჩნდება მრავალფიგურიანი სივრცითი კომპოზიციები, რენესანსის არქიტექტურისათვის დამახასიათებლი ფონი, მდიდრულ, სტილიზებულ ანტიკურ კოსტიუმებში გამოწყობილი გამჭვირვალე მოძრავი ფიგურები პირობითი და მანერული პოზებით. მჟღერი, მრავალფეროვანი კოლორიტი სახასიათო ხდება რუსული ფერწერისათვის. იკონოგრაფია გაჯერებულია აპოკრიფული სცენებით, შევსებულია დინამიური და დეკორატიული ელემენტებით. კედლის მხატვრობასა და ხატწერაში რთული კომპოზიციური გამოსახულებები, თხრობითობა და ლიტერგიკის სახოვანი გადმოცემა შეინიშნება. ახალი სიუჟეტების შემოტანა საეკლესიო მხატვრობაში, საზემო იკონოგრაფიული სცენები, ღრმა პათეტიკურობა, ნატურალისტური ფორმების შექმნა, სივრცითი და პლასტიკური მოცულობების დამკვიდრება, აი, რა არის ძირითადი მახასიათებელი. მოსკოვში პროვინციიდან მოედინება ხატმწერთა ჯგუფი, მათ ჩამოაქვთ ხალხური სტილი, რომელიც ერწყმის კლასიკურ სტილს და ახალ მხატვრულ სახეს ქმნის. კონტაქტი დასავლეთთან, საბერძნეთთან დასავლური ფერწერული სტრუქტურის ბიზანტიურ იკონოგრაფიასთან სრულიად ახალ ეპოქას წარმოშობს.

იაროსლავის, კოსტრომის, როსტოვის, ვოლოგდის ეპლესიები იხატება ნატურალისტური წყობით, გამოირჩევა ქრისტოლოგიური ციკლის სიჭარბით, სადაც ხაზობრივი პერსპექტივის პრინციპი თვალნათლივია [220]. რუსული ხატწერის სტილზე გავლენას ახდენს

გრავიურის განვითარება, იგი ხელს უწყობს ხალხური ხელოვნების აღორძინებას. ხატწერის ხალხური პრიმიტიული სტილი საფუძველს უქრის რუსული საერო ლუბოკის ხეზე კვეთილობას, რომელიც XVII საუკუნის ბოლოს წარმოიშვა. გრავიურა გადაჯაჭვულია ხალხურ და დასავლურ ტრადიციებთან. იბეჭდება პავლე კორენის ბიბლია [221], რომლის მხატვრული სტილი და ფორმები გავლენას ახდენს იაროსლავის ილია წინასწარმეტყველის (XVIII.) და ტოლჩკოვოს იოანე ნათლისმცემლის ეკლესიების (1700წ.) ფრესკების მხატვრობაზე [222]. რუსული გრავიურა ამტკიცებს თუ რამდენად დრმად იცნობდნენ მსოფლიო კლასიკურ კულტურას. მასიური მოხმარებისათვის იბეჭდება გრავირებულ ფურცლებზე პრიმიტიულად შეღებილი წმინდანთა ხატები, თითოეული ფურცელი დამოუკიდებელი სურათია. კომპოზიციები დეკორატიულია და ზედაპირული. ამ პერიოდში დიდი მოთხოვნა იწყება ინდივიდუალური ხატის შეძენასა და წიგნის „ბიბლია დარიბთათვის“ გავრცელებაზე [223]. კორენის ბიბლია შეიძლება ითქვას არის ერთ-ერთი შთაგონების წყარო რუსული ლუბოკის ჟანრის განვითარების. პრიმიტიული, ზღაპრული, გროტესკულ – კომიკური პერსონაჟები ფურცლებზე გამოსახული ხალხური სულის მატარებელი გრაფიკული ნახატებია, რომელშიც გამოყენებულია ხატწერის უპარსპექტივა (ტაბ. 66). შავ – თეთრი სურათები XVIII საუკუნეში მოსკოვში მ. არტემიევის სახელოსნოში იყო გავრცელებული [224]. გრავირებული პრიმიტიული ლუბოკის ჟანრმა, ხალხური სტილის ხატებმა უდიდესი როლი შეასრულა XX საუკუნის ათი-ოციანი წლების მოდერნის ხელოვნებაზე. კერძოდ, „ბუბნოვი ვალეტის“ მხატვრული სტილის განვითარებაზე. 1913 წელს მოსკოვში გამოფენაზე სახელწოდებით: «Мишенъ», ექსპონირებული იყო ხალხური სტილის ხატები და ფირნიშები. მ. ლარიონოვის, ნ. განჩაროვას, კ. ქოჩარის ნამუშევრებში ჩანს ხატწერისათვის დამახასიათებელი სიბრტყობრივ – დეკორატიული მანერა. სურათი „საპარიკმახერო“ ამის შესანიშნავი გამოხატულებაა, რომელზეც ხატწერის პრიციპით არის კომპოზიცია აგებული [225].

XVIII-XIX საუკუნეები რუსულ ხატწერაში აღმავლობის ხანაა საერო კულტურის მომძლავრება სრულიად ახალ მხატვრულ სახეს

წარმოშობს, სტილურად დაშორებული ბიზანტიური ხატწერისაგან. პროვინციებში ჩრდილოეთის სამხატვრო სკოლებში ტრადიციული შუა საუკუნეების ფერწერის ერთგული რჩებიან, თუმცა მასშიც არის დასავლური და ხალხური სტილის ნიშნები. პალეხის, მსტერის, ხოლუას სკოლებს ახასიათებს მინიატიურული სტილი, გრაფიკულობა და არქაულობა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში პალეხის ფერწერა იცვლება. პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში იხსნება ხატწერის სწავლების კურსი, რომელსაც ხელმძღვანელობს სამხატვრო აკადემიის მხატვარი ე. ი. სტიაგოვი, მკვიდრდება აკადემიური სტილი [226]. ხატი დაზგური სურათის პრინციპით იხატება, ჩანს რეალისტური ნიშნები პერსონაჟთა სახეებში და გარემოს გადმოცემაში, შუქ – ჩრდილით ფორმის მოდელირება.

XVIII საუკუნე გამოირჩევა საერო დეკორატიული ხასიათის, დასავლური იკონოგრაფიის გაჯერებული სტილით, „ფერწერული“ ბაროკოს ეფექტით და როკოკოს მანერის გამოძახილით. წმინდანების სახეების რეალისტური „პორტრეტები“, უკანა პლანი რთული დრმა არქიტექტურით და პეიზაჟით. ეს არის ძიება დასავლური ფერწერული სტილის, რომელშიც ჩაწერულია ძველი რუსული ტრადიციები. ხატწერის XIX საუკუნის ნიმუშები კლასიკური აკადემიის ხელოვნების გავლენის ქვეშ ექცევა და ბაროკალური სტილის შემოტევისგან თავისუფლდება. ნახატი და ორნამენტი იძენს პლასტიკურ ნათელ და მკაცრ, გამოკვეთილ დახვეწილობას. ამ პერიოდში თანდათან მივიწყებულ იქნა ძველი ბიზანტიური ხატწერის სტილი. შეიქმნა ახალი მონუმენტური მხატვრობა რელიგიური სიუჟეტური ფერწერით, რეალისტურ სტილზე დაყრდნობით. იშვიათია ძველი ტრადიციული წერის მანერა, რომელიც ხშირ შემთხვევაში არასტანდარტულია, ეკლეკტიური, პრიმიტიული და უხეში. XX საუკუნის დასაწყისში შუა საუკუნეების ხატწერისადმი ნოსტალგია იღვიძებს და მიმდინარეობს მცდელობა ააღორძინონ ძველი რუსული ხატწერა [227]. წმ. სინოდი ხუროთმოძღვრებსა და მხატვრებს მიმართავს, არ დაარღვიონ მართლმადიდებლური კანონი ეკლესიის აგების, მოხატვის და შეესაბამისობაში მოიყვანონ თანამედროვე კულტურის მოთხოვნასთან. ამასთან დაკავშირებით 1880 წლის 24 მარტის წმ. სინოდის დადგენილებაც გამოდის [228]. XIX საუკუნის შუა

ხანებში რუსული ხელოვნება ორიენტირებულია აკადემიურ სტილზე. სანქტ-პეტერბურგის ისაკიევსკის ტაძრის (1818-1858) და მოსკოვის მაცხოვრის ეკლესიის ფრესკები (1839-1883), მხატვრების: კ. ბრულოვის, ფ. ბრუნის, გ. სემირადსკის, ი. რეპინის, ს. მაკოვსკის ოსტატობის მაღალი დონით გამოირჩევა, მაგრამ არ შეესაბამება მართლმადიდებლურ ლოთისმეტყველებას და ლიტურგიკას. ეს არის კლასიკური ევროპული სტილი, მაგრამ არა იმ პრინციპების, რომელიც ხატწერისათვის არის მისაღები. ვ. ვასნეცოვი და მ. ნესტეროვი კიევის ვლადიმირის ეკლესიაში მუშაობენ ბიზანტიურ – რუსულ სტილში, მაგრამ თვალნათლივია ევროპული ხედვა, ფორმის და სახის გადმოცემაში რეალისტური ტენდენციები. უნდა აღინიშნოს მ. ვრუბელის რუსული მოდერნის სტილის ესკიზები, ძლიერი ფერწერული ექსპრესიული ფორმებით [229]. ასეთმა ძიებებმა, ევროპული ხელოვნებისადმი საეკლესიო მხატვრობის სწავლამ XIX საუკუნის რუსულ ხელოვნებაში ფართო ხასიათი მიიღო. XIX საუკუნის II ნახევარში მასიური ფაბრიკული წარმოების ხატები იქმნება.

ახალი შუამთის საწელიწდო ხატები ხასიათდება ტრადიციული მხატვრობით. მასში უფრო XVII–XVIII საუკუნეების რუსულ ხატწერაში არსებული იტალიური რენესანსის ნიშნები ჩანს, ვიდრე XIX საუკუნის რეალისტური ფერწერული აზროვნება. იგი კლასიკური ძველი პროტოტიპებით სარგებლობს და დამოუკიდებელ მხატვრულ სახეს ქმნის, რამდენადმე ეკლეკტიურია, მასში წარსული დიდების ნოსტალგია უფრო შეიმჩნევა, ვიდრე ახალი რეალისტური სტილური ნიშნები. მისი დაწერის თარიღი XIX საუკუნის 50-იან წლებს არ სცილდება.

ხალხური სტილის მოძალებამ, კლასიკური დასავლური იდეალების შემოდინებამ ბუნებრივია შეცვალა და შეავიწროვა ბიზანტიური მხატვრული სტილი და სრულიად ახალი სახე წარმოშვა. ყოველივე ამას წინ აღუდგა რუსეთის ეკლესია. ცნობილია პატრიარქ ნიკონის ბრძოლა დასავლეთიდან შემოსულ სიახლეთა წინააღმდეგ. მან მოითხოვა შეეკრიბათ ეკლესია – მონასტრებიდან და ბოიართა ოჯახებიდან ახალი დასავლური ტიპის ხატები და მიწაში დაეფლათ. გადაეცათ ანათემაზე ყველა ვინც არ ჩააბარებდა ან დაწერდა დასავლური სტილის ხატს [230]. პატრიარქი იოაკიმი წერს, რომ

იყიდება ნაბეჭდი ფურცლები გერმანული, ერეტიკული ლუთერული და კალვინისტური, რომელმაც ძველი ხატებისადმი ინტერესი გადაფარა, ამიტომ ბრძანებს აიკრძალოს წმინდანების სახეების ბეჭდვა ფურცლებზე, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო. სამი პატრიარქის პაისია ალექსანდრიელის, მაკარი ანტიოქიელის და იოასაფ მოსკოველის ბრძანება შეეხება არაპროფესიონალ, უცოდინარ ხატმწერებს, რომელთაც ეკრძალებათ ხატვა. მეფე ნიკოლოზ I (1796-1855) გამოსცემს ბრძანებას, რომლის თანახმად დგინდება სახელმწიფო ზედამხედველობა ხატმწერაზე [231]. 1830 წლის 19 დეკემბრის განკარგულების მიხედვით ეპარქიებიდან „აუცილებელია მივლინებულ იქნეს მხატვრები სამხატვრო აკადემიაში ან სხვა სამხატვრო სასწავლებელში „სწორი ფერწერის“ შესასწავლად, ძველ ნიმუშებზე დაყრდნობით უნდა აღდგეს ტრადიციული საეკლესიო ხელოვნება“ [232].

მსგავსი მდგომარეობა სუფეს XVIII საუკუნის შუა ხანებში საქართველოს ეპლესიის ცხოვრებაში. ამაზე მიუთითებს 1748 წლის საეკლესიო კრების დადგენილება, ხელნაწერი Q-412 „დავითნში“ ჩართულია ამ კრების მასალები. კრება კრძალავს ძველი დაზიანებული ნივთებით ლიტურგიკის ჩატარებას. 1767 წლის მიმართვაში განცხადებულია, რომ ხატმწერისათვის არიან განსწავლული მხატვრები და საეკლესიო ლიტერატურის გამოსაცემად არსებობს სტამბა. წმ. მამათა კანონის მიხედვით უნდა აღსრულდეს ხატების დაწერა, რადგან „ვითარცა არს ყოვლისა სამართლმადიდებლოსა ქუეყანასა შინა საბერძნეთსა და რუსეთსა, ეგრეთ ჯერ არს ჩვენცა ეკლესიათა ყოფა“ [233]. ანტონ კათალიკოსი და იოსებ კათალიკოსი ეკლესიის მსახურთა წვრთნას ითხოვს, რათა საეკლესიო კანონის მიხედვით მიმდინარეობდეს დვისმსახურება.

გამომდინარე ზემოთქმულიდან თვალნათლივ ისახება საქართველოში არსებული საკმაოდ მძიმე რეალური სურათი. როგორც კრების დებულება გვამცნობს მოშლილია ერთიანი ლიტურგიკული ფორმა. ცალკეული ეკლესიები საეკლესიო წმინდა ნივთების, ლიტერატურის და პროფესიონალ ხატმწერთა ნაბლებობას განიცდის.

საქართველოსა და რუსეთში ტრადიციული კანონიკური ხატმწერის დაცვისათვის არაერთი საეკლესიო დადგენილება არის

მიღებული, მაგრამ ოოგორც ჩანს ეპოქალურ მსოფლმხედველობას და დასავლური კულტურის განვითარების გზას ვერავინ აღუდგებოდა წინ. ამ მხრივ რუსეთში უფრო რთული ვითარებაა.

XVIII-XIX საუკუნეში საქართველოში არსებობს მხატვარ – ამქართა ჯგუფი, რომლებიც წერენ ხატებს ტილოზე. ამ ხატებზე შეინიშნება რუსული და დასავლური ხელოვნების გავლენა ეროვნულ ხალხურ მხატვრულ ტარდიციებზე დაყრდნობით. ქართლსა და კახეთში ხატმწერთა სამხატვრო სკოლები არსებობდა: შუამთაში, ნეკრესში, რუსში, ურბნისში, მცხეთაში, ალავერდში, ბოდბეში. XIX საუკუნის შუა ხანებში თბილისში გარკვეული დროით ფუნქციონირებდა პეტერბურგის აკადემიის ბაზაზე არსებული მართლმადიდებლური ხატწერის კლასი, რომელსაც ხელმძღვანელობდა არქიტექტურის აკადემიკოსი პ. ნორევი [234].

1880-1890 წლებში საქართველოში უმაღლესი სამხატვრო განათლების ფერმწერთა პირველი პლეადა გამოჩნდა. მხატვართა ამ თაობას ქართულ მხატვრულ აზროვნებაში რთული და მეტად მნიშვნელოვანი როლი დაეკისრა [235].

XVIII–XIX საუკუნის ქართული ხელოვნება დაკავშირებულია საზოგადოების სულიერი ცხოვრების ცოცხალ და მყარ საფუძველთან. მდიდარი ეროვნული მემკვიდრეობა გადადის იმ ესთეტიკურ ფასეულობებზე, რომელიც განიხილება ისტორიული თვითშეგნების ახალ ფორმატში, ეს კანონზომიერი პროცესი თვალნათლივია როგორც მონუმენტურ და ისე დაზგურ ფერწერაში. XVI–XVII საუკუნეები საქართველოში ტრადიციული ხელოვნების აღმავლობის ხანაა, მასში შეინიშნება ხალხური სტილური ნიშნები და დასავლური ესთეტიკა [236]. XVIII–XIX საუკუნეებში ტრადიციული ხელოვნება ეპლეკტურ ხასიათს ატარებს და ფორმები შევიწროვებულია საერო მხატვრული იდეალებით. საერო ხელოვნების მომძლავრება ქართულ ხატწერის სტილზე მოქმედებს, იგი თანდათან კარგავს თვითმყოფადობას. XX საუკუნის დასაწყისში ახალი ეტაპი დგება, ძველი საეკლესიო ქრისტიანული საწყისის ძიება და ტრადიციის აღდგენის მცდელობა. ქართული ეროვნული კულტურის მახასიათებელი ნიშნები და „მოდერნისტული“ მიღვომის გარკვეული სინთეზი ჩნდება ახალი

თაობის მხატვრების ნამუშევრებში. ამის შესანიშნავი მაგალითია: დ. შევარდნაძის ჭიათურის სამთო – ტექნიკური სასწავლებლის ეპლესის კანკელის ფერწერული ხატები და ვალერიან სიდამონ-ერისთავის თელავის ღვთაების ეპლესის ტრიპტიქონი [237].

ეოველ ისტორიულ ეპოქას აქვს თავისი ხელწერა, სწორედ ასეთია XVIII–XIX საუკუნის ქართული ფერწერა. ამ დროს ქართული მხატვრული შუა საუკუნეების სტილი უკან იხევს და იქმნება ახალი დაზგური მხატვრობა. ცვლილებები მიმდინარეობს მხატვრული სახის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში: ახალი მსოფლმხედველობითი წარმოდგენები, გრძნობათა ასახვა და ფერწერის ემანსიპაცია ევროპული კულტურისადმი. რეალისტური ტენდენციების შემოდინება XVII საუკუნიდან რომელიც გადმოსცემს ახალი დროის მაჯისცემას. თუმცა ვერ შეცვალა ხელოვნების განვითარების გზები. XVII საუკუნემ ხარისხობრივად ახალი სახე შეიტანა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ბიზანტიურ ხატწერაში. საერთო ევროპული დონე აღმოსავლეთ საქრისტიანო ქვეყნებში თანაბრად შეიმუცნებს რენესანსის, ბაროკოს და კლასიციზმის ნიშნებს.

XVIII–XIX საუკუნეებში მაღალი კლასიკური არისტოკრატიული კულტურის გვერდით ხალხური სტილი ძლიერდება და ხშირ შემთხვევაში იგი ამ პერიოდის კულტურის მასაზდოებელ წყაროს წარმოადგენს. ნათლად იკვეთება ევროპული ილუზიონიზმის მიმართულებები. ევროპული მხატვრობის სახვითი ფორმების მიღება თავისთავად მოწმობს ჩვენში ემპირიულის გარკვეულ მნიშვნელობას, ქართულ კულტურაში ძველ კონსერვატულ პალეოლოგოსურ ორიენტაციაზე დაფუძნებული მხატვრობა გარკვეულ ეპლეკტურ ხასიათს იღებს, შეიმჩნევა ნახატის სიმშრალე და სიბრტყობრიობა. პალეოლოგოსურ ორიენტაციაზე მიმართული მხატვრული ნაკადი გვხვდება XVII საუკუნის ფრესკებზე: ნიკორწმინდა, მარტვილის ჩრადმოსავლეთ მკლავის ჩიქვანთა მხატვრობა, წალენჯიხის სმ. ეგვტერის პორტრეტები, ანანური, სამთავისი, შემოქმედი. ხაზის საშუალებით შექმნილია რიტმი, დაუნაწევრულობა, დამჯდარი პროპორციები, ფიგურათა გორაკებიან პეიზაჟზე გამოსახვა და სხვა. ევროპული ნაკადის წყარო იყო: საბერძნეთი, რუსეთი, მისიონერები და

დასავლური ლიტერატურის შემოდინება. დადიანმა „დონ არქანჯელოს უბრძანა სურათი დაეხატა იტალიურ ყაიდაზე...“, „დედოფალმა... როცა ნახა... ფიგურა, პატრი არქანჯელოს დახატული, ძალიან მოეწონა, მან ბრძანა, რომ განსაზღვრული აქვს მოახატვინოს ეკლესია აღნიშნულ პატრს“. „პატრი ავიტაბილესთვის თეიმურაზს პირადად დაებარებინა... რომ იტალიიდან... მხატვრები მოეყვანა, რათა ამ უკანასკნელთ სპარსელებისგან დანგრეული ეკლესიები შეეკეთებინათ“ [238]. ეს ფაქტები რეალურად ასახავს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. რენესანსულ – მანერისტულ სტილს ვხედავთ ბოდბის მოხატულობაში (1823წ.). ბოდბის ფერწერა დასავლური მხატვრული სტილით არის გაჯერებული [239]. იგი ახლოა ახალი შუამთის საწელიწდო ხატების სახისმეტყველებასთან. ბოდბეში წმინდანები გამოსახულნი არიან ყავისფერ ჩარჩოში, მოცისფრო, მოყავსფრო ფონზე. თხრობითობა, კომპოზიციების ჩარჩოში სურათივით ჩასმა, წმინდანთა პორტრეტები, მოცულობითი ფორმები ევროპულ ტრადიციულ ნიშნებს ატარებს. ბოდბის საკურთხევლის სამხრეთ ნავის აფსიდში არის წმ, ნინოს ცხოვრება წარმოდგენილი. შ. ამირანაშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ჩრ. კედელზე ქართველი წმინდანები იყვნენ გამოსახულნი [240]. რუსული და ევროპული ნიმუშებით სარგებლობს ანჩისხატის (1814წ.) ფრესკების მხატვარი, იყენებს ხაზობრივი პერსპექტივის ძირითად კანონს.

რუსული ფერწერის ნიმუშების მიმბაძველობით შესრულებული ხატებზე იგრძნობა მოცულობის გადმოცემის მცდელობა. ქართულ ჭედურ ხელოვნებაში „ევროპეიზმის“ და რუსული ნაკადის შემოდინება ძლიერ ინტენსიურია. უცხოური გავლენა შეინიშნება ორნამენტსა და ფიგურის დამუშავებაში [241]. რუსული ხელოვნების სტილური ნიშნები სახეზეა ჩხარის წმ. საბას კარედი ხატზე (1779-1780წწ.). (ტაბ. 65). კარედის გარეთა მოჭედილობაზე წმინდანების ფიგურებს ზარისებური ფორმა აქვს, სამოსი ზედმიწევნით დეკორატიულად არის დამუშავებული. აწყურის ხატის კარედზე (1774წ.) (ტაბ. 64) წმინდა მამათა პორტრეტები მოცულობითია და სახეთა წყობაში რუსული ხასიათი შეინიშნება. ეკლესია – მონასტრებისათვის ცალკეული პირები უკვეთავდნენ რუსულ სახელოსნოებში ხატებს. ასეთია

ალავერდის ეპისკოპოსის ნიკოლოზ ჩოლოვაშვილის მიერ სამება-სერგიევის ლავრაში შეკვეთილი წმ. გიორგის დიდი ფერწერული ხატი (1721წ.), რომელიც მოგვიანებით მოჭედეს [242]. პეტე მეუნარგიას და ამ პერიოდის ოსტატთა ნამუშევრებში შეინიშნება როგორც ქართული ელემენტები ასევე რუსული ხელოვნებასთან უდავო სიახლოვა.

პარალელურად ამისა ქართული ტრადიციული მხატვრული აზროვნება გრძელდება, ამ ნაკადისაა ხელნაწერი მინიატიურები: AA-425 (ტაბ. 56,57), AA-909, S-1096. XIX საუკუნის დასაწყისში ქალაქური პორტრეტული ხელოვნება ქართული სახისმეტყველებით გამოირჩევა.

დასავლურ მხატვრულ ელემენტებს ქართულ ნაქარგობაშიც ვხვდებით. „ელენე დედოფლის გარდამოხსნაზე“ (1726წ.) თვალნათლივ ჩანს სიღრმის გადმოცემის მცდელობა და სხეულის მოცულობითი პროპორციები. იცვლება კოლორიტიც, XVII საუკუნიდან გარკვევით იგრძნობა ოქროს (ან ვერცხლის) გაძლიერების ტენდენცია, თანდათან იგი სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება [243]. „შოშიტას გარდამოხსნაზე“ (XVIIIს.) ოქრო ლაპლაპებს და თვალს ჭრის. ზედაპირი ცივი, ხისტი და მძიმეა, ნახატი და ფიგურები გახევებული [244]. კომპოზიციები ამჟღავნებენ უცხოურ შაბლონებთან კავშირს, რომელიც პირდაპირ გადმოაქვთ. მევე ერეკლე II მამიდაშვილის ქეთევანის მიერ თბილისის სიონისადმი შეწირულ კრეტსაბმელზე, წითელი ატლასის მიწარზე ოქრომკერდით ამოქარგული იესეველთა საგვარეულო ხეა გამოსახული, ევროპული ელემენტები თვალნათლივია გვირგვინების და კერძოთხის ფორმაში, ასევე სივრცის გადმოცემის მცდელობაში. მარიამის ომოფორზე სხმ/ნ. 1447 რუსული ნაქარგობის გავლენა ჩანს ფერადოვან გადაწყვეტაში – წითელი და ცისფერი მოვლები. როდამის ომოფორზე (1664წ.) სხმ/ნ. 1446 ამაღლების კომპოზიციაში ეკლესიები „ხახვისებური“ გუმბათითაა ამოქარგული [245]. ანალოგიურ პროცესს ვხედავთ ახალი შუამთის ხატებზე, სადაც ოქროსფერი და წითელი ტონალობა ჭარბობს, შეიგრძნობა განსაკუთრებული ინტერესი ფორმის რეალისტური გადმოცემისა, მხატვრული სახე და კავშირი ჩანს ეპოქალური აზროვნებისა. მაისის თვის ხატზე ხახვისებური გუმბათი მოჩანს. ხელოვნებაში ეს არის გარდატეხის ხანა, რეალისტური ხედვა, შუქ-ჩრდილით მოცულობის

შექმნა და საერო თემატიკის გაძლიერება. ქართული მხატვრობისათვის დამახასიათებელია ფერადოვანი შეთანხმება, თავდაჭერილობა და პარმონიულობა მაშინაც კი როცა მაღალი ჟღერადობის და ინტენსივობის ფერებია გამოყენებული.

XVIII საუკუნის მესამე მეოთხედიდან მკაფიოდ შეინიშნება ხალხური სტილი, ჩნდება ინტერესი ძველი ეროვნული ტარდიციებისადმი, რაც თვალნათლივ აისახა ლიტერატურასა და გამომსახველობით ხელოვნებაში. ხალხური სტილისადმი მობრუნება მხატვრული ენის გაცოცხლებას იწვევს.

ევროპული კულტურა და დაზგური ფერწერა, რომელმაც სტილური მრავალსაუკუნოვანი ევოლუციის გზა განვლო, მიღმა დარჩა ერთგვარად ქართულ სიწმინდესთან პოსტიზანტიურ ხანაში თუმცა ცალკეული ფორმით და ნიშნებით მაინც ვხედავთ ქართულ მონუმენტურ ფერწერასა და ხატწერაში. მხატვრული სახე და კავშირი რუსულ და ევროპულ ფერწერასთან, ფორმათა სტილური თავისუფლება, თემატურ სიუჟეტური ერთიანობა ნათლად ჩნდება, როგორც ხატწერაში, ასევე თბილისურ პორტრეტებში.

რამ განაპირობა ახალი შუამთის ხატებზე რუსი წმინდანების გამოსახვა და ქართველ წმინდანთა დასის იგნორირება? ეს გასაგები ხდება, თუ გავითვალისწინებოთ რუსოფილურ პოლიტიკას საქართველოში და რუსეთის საგზარხოსო მმართველობის უმძიმეს ხანას. ქართული კულტურა და საეკლესიო ლიტურგიკა რუსულ რელიებზე იძულებით გადადის. ზეწოლა ძლიერი იყო, შეთავაზება რუსული ხატწერის ნიმუშების და საეკლესიო ნივთების თვალნათლივია. ამაზე მეტყველებს ბეჭდური ოდიკები. XIX საუკუნის ბეჭდური ოდიკები შესრულებული დასავლური მხატვრული სტილით მზადდებოდა საქართველოს ეკლესია – მონასტრებისთვის. ოდიკებზე გამოსახულია დატირების კომპოზიცია, რომელსაც გარშემო შემოსდევს კანონიკური წარწერა [246]. შემონახულია ოდიკები ქართული, ბერძნული და რუსულენოვანი წარწერით. ხელოვნების მუზეუმში დაცულია ოდიკები (ტაბ. 61-63), რომელზეც კანონიკური წარწერისათვის დატოვებულია ცარიელი არე, რათა შეეგვით ქართულენოვანი წარწერით. იზღუდებოდა ქართველ წმინდანთა მოხსენიება და ქართული

დღესასწაულები. საქართველოს ეგზარხოსმა პალადი რაევმა (1887-1892) დასვა კითხვა, სად მოვძებნოთ ქართველი წმინდანების წმინდანთა შერაცხვის აქტები? და პასუხობს ასეთი აქტები არ შემონახულა. მან სინოდის სახელით განკარგულება გასცა ქართველ წმინდანთა სახელები ბერძნულით და რუსულით შეეცვალათ და დაეჯარიმებინათ ის მღვდლები, რომლებიც ბავშვებს ნათლობისას ქართველ წმინდანთა სახელებს დაარქმევდნენ. განკარგულება არ შესრულდა [247]. ეგზარხოსმა პავლემ (1882-1887) თბილისის სასულიერო სემინარიაში აკრძალა ქართულ ენაზე სწავლება. ეგზარხოსებს პალადის და ვლადიმირს (1892-1898) ადგილობრივი წმინდანები გულზე არ ეხატებოდათ. 1 ოქტომბერს რუსეთის ეკლესია დვთისმშობლის საფარველის დღესასწაულს აღნიშნავს. საქართველოში კი აღინიშნება სვეტიცხოვლობა. ახალი შუამთის ხატებზე მხოლოდ „დვთისმშობლის საფარველის“ კომპოზიციაა მოცემული. კ. ცინცაძე იგონებს ეგზარხოს ვლადიმირი 1894 წლის 1 ოქტომბერს სვეტიცხოველში სწირავდა, ანალოგიაზე სვეტიცხოვლის და დვთისმშობლის დაფარვის ხატები ესვენა, მეუფემ კანდელაკს უბრძანა სვეტიცხოვლის ხატი აედოთ. ხატი წაიღეს, მლოცველთ გული დაუმძიმდათ, ზოგიერთ რუსსაც კი და ბევრი ეკლესიიდან გავიდა [248]. ეგზარხოსმა ფეოფილაქტეგ (რუსანოვი) (1817-1821) დაადგინა კვირაში სამი დღე თბილისის სიონში დვთისმსახურება უნდა ჩატარებულიყო რუსულ ენაზე. რუსულ ენაზე უნდა ეთარგმნათ გუჯარები, გაეხსნათ თბილისში, გორში, სიღნაღში სასწავლებელები [249].

ასეთი ძლიერი წნევის შედეგად გასაგები ხდება ახალი შუამთის იკონოგრაფიული პროგრამა, სადაც გამოსახული არ არის ქართველი წმინდანები და დღესასწაულები. XVII-XVIII საუკუნის რუსულ ხატებზე გვხვდება რუსული და ნუსხური განმარტებითი წარწერები. ამის შესანიშნავი მაგალითია: იოანე ნათლისმცემლის ხატი ცხოვრებისეული სცენებით XVIIIს. სხმ/რხ. 44 (ტაბ. 35-38), XVIII საუკუნის ხატზე სხმ/რხ. 91 (31-34) დვთისმშობლის ცხოვრებისეული სცენების და მსოფლიო წმინდანთა გვერდით წარმოდგენილია ქართველი წმინდა მამები: აბო თბილელი, ილარიონ ქართველი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კავკასიის კალენდარში ქართველ წმინდანთა სახელები

შეტანილია [250]. ახალი შუამთის ხატზე არსებულ რუს წმინდანთა უმეტესობა კავკასიის კალენდარში შეტანილი არ არის, გარდა დიდი მამებისა: ალექსანდრე ნეველი, სერგი რადონეჟელი, არსენ ტვერელი, ისინი ქართულ საეკლესიო კალენდარშიც არიან განთავსებული [251]. ხატზე გამოსახული ცალკეულ რუს წმინდანთა ფიგურები ძლიერ პრიმიტიულად არის დაწერილი. როგორც ჩანს მხატვარი იყენებს სხვადასხვა ნიმუშებს. ამიტომ მათი სახეები მარტივია, ერთმანეთის მსგავსია, მხატვრულად ძლიერ სუსტად არის დამუშავებული და უსუსურად გამოიყურებიან მსოფლიო წმინდანთა გვერდით. ახალი შუამთის საწელიწდო ხატი რუსული ხელოვნების სტილურ ნიშნებს ატარებს, მაგრამ ამ პერიოდის საწელიწდო ხატების შაბლონური სტილისგან რამდენადმე განსხვავდება, მასში შეინიშნება გაწაფული მხატვრის ხელი. ყოველი სახე დამოუკიდებელ ხასიათს ატარებს, კომპოზიციები ძლიერ ლაკონიურია და ფორმა მეტყველი. მხატვარი სარგებლობდა რუსული ხატწერის ნიმუშით, განმარტებით მინაწერებში ჩანს, რომ რუს წმინდათა სახელები უმეტეს შემთხვევაში შეცდომით ან რუსული ინტერპრეტაციით არის შესრულებული. კალიგრაფი ქართველი იყო.

ქვედა ზღვარი ამ ხატების შესრულებისა შეიძლება დადგინდეს ორი მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტორით: პირველი – ხატზე 13 ივლისს ხელმეორედ აღნიშნულია მთავარანგელოზ გაბრიელის კრება. ეს დღესასწაული დაწესდა XVIII საუკუნეში კონსტანტინოპოლიში მთავარანგელოზის სახელობის ტაძრის აგების პატივისცემის ნიშად [252]. მეორე – 30 აგვისტოს ახალი შუამთის ხატზე გამოსახულია ალექსანდრე ნეველი. ამ დღეს აღინიშნება აღმოყვანება ნაწილთა კეთილმორწმუნე ალექსანდრე ნეველისა. მისი აღნიშვნა კალენდარში 1724 წლიდან ფიქსირდება. ეს კალენდარული თარიღები და სტილური ნიშნები თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ახალი შუამთის საწელიწდო ხატები მოხატული უნდა იყოს XVIII საუკუნის მიწურულს.

XIX საუკუნის შუა ხანებიდან დასავლური ეპროპული სტილი მკვეთრად ჩანს ხატწერაში. ახალი შუამთის ხატები ძველი შუა საუკუნეების კლასიკური სტილის ნიშნების მატარებელია. აქედან

გამომდინარე მისი შესრულების ზედა ზღვარი XIX საუკუნის დასაწყისი.

ბ. საწელიწდო ხატები სიმბოლო საღმრთო განმგებლობისა

ხატის თაყვანისცემა IV–V საუკუნიდან იწყება. კალენდარული ხატები X–XI საუკუნეებში გვხვდება. საწელიწდო ხატების დაწერის რამდენიმე სახე არსებობს მართლმადიდებლურ ეპლესიაში. პირველი, როდესაც დაფაზე გაერთიანებულია წლის სამი თვე – მრავალკარედი იოანე თოხაბის მოხატული სინას წმ. ეკატერინეს მონასტერი (XIIს.) (ტაბ. 24); მეორე – ერთ დაფაზე მოცემულია ნახევარი წლის ან მთელი წლის კალენდარი, ვატოპედის და წმ. პავლეს ეპლესიების ბიზანტიური ხატები (XVIIს.), ათონის მთა სიმონოპეტრას მონასტერის რუსული ხატი (XIXს.); მესამე – თორმეტ დაფაზე თორმეტი თვის ხატი ახალი შუამთის; მეოთხე – დაგრუნტულ ტილოზე ან ხეზე ერთი თვის ან ერთი კვირის ხატები: „დეისუსი და წმინდანები“ ათონის მთის წმ. ანას სახ. სამლოცველო (1621წ.) (ტაბ. 47); რ. ოგანეზოვას კერძო საკუთრება (XX ს. დასაწყისი), რომელზედაც გამოსახულია მარტის თვის პირველი კვირა (ტაბ. 40). ასევე გვხვდება საწელიწდო ხატები, რომელზეც ერთ დაფაზე წარმოდგენილია რამდენიმე თვე ძირითადი გამოკრებილი დღესასწაულებით და წმინდანთა პორტრეტებით. ამის შესანიშნავი მაგალითია რუსული ხატი სხმ/რჩ. 91 (XVIIIს.) (ტაბ. 31).

ბულგარულ ხელოვნებაში კალენდარული ხატების ორიგინალური სახე გვაქვს, სადაც ხატის ზედა ნაწილში გამოსახულია დვთისმშობელი და მაცხოვარი, ხოლო ქვედა რიგში წმინდანთა პორტრეტები. ამის შესანიშნავი მაგალითია: „დვთისმშობელი ოდიგიტრია და პანტოკრატორი“ (XIXს.) (ტაბ. 50), „დვთისმშობელი წმინდანებით“ (XIXს.) (სოფიის ნაციონალური გალერეა) [253] (ტაბ. 51).

მენოლოგიური ხატის ერთგვარი სახეა რუსეთში გავრცელებული მცირე ზომის ორმხრივი ხატი – დაფები, შესრულებული ხეზე ან ტილოზე, რომელზეც ერთ მხარეს ქრისტოლოგიური სცენებია, ხოლო

მეორე მხარეს წმინდანები. მასზე გამოსახული წმინდანების ძირითადი ფონდი არის ბერძნულიდან აღებული, რომელზეც დამატებულია ეროვნული წმინდანები [254].

ბერძნები დათისმსახურებაში იყენებდნენ ხეზე შესრულებულ ხატ – მენოლოგიებს მთელი წლის თვეების მიხედვით განაწილებულს. ასეთია სინას წმ. ეკატერინეს XII საუკუნის დიდი მენოლოგიური ხატები განთავსებული სვეტებზე.

საწელიწდო ხატზე კალენდარული წელი თანმიმდევრული ქრონოლოგიით თავსდება. სადღესასწაულო ციკლი იწყება სექტემბერში საეკლესიო ახალი წლის დაწყების მიხედვით. ზოგიერთ ხატზე გამოსახულია მოძრავი დღესასწაულებიც, არის ხატები მხოლოდ უძრავი დღესასწაულებით, ცალკეულ წმინდანთა მოხსენიება მოძრავია. მენოლოგიურ ხატზე წმინდანის შესახებ ლაპონიურად მინიშნებულია მისი ღვაწლი და არ გადმოგვცემს ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს.

საწელიწდო ხატების მონოტონური, მრავალიცხოვან წმინდანთა ფიგურალური გამოსახულებები გამოხატავს დრმა ლიტურგიკულ აზროვნებას. იგი უფრო ხატი – სახეა, ვიდრე თაყვანისცემის ლიტურგიკული ფორმა. იგი მკვეთრად განსხვავდება წმინდანთა ცხოვრებისეული ხატებისგან, სადაც წმინდანის სასწაულებრივი ცხოვრების ვრცელი, ამომწურავი ინფორმაციაა გამოსახული. ხატი მინეა მხოლოდ განხოგადებული ფორმით ლაპონიურად და სიმბოლურად მიანიშნებს ცალკეულ შტრიხს და მნიშვნელოვან დეტალს. კონკრეტული წმინდანის საგალობლებსა და საკითხავებში – დღესასწაულთაოვის, ასახულ ცხოვრებისეულ მნიშვნელოვან ფაქტს აფიქსირებს. საერთოდ, კალენდარულ ხატზე ფიგურათა განაწილების სქემა შემდეგნაირად არის: მოწამე, ბერი, ეპისკოპოსი, მეომარი, წინასწარმეტყველი, მოციქული და სხვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საწელიწდო ხატის საწყისი არის მენოლოგიუმები. ყველაზე ადრეულია ბასილი II ბულგართმპყრობელის (976-1025) მენოლოგია [255], მასში მოცემულია სრულყოფილი ხატწერის ახალი იკონოგრაფიული სახე. წმინდა წერილის კომპოზიციური სცენები, წმინდანთა და მარტვილთა პორტრეტები. ეს არის

წმინდანთა ცხოვრების ტექსტის, სიტყვის და მინიატურის ერთიანი სახე, სადაც ენისა და სიტყვის ისტორიისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩანს.

პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერი მენოლოგიის (Cod. Graecis 580) ნოემბრის თვის სატიტულო გვერდის მინიატურა [256] და ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერის (Cod hist gras 6) ოქტომბრის თვის პირველ ვექტოზე გამოსახულ 36 წმინდანთა სახეები დაედო საფუძვლად კომპოზიციური წყობით, როგორც წმინდანთა ცხოვრების ამსახველ ხატებს, ასევე საწელიწდო ხატებს ბიზანტიურ ხელოვნებაში. კ. ვეიცმანი მიიჩნევს, რომ ვენის ხელნაწერის მინიატიურამ საფუძველი ჩაუყარა წმინდანთა ცხოვრების ამსახველ ხატებს, რომლის მაგალითად მოჰყავს სინური კოლექციის წმ. ეკატერინეს მონასტრის წმინდა ნიკოლოზის ხატი [257].

X საუკუნეში ხდება სახეთა კომპილაცია და სტანდარტიზაცია. ყალიბდება ტრადიცია და ხელახლა მიმდინარეობს გადამუშავება პირველწყაროს. იქმნება ერთი დიდი კალენდარი დროის თანმიმდევრობით ერთგვაროვანი და საგალდებულო ყველასთვის. წმინდანთა ცხოვრება არის მტკიცებულება რწმენისა, სიყვარული უფლის მიმართ. ხატებზე გამოსახული წმინდანები ეპლესის სიმბოლური სახეა. წარმოიქმნება არქიტიპი, იდეალი, რომლის მეშვეობით შესაძლებელია განჭვრება რეალური სახის. საწელიწდო ხატი ასახავს საეკლესიო წესრიგს. ისინი სპეციფიკური ხასიათის გამო თემატიკიდან გამომდინარე მკაცრ ქრისტიანულ დოგმას ეყრდნობა და მხატვარი შემოქმედებით თავისუფლებას ვერ აძლევს თავის თავს.

საწელიწდო ხატზე ქრონოლოგიური თანმიმდევრობა და წმინდანთა შერჩევა ხდება. ეს არის ნათელი სახე თვით ეპლესის აღქმისა მის იმპოზანტურ გამომსახველობაში. მნიშვნელოვანი ფაქტორია: ინდივიდუალის განზოგადებული პორტრეტი, ეპიკური და ბერული იდეალი, მისი ზეციური სრულყოფილებით, მუდმივი ცხოვრების იმედით. წმინდანებს მაყურებელი მიწიერი სახიდან გადაჰყავს სხვა განზომილებაში, წარმოიშვება არა მიწიერი არქიტიპი, არამედ იდეალი, რომელმაც შეიძლება დაასრულოს მოღვაწეობა არა უბრალო ყოფით, არამედ იგი არის „ქრისტეს მეომარი“ – ეპიკური სახე,

რომელიც ზეციურ სამყაროში თავის ადგილს იკავებს და სულიერი გადარჩენის იდეას ემსახურება.

